ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წითელი სხივი



№ 9-10

სახელმწიფო გამომცემლობა—1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. ოქტომბრის ქარიშხლის წინ—სურ. . . . . . . . . . . . 1
2. დაბადება ოქტომბერში,—ლექსი ე. პოლუმორდვინოვისა . . . . 2
3. ოქტომბრის ყივილი.—ლექსი სეზმან ერთაწმინდელისა . . . . —
4. ოქტომბრის დიდი რევოლუცია—რადიანისა . . . . . . . 3
5. ლილო,—პოლუმორდვინოვისა . . . . . . . . . . . 6
6. დიდი საქმე,—პიესა თარგ. ქ—ისა . . . . . . . . . 9
7. პატარა ჩინ-ჯო—სეზმან ერთაწმინდელისა . . . . . . . 15
8. დურსუნ ეფენდი,—დრომიდე ანთაძისა . . . . . . . . . 20
9. აი, თურმე რა დამავიწყდა...—თარგ. სომხურიდან არაზისა . . . 24
10. ოქტომბერი.—ლექსი შ. მდივანისა . . . . . . . . . 26
11. მზად ვართ,—საოქტომბრო სურათი მუსიკით,—ალ. ფარცხალაძისა 27
12. რუსეთის პიონერების შესახებ,—ბიჭიკოსი . . . . . . . . 36
13. ჩვენ მივდივართ,—ლექსი თ. ჩქარეულისა . . . . . . . . 38
14. როგორ უნდა გახდე ლენინელი,—ტ—ისა . . . . . . . . 39
15. ვინ არიან პიკორები,—შ. რ. . . . . . . . . . . . 41
16. სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის ზეიმი—ლ. ქ—ის . . . . 43
17. მეცნიერება და ტეხნიკა. . . . . . . . . . . . . 45
17. გასართობი: თვალი გვატყუებს, თამაშობანი. შარადა ჩვენი ფოსტა, რებუსი . . . . . . . . . . . . . . . 47

ნ-63.

# წითელი სხივი...

1925
სექტემბერ-ოქტომბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის ჟურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი 2
№ 9—10

## ოქტომბრის ქარიშხლის წინ



ლენინი და ზინოვიევი იმალებიან კარავში

1085.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბადება ოქტომბერში

მაშინ,
როდესაც შემოდგომამ
ფრთები გამართა,
და ქარის ქროლა
ყვითელ ფოთლებს ასამარებდა,
როს სექტემბერმა მიიძინა
მზის დასავალთან
და ჟრუანტელის მოლოდინში
სიკვდილს დანებდა,
მაშინ
ამ დარში
ქარტეხილის გამოქროლებით
წითელ ალმურში
აელვარდა ცის ასავალი,
და როგორც
მთვარე იმოსება ვარსკლავთ
კონებით,
ისე გამოწრთო ოქტომბერმა
სახე მრავალი...
მან არ იცოდა
შიში, ძრწოლა და სინანული,
არცერთ ტკივილზე
ტუჩებს კვნესა არ მოსწყვეტია,
ჩაჰბერა შვილებს სუნთქვა მძლავრი,
სუნთქვა ქარული,
რომ სიცოცხლისთვის გამეტება
გაებედია...
და დღეს,
ქუჩაში
რვა წლის ბავში რომ გაიცინებს
და ნორჩ სახეზე
სიხარულს რომ აათამაშებს,
მე მაგონდება
ოქტომბერში დაბადებული
ბავში—ყვავილი
და ყვავილი
ბავშის სახელით...
ეხლა თქვენს თვალებს
ნაპერწკლები ისე უხდება,
რომ მაგ სახეებს
გათენებას
ყველა ადარებს...
თქვენ მზეს უყვარხართ,
მზეს ცალთვალას,
რადგან მასავით
ცეცხლს და სიცოცხლეს
ხალხისათვის
გულში ატარებთ...

ე. პოლუმორდვინოვი.

# ოქტომბრის ყივილი

**(პირველ დღეთა თქმა)**

ო, რა კარგია ოქტომბრის ანძა,
სად გიჟი დროშა ეშლოდა აფრად;
ბარიკადის თქმა ცას აელანძა
და ფირუზ თვალზე ევლო ალთა ფრად...

—

მებრძოლთ გმირული დარტყმა, შეტევა,
ძველ მსოფლიოზე იბერტყდა კალთას;
ბუდეში, თითქოს, ველარ ეტევა
და იერიშით ილეწდა სალტას...

—

ყალყზე მდგარ ქალაქს ელოდა ჯანყი,
რა დადგა დენთის სურნელოვნება:
მკერდს იდაღავდა ხალხი ნაჯანყი,
და ზე იწევდა ამაყი ნება...

—

ლეგა ქულაჯის წითელ ყურთმაჯას
მხარზე იგდებდა, ქოჩორნაყარი;
ცეცხლი სერავდა ალმართულ მაჯას,
და მოიმღერდა შვების მაყარი...

—

ტყვიაფრქვევის ხმა ქვემეხის მოთქმას
ასაუბრებდა ალეწილ ქართან;
თოფი, ცეკვაში, სპობდა მტერთ მოდგმას,
და იხატოდა ახალი ქარტა...

—

ჰმ... დედამიწის ქედუდრეკ კანონს
თავგანწირულნი სისხლით ლეკდენ და
სამყაროს დამლუპს ისროდენ ანონსს,
და იქმნებოდა ურჩი ლეგენდა..,

—

ო, სრულდებოდა: ნატვრა, ოცნება,
დროშა სიამით ჰკიოდა ალზე;
თავისუფლება მზით იკოცნება
და ადის ძლევის პიედესტალზე...

სეზმან ერთაწმინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბრის დიდი რევოლუცია.

ვის არ გაუგონია, ყმაწვილებო, 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუცია? არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც ს. ს. რ. კავშირში ცხოვრობდეს და არ იცოდეს, რომ 1917 წ. 25 ოქტომბერს მუშებმა და გლეხებმა ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება და სამუდამოდ დაასამარეს ბურჟუაზია.

მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა ყველამ იცოდეს აგრეთვე, თუ როგორ მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია, რამ აიძულა მუშები და გლეხები, მოეხდინათ ოქტომბრის გადატრიალება, როგორ იბრძოდენ ჩვენი მამები და ჩვენი უფროსი ძმები და რატომ გაიმარჯვეს მათ, რა მისცა მუშებს და გლეხებს ოქტომბრის რევოლიუციამ და რა მისცა მან საერთოდ მთელი ს. ს. რ. კ. გლეხების შვილებს.

აი ამაზე გვექნება დღეს ჩვენ საუბარი..





## რა მოხდა 1917 წ. თებერვალში.

ათეული და ასეული წლების განმავლობაში მუშები და გლეხები მეფეთა მონობის ქვეშ იმყოფებოდენ; მეფეებს მემამულეები, ფაბრიკანტები, მღვდლები და ბანკირები ეხმარებოდენ ხალხის დაჩაგვრაში.

მიწა მემამულეებს ეკუთვნოდა, ხოლო გლეხობა აუარებელ გადასახადს იხდიდა ერთ მუჭა მიწაში მათ სასარგებლოდ.

ფაბრიკები, ქარხნები, მალაროები და რკინის გზები ბურჟუაზიას, ფაბრიკანტებს და მექარხნეებს ეკუთვნოდა, მუშები კი ცხოვრობდენ ნახევრად მშივრები და არ იცოდენ, რა მოელოდა მათ მეორე დღეს.

გამოჩნდენ ისეთები, რომლებიც შეებრძოლენ მეფის უფლებას. ამისათვის მათ იჭერდენ, სცემდენ, ალპობდენ ციხეებში, ასახლებდენ და ხვრეტდენ კიდეც.

მაგრამ აზრი თავისუფლების შესახებ ძლიერი იყო. 1905 წ. იფეთქა პირველმა რევოლიუციამ.

მუშების მოძრაობა და გლეხების ამბოხება შეიარაღებული ძალით ჩაჭქრეს; მუშებმა ვერ გაითავისუფლეს თავი, გლეხებმა ვერ მიიღეს მიწა.

ამ რევოლიუციის შემდეგ მუშების და გლეხების გულში მღელვარება დღითი-დღე მატულობდა და იზრდებობოდა.

დადგა 1917 წელი.

1914 წელში დაწყებული დიდი ომი გრძელდებოდა, იღვრებოდა მუშების და გლეხების უდანაშაულო სისხლი ფრონტებზე; დაიწყო შიმშილობა. მეფის მთავრობა ისეთი უძლური გამოდგა, რომ ბურჟუაზიამაც კი უკმაყოფილება გამოუცხადა მას, და არსებული წესწყობილების შეცვლა მოითხოვა.

და აი, 1917 წ. თებერვალში, პეტროგრადის (ახლანდელი ლენინგრადის) ქუჩებში გამოვიდენ ქალები და აჯანყებული მუშები პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა:

**პური...**

**ზავი**

და

**თავისუფლება.**

ომი და ხოცვა-ჟლეტა ხალხს მოსწყინდა.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა.

მეფის პოლიციამ მოინდომა ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით ჩაექრო რევოლიუცია, მაგრამ მან ეს ვეღარ შესძლო.

მუშებს მიემხრენ ჯარისკაცებიც, ჩამოაგდეს ტახტიდან მეფე. ხალხი მხიარულებდა.

ბურჟუაზია, ადრევე კარგად დარაზმული, შეუდგა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. ამ დროს მუშები კიდევ ვერ იყვნენ კარგად შეკავშირებული და დარაზმული.

დროებითი მთავრობა კერენსკის თავმჯდომარეობით შეუდგა ბურჟუაზიის ბრძანებების განხორციელებას, რასაც აგრეთვე ხელს უწყობდენ გამყიდველი „სოციალისტები"—ესერები, მენშევიკები და სხვა პარტიები.

ხალხი კვლავ ამხედრდა და ხმამაღლა წამოიძახა: **„ძირს ომი, ძირს მინისტრ-კაპიტალისტები"**.

მუშები იკრიბებოდენ ჩვენი, კომუნისტური, წითელი დროშის ქვეშ, რომლებსაც ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან ახლადჩამოსული ამხ. **ლენინი.**

ამხ. ლენინის წინააღმდეგ ამხედრდა მთელი რუსეთის ბურჟუაზია, მას გერმანელების ჯაშუშობას სწამებდენ.

მაგრამ მუშებმა შეიგნეს დროებითი მთავრობის გამყიდველობის პოლიტიკა და კარგად მოისმინეს ბოლშევიკური ორატორების სიტყვები.

ამავე დროს, მიუხედავად დევნისა, ლენინი ამაგრებდა კომუნისტური პარტიის რიგებს.

## სამზადისი ოქტომბრის ბრძოლისათვის

ბურჟუაზიამ და შემთანხმებელმა „სოციალისტებმა" ვერ მისცეს მუშებს ქარხნები და ფაბრიკები, გლეხებს—მიწა, და პატარა ერებს—თავისუფლება.

თებერვლის რევოლიუციამ, რომელმაც ჩამოაგდო მეფე, ვერ გადასწყვიტა მუშების მტკივნეული საკითხები.

კომუნისტ-ბოლშევიკებმა, ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით, ბრძოლა გამოუცხადეს დროებითს მთავრობას.

**ძირს ომი**—აი ლოზუნგი კომუნისტ-ბოლშევიკებისა, რომელმაც მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ფართო მასებში.

დროებითი მთავრობა ცდილობს გააძლიეროს ფრონტი, აამაღლოს ჯარისკაცთა შორის ბრძოლის განგრძობის სურვილი, მაგრამ ამაოდ. გერმანელებმა სასტიკად დაამარცხეს იგი ფრონტზე.

დროებითმა მთავრობამ მთელი თავისი ჯავრი კომუნისტებზე იყარა, მათ აბრალებდა დამარცხებას და ჯარის გახრწნას.

კომპარტიის გაზეთები იხურებიან, მომუშავეებს სდევნიან. ტროცკი ციხეში ჩასვეს. ლენინი იძულებული შეიქნა დროებით ფინეთში შეეფარებია თავი.

მიუხედავად ამისა, კომუნისტების გავლენა იზრდება. ლენინის წამოსროლილი ლოზუნგი:

— **„მთელი ძალა-უფლება საბჭოებს."** —ფეხს იკიდებს ფართო მასებში და 3—4 ივლისს მუშები გამოდიან ლენინგრადის (მაშინდელი პეტროგრადის) ქუჩებში და მოითხოვენ ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლას.

მაგრამ, ოდესღაც კომუნისტებთან ერთად მყოფნი, „სოციალისტები" და მათი „მეთაური" კერენსკი პეტროგრადის ქუჩების კუთხეებიდან ხვრეტენ მუშებს და ჯარისკაცებს.

გამოსვლა დამთავრდა მუშების დამარცხებით. ჯერ კიდევ არ დამდგარა პროლეტარული რევოლიუციის საათი. ბურჟუაზია კვლავ ზეიმობდა თავის გამარჯვებას:

ივლისის გამოსვლების შემდეგ სწრაფად იზრდება კომუნისტების მომხრეთა რიცხვი.

გამყიდველ-სოციალისტები ერთხელ კიდევ შეეცადენ „შეერიგებიათ" ბურჟუაზია და მუშათა კლასი, ამავე დროს მემამულეები და კაპიტალისტები კი გლეხების ზურგში ლახვარის ჩაცემას აპირებდენ.

მაგრამ მუშათა კლასს არ სძინავდა, მას აღარ სჯეროდა გამყიდველ-სოციალისტების. ოქტომბერი ახლოვდება. ამხ. ლენინი ფინეთიდან სწერს წერილს პეტროგრადის და მოსკოვის პარტკომიტეტებს, რომელშიაც ის ასურათებდა ბრძოლის გეგმას, გადაჭრით მოითხოვდა ამხანაგებისაგან, დაუყონებლივ შედგომოდენ მოქმედებას.

20 ოქტომბერს პეტროგრადის (ბოლშევიკურ) საბჭოს აღმასკომთან არსდება **სამხედრო რევოლუციონური კომიტეტი,** რომელიც დაარსდა მთავრობის სამხედრო შტაბის ნაცვლად; მის ამოცანას შეადგენდა რევოლუციის დაცვა და აჯანყების მომზადება.

ამ დღეებში ილიჩი, რომელიც დაბრუნდა პეტროგრადში, თვითონ ხელმძღვანელობდა აჯანყების მოწყობის სამზადისს.

## დადგა ოქტომბერი

ასე სწარმოებდა ოქტომბრის მომზადება. რევოლიუციის ძალები დღითი-დღე იზრდებოდა.

...და ღამით, 25 ოქტომბერს, უკანასკნელი მახვილი ჩასცეს კერენსკის მთავრობას.

გათენებისას მუშების და მეზღვაურების მიერ უკვე დაკავებული იყო ყველა რკინის გზის სადგურები, ტელეფონის სადგურები, ფოსტა, სახელმწიფო ბანკი და მთავრობის სასახლეები.

დროებითი მთავრობის წევრები მოკალათებულნი იყვნენ ზამთრის სასახლეში, რომელსაც იუნკრების და ქალთა მცირე რაზმი იცავდა.

საღამოს, 25 ოქტომბერს, შესდგა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის სხდომა. ამავე დროს კრეისერ „ავრორამ" უკვე დაუმიზნა ზარბაზნები ზამთრის სასახლეს.

სასახლეც აიღეს, კერენსკი გაიქცა, დანარჩენი მინისტრები დაატუსაღეს და გადაგზავნეს პეტრე-პავლეს ციხეში.

ბურჟუაზიის უკანასკნელი ციტადელი (სიმაგრე)—ზამთრის სასახლე დაეცა. მუშებმა და გლეხებმა აიღეს ძალა-უფლება თავის ხელში. მეორე დღეს, 26 ოქტომბერს, გამარჯვების შემდეგ, მუშათა და გლეხთა მასების ბედიღბლის გადამწყვეტმა—სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-II ყრილობამ—მიიღო მთელი რიგი შესანიშნავ გადაწყვეტილებისა.

მიღებულ იქნა **დეკრეტი ზავის** შესახებ, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მთავრობას ომის განგრძობა დიდ ბოროტმოქმედებად მიაჩნია და თანახმაა ხელი მოაწეროს ზავის პირობებს,—თანაც არ უნდა დაიჩაგრონ მცირე ეროვნებანი და არ უნდა წაერთვას მათ მიწები (ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო). ამასთანავე ერთად დეკრეტში იყო მოწოდება დასავლეთის მუშებისადმი.

შემუშავებულ იქნა ამავე მეორე ყრილობაზე **მეორე დეკრეტი მიწის შესახებ.**

დაუყონებლივ და უსასყიდლოდ გადავიდა მიწა გლეხების ხელში, მემამულეებს ჩამოერთვა მიწის საკუთრების უფლებები, მიწა ეკუთვნოდა იმას, ვინც მას დაიმუშავებდა.

მესამე დეკრეტი იყო—**დეკრეტი მუშათა კონტროლის შესახებ**, რომელიც ბურჟუაზიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ დეკრეტის ძალით მთელი საწარმოო დაწესებულებანი სახელმწიფოს ხელში უნდა გადასულიყო, რაც შემდგომ უკვე განხორციელდა.

მეოთხე დეკრეტი **ხალხთა უფლებების დეკლარაცია.** მან დაამყარა თანასწორუფლებიანობა იმ ხალხთა შორის, რომლებიც ცხოვრობდენ რუსეთის ტერიტორიაზე (მიწაზე); მიანიჭა უფლება, რომ თვითეულ ეროვნებას თავისებურად მოეწყო თავისი ცხოვრება.

ბოლოს მიღებულ იქნა დეკრეტი სახალხო კომისართა საბჭოს დაარსების შესახებ, რომელსაც სათავეში ლენინი უდგა.

დამყარდა მუშათა ძალა-უფლება, შესდგა მუშათა და გლეხთა პირველი მთავრობა.

კომუნისტ-ბოლშევიკებმა შეიგნეს წარსული რევოლუციის გაკვეთილები, განსაკუთრებით კი პარიზის კომუნის გაკვეთილები.

ჩვენმა პარტიამ ილიჩის ხელმძღვანელობით აიღო სწორი გზა.

მან აამხედრა გამოსვლების მოსამზადებლად არა მარტო ერთი მუჭა ხალხი, არამედ მთელი მასა. გამომუშავებულ იქნა მოქმედების სტრატეგიული გეგმა; რევოლუცია არ დაკმაყოფილდა მარტო „პიტერით“ (ლენინგრადით), ის უცბად მოედო მოსკოვს და სხვა ქალაქებსაც.

აქ დიდი განსხვავებაა პარიზის კომუნასთან, რომელსაც ეკავა მხოლოდ ერთი ქალაქი—პარიზი (საფრანგეთში).

ჩვენმა პარტიამ ხელთ იგდო ბანკები, რკ. გზის სადგურები, მიიმხრო ჯარი.

ოქტომბრის ლოზუნგები გასაგები გახდა მთელი მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებისათვის,

აი, ამის შემწეობით ოქტომბრის რევოლუცია გახდა პირველ პროლეტარულ რევოლუციად და დააარსა მსოფლიოში საბჭოთა პირველი რესპუბლიკა, სადაც ძალა-უფლება არის არა ერთ მუჭა კაპიტალისტების, არამედ მთელი მშრომელების ხელში.

## რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ ბავშვებს?

ამ პატარა საუბარმა ჩვენ ნათლად დაგვანახვა, რომ მუშებმა და გლეხებმა აიღეს რა ძალა-უფლება ხელში, გადასწყვიტეს მთელი რიგი თვალსაჩინო საკითხებისა:

მათ მოსპეს ბურჟუაზიის ძალა-უფლება,—თვითონ შეუდგენ სახალხო მეურნეობის აღმშენებლობას,

დააარსეს ახალი რევოლუციონური სახელმწიფო,

დადგენ კომუნიზმისათვის ბრძოლის გზაზე.

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ მუშათა და გლეხთა ყველა ბავშვებს?

უპირველეს ყოვლისა—უფლება, რომ თავისუფლად მოაწყონ თავისი საბავშო ორგანიზაციები, რაც არ იყო მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში; „თავისუფალ“ ამერიკაშიც კი სდევნიან მუშათა შვილების ორგანიზაციებს.

გარდა ამისა, ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა ჩვენ **ახალი შრომის სკოლა**, სადაც „კაზიონშჩინის“ ნაცვლად გამეფდა მასწავლებლების და ბავშვების თვითშემოქმედება, ბავშვები იძენენ ყოველივე საჭირო ცოდნას, რაც დღემდე მიუწდომელი იყო მუშებსა და გლეხებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ბავშვების დაჩაგვრას. მან ხელიდან გამოსტაცა მცირეწლოვანი ბავშვები ფაბრიკა-ქარხნებს და ბოლოს „ხაზეინებს“, დააარსა მათთვის სპეციალური პროფესიონალური სკოლები—საქარხნო-საფაბრიკო სკოლები.

ოქტომბრის რევოლუციამ ფართედ დააყენა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი.

პროლეტარულ სახელმწიფოში ბავშვზე, მისი დაბადებიდან დაწყებული, ზრუნავს არა მარტო ოჯახი, არამედ თვით სახელმწიფოც. ამისათვის დაარსებულია კონსულტაციები (სპეციალისტ ექიმების თათბირი რომელიმე ავადმყოფობის გამოსარკვევად), საბავშო სახლები და კომუნები.

ამიტომ ყველა ჩვენგანის ამოცანას უნდა შეადგენდეს ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცება.

რვა წელმა გაიარა რევოლუციის შემდეგ. 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს ძველი სტილით) ჩვენ ვდღესასწაულობთ საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების რვა წლის თავს. მრავალ დაბრკოლებას და შიმშილთან ბრძოლას თავი დავაღწიეთ ილიჩის ნაანდერძევი გზის საშუალებით და მისივე ანდერძით მივდივართ წინ.

არ ვივიწყებთ რა იმ მსხვერპლს, რომელიც ჩვენმა მამებმა და ძმებმა გაიღეს თავისუფლების მოსაპოებლად, ჩვენ ყოველივე ძალ-ღონით უნდა გავამაგროთ და ავაყვაოთ საბჭოთა რესპუბლიკა, რითაც ამავე დროს ჩვენ გავამტკიცებთ მსოფლიო რევოლუციის საქმეს—ჩვენი ძმების გამარჯვების საქმეს დასავლეთში.

ჩვენი მამების შეცვლა, პროლეტარულ რევოლუციის მებრძოლთა ღირსეულ მემკვიდრეებად გახდომა—აი მიზანი და ამოცანა მთელი ჩვენი მუშაობისა და ცხოვრებისა, ამისათვის კი ჩვენ ყოველთვის და ყოველგან უნდა **ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლალო

ჯერ დილა არც კი გათენებულიყო და ტიტველ ქუჩებში, როგორც აუცილებელი სტუმარი, გამოვიდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ლალო და დიდის მზრუნველობით გადახედა პურის საცხობის ფანჯარას, საიდანაც თეთრი, დარგვალებული პურები იცქირებოდენ. ტუჩები სიამოვნებით აალმაცუნა, შემდეგ მხიარული სტვენა დაიწყო და ისევ გაუდგა თავის გზას.

უპირველეს ყოვლისა განიზრახა მისულიყო რკინის გზის ხაზთან, სადაც ეგულებოდა მთელი შემადგენლობა თავისი ძმა-ბიჭებისა, რომელნიც დამტვრეულ რონოდების მუხრუჭებს ეთამაშებოდენ და უზრუნველად გორაობდენ მწვანით დაფარულ პატარა ფერდობზე.

გზაზე, რომ მიდიოდა, ლამაზად ჩაცმულ გამვლელებს ჯერ თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერებდა და შემდეგ კარგ ხანს ალმაცერად თვალს გააყოლებდა ხოლმე.

ვიდრე სადგურის ბაქანთან მივიდოდა, ბევრი რამ შეხვდა გზაში, რაც მის ყურადღებას იპყრობდა. ის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ჩერდებოდა, შესწყვეტდა ხოლმე სტვენას და ან უცქერდა ცნობისმოყვარეობით.



როდესაც სადგურის კიბეებზე ავიდა, დაინახა კუთხეში მიყუდებული დიდთავიანი ჯოხი, რომელიც მეეზოვისა იყო და ქუჩის დაგვის გამო იქ დაეტოვებია. ლალომ ეს



უპატრონო ბავშები

ჯოხი თავის პირველ ნადავლად ჩასთვალა და მაშინვე ხელში აილო. რამდენჯერმე ახედ-ჩახედა, შემდეგ იღლიაში ამოიდო და ბაქანზე გავიდა. აქედან უნდა გასულიყო ლიანდაგს იქით და შეერთებოდა თავის ძმა-ბიჭებს, რომელთანაც დღეებს ალამებდა. მატარებლის ყოველ გამოჩენაზე სადგურზე მოიყრიდენ ხოლმე თავს და ბარგის გადაზიდვით — შაურად ან ორ შაურად — სამსახურს უწევდენ მგზავრებს. ხდებოდა ისეც, როდესაც ხელში პატრონდაკარგული ნივთი შერჩებოდათ. ყველა ამის გამო მათ ბაქანზე არ უშვებდენ და პირველ დანახვისთანავე გარეთ ერეკებოდენ. ახლაც, ოდნავ თავი გაჰყო თუ არა ბაქანზე, შემოხვდა შეჭალარავებული მილიციონერი, რომელმაც განიზრახა მისი გაგდება. ის გამოემართა მისკენ და ის-იყო კისერში ხელი უნდა ეტაცა, რომ ლალო გაუსხლტა და ფეხებ ქვეშ გაუძვრა, შემდეგ კი გაჭენებული ცხენივით გადახტა ლიანდაგზე და რონოდებს ამოეფარა. რამდენიმე ხაზი სწრაფად გადირბინა და როცა დანგრეულ ქვიტკირის სახლს მიუახლოვდა, მოესმა კიდეც ამხანაგების ხმა, რომელნიც ადრიანად გაეღვიძებია ორთქლმავალის გუგუნს და საყვირების ხმას.

ამ:თ ლალო ძალიან უყვარდათ და კიდევაც დიდის მუყაითობით შეუდგებოდენ ხოლმე მის მიერ წარმოდ-

გენილ გეგმის შესრულებას—პურის შოვნა იქნებოდა ეს თუ იაფფასიანი პაპიროსებისა.

ახლაც მის დანახვაზე ყველა მხიარულად ახმაურდა და ჟივილ-ხივილით გარს შემოეხვივნენ.

ლალომ ამხანაგებს ჯერ პირველი ნადავლი — ჯოხი უჩვენა და შემდეგ ორივე ხელი მუცელზე დაირტყა, რითიც ანიშნა, რომ პური შიოდა. პატარა ეშმაკური სახეები ეშმაკურად ჩაფიქრდენ, რომ რაიმე გამოსავალი ეპოვათ, მაგრამ როდესაც ვერაფერი გადასწყვიტეს, ისევ ლალოს ჩააშტერდენ, რადგან მისგან მოელოდენ გაძღომის საშუალების გამოძებნასაც.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ყველამ გახვრეტილ ჯიბეებში ხელები ჩაიყვეს და დაიწყეს ვითომ ფულის ძებნა, მაგრამ არცერთ მათგანს ფული არ აღმოაჩნდა. უნდა ითქვას, რომ ზოგ მათგანს ჯიბეც კი ენატრებოდა.

ამ დროს მოვარდა ერთი გახარებული ბიჭი და აღტაცებით ხან ერთს შეახტა, ხან მეორეს, მერე ჯიბიდან მუყაოს (კარდონის) წითელი კოლოფი ამოიღო და ნიშნის მოგებით ყველას უჩვენებდა.

როგორღაც პაპიროსი ეშოვა და მოარბენინა, რომ ამხანაგებისთვის გაეზიარებია. სულ მცირე ხანში რონოდაში შეცვივდენ და ჭუჭყიან იატაკზე ჩამოსხდენ. თითო ღერი პაპიროსი ჩამოილაგეს და საქმიან ხალხივით დაიწყეს წევა. კვამლი ნისლივით დატრიალდა ჭუჭყით გასვრილ ხის კედლებს შიგნი და პატარა სახეები ბურანში გაახვია.

შემდეგ კი, როცა პაპიროსები მთლად გაათავეს, წამოხტნენ და გარეთ გამოცვივდენ.

ლალომ ყველა გააჩუმა. ის ავიდა ქვიტკირის მაღლობზე, საიდანაც საქონლით ტვირთავენ რკინის გზის რონოდებს, და ხმამაღლა დაიძახა.

— ამხანაგებო!.. აი ახლა ჩვენ ყველას პური გვშია, ეს კი ძალიან ძნელი მოსათმენია.

ამ სიტყვებზე ყველამ მუცლებზე დაიხედეს, რომ გაეგოთ, მართლა შიათ თუ არა, მერე ისევ ლალოს მიხედეს.

ლალოს ძალიან ხშირად უნახავს ქალაქის მოედნებზე წვერულაშვებიანები, მოხუცები და ახალგაზრდები, რომელნიც სიტყვებით მიმართავდენ ხოლმე თავმოყრილ ხალხს და რაღაცებს მოუწოდებდენ.

ახლა ლალომაც მათ მიჰბაძა.

— ჩვენ, რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიშოვოთ პური, რადგან შიმშილის ატანა არ შეგვიძლია.

მერე ამ სიტყვებს მუშტების ქნევა დააყოლა და შუბლშეჭმუხნული ძირს ჩამოხტა.

დანარჩენებმა მიაძახეს: „ვიშოვოთ, ვიშოვოთ“ და ისევ ლალოს შემოეხვივნენ...

— შენ ყველაზე ყოჩაღი ბიჭი ხარ, ამიტომ შეხვალ მეპურესთან და სთხოვ პურს, შენ კი ამას შეჰყვები და და როცა მეპურე შეტრიალდება, დაავლებ მთელ პურს ხელს და ჩვენსკენ გამოაქანებ. ჩვენ კი ახლომახლო ვიქნებით. თუ რამე გაგიჭირდებათ, დაგეხმარებით. ასეთი დარიგება მისცა ლალომ ორ თანატოლ ბიჭს და შეელასაც დაჰპირდა, თუმცა ქურდობაში რომ შეენიშნათ რომელიმე მათგანი, დახმარების მაგიერ წუთში ცხრაჯერ მონახავდენ დასამალავ სოროს...

ბოლოს ნაპოვნი ჯოხი ხელში მოიმარჯვა და გაუდგა გზას. უკან გაჰყვა მთელი ექვსი წყვილი ძმა-ბიჭებისა...

ბაქანი გადაირბინეს. ჩავიდენ კიბეებზე და ქუჩაში ამოჰყვეს თავი, სადაც არა ერთხელ უტაცნიათ მათვის ყურში ხელი...

ორი ბიჭი პურის საცხობისაკენ გაემართა, დანარჩენები მიმოიფანტენ, ლალო კი კიბეზე დაჯდა, ცალი ხელით ჯოხს დაუწყო თამაში და ცხელი პურის მოლოდინში სტვენა დაიწყო.

უცბად ვიღაცამ კისერში სტაცა ხელი და მიაძახა:

— შე ქურდ-ბაცაცავ, აი როგორ უნდა სტვენა... თანაც ტუჩები საშინლად გამობერა და თავისი „საფშვიტინოთი“ დასტვინა.

შეშინებულმა ლალომ მაღლა აიხედა და დაინახა ბრაზმორეული, წვერ-ულვაშ აბურძგნული მეეზოვე, რომელიც საშინლად ილანძღებოდა და კისერში მაგრად უჭერდა ხელს..

ლალო მაშინვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და ნაპოვნ ჯოხს ხელი გაუშვა, მაგრამ ამან მაინც არ უშველა: უსაქმოდ მოხეტიალე მილიციონერმა კომისარიატში წაიყვანა.

ბიჭებმა ლალოს განსაცდელი რომ დაინახეს, ხელად რამდენიმე ქუჩა გაირბინეს და მიიმალნენ.



მილიციაში მის განთავისუფლებას აპირებდენ, მაგრამ როდესაც გამოარკვიეს, რომ ლალო უპატრონო იყო, აღარ გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ ლალოს თვალი გაქცევაზე ეჭირა, მაინც ვერ მოახერხა და ბედს დანებდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ შეადგინეს ოქმი და გადაგზავნეს ბავშთა თავშესაფარში. მას მიჰყვებოდა მილიციონერი და თანაც თვალყურს ადევნებდა, რომ არ გაქცევოდა.. თუმცა ლალო მაინც და მაინც უარზე არ იყო ბინის შოვნაზე, ამხანაგების განშორებას მაინც სწუხდა..

მიდიოდა და მისდევდა ფიქრი თანშეზრდილ ამხანაგებზე, ცხელ, წითლად აპრიალებულ პურზე, რასაც ისეთის მოუთმენლობით ელოდა, და იმ რონოდებზე, სადაც ისე მხიარულად ატარებდა დღეებს...

## ახალი ბინა

ლალო თავშესაფარში რომ შეიყვანეს, უპირველეს ყოვლისა წარადგინეს სქელ, დარგვალებულ კაცთან, რომელმაც ცხვირზე ჩამოცმულ სათვალეებიდან ახედ-ჩახედა

და შემდეგ გრძელ დავთარში ჩასწერა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ლალოს მსხვილი კაცი პირველ დანახვისთანავე შესჯავრდა და მზად იყო მისი მელოტი დოლით აეხმაურებია, მაგრამ, როგორც ახალმა სტუმარმა, თავი შეიკავა.

იქვე მდგომ ქალის თანხლებით ის კიბეებზე აიყვანეს..

იმ დღეს დიდი ტანჯვა და წვალება განიცადა, რადგან გამოასალმეს თავის საყვარელ ტანსაცმელს: ნახვრეტებით სავსე შარვალს და მკლავებშემოგლეჯილ, უსაყელო ხალათს, და ბანაობის შემდეგ მისცეს ყავისფერი მოკლე შარვალი და ყავისფერივე ხალათი წინდებით და წუღებით. ბოლოს, როდესაც კარგა დაბანეს, შეჰპარსეს თმა და მიიყვანეს თავის საწოლთან, გრძელი ოთახის ერთ კუთხეში...

ლალო ჩამოჯდა მისთვის მიჩნეულ ლოგინზე და დაუწყო სინჯვა დანარჩენ გოგო-ბიჭებს, რომელნიც მხიარულად თამაშობდენ, იცინოდენ... გასცქეროდა აგრეთვე გრძელ ოთახს, სადაც ჩამოლაგებული იყო ლოგინები, თეთრი სუფთა საბნებით და ბალიშებით. მას აფიქრებდა საწოლების სიმრავლე. სწორედ ამ დროს დიდი სპილენძის ზარი შემოჰკრეს.

ლალო ისარივით წამოიჭრა და მოუფიქრებლად გრძელი ოთახი გადირბინა, შემდეგ ფანჯარაზე შეხტა და ეზოში გადაიხედა, მაგრამ გადახედვისთანავე მოწყენილად ჩამოყარა ყურები და ცხვირი ჩამოუშვა...

ზარის ხმაზე ლალო სადგურზე მირბოდა ხოლმე, რომ მომავალ მატარებელს და მგზავრებს დახვედროდა. ახლაც მომავალი მატარებელი ეგონა და მისაგებებლად გაიქცა, მაგრამ ფანჯრიდან რომ გადიხედა, დაინახა, რომ ჩვეულებრივ ტანსაცმელში ჩაცმული დიდცხვირა კაცი ზარსა რეკდა. ამ ხმაზე ეზოში გროვდებოდენ გოგო-ბიჭები, ქვედა სართულის დიდ კარებში შედიოდენ.

ზარის რეკა სადილობის დროის ნიშანი იყო, რის გამო ყველა ქვემოთ გაემართა... რამდენიმე ბიჭი შემოეხვია ლალოს და ახალი მეგობარი სასადილოში წაიყვანეს.

პური ძალიან შიოდა და დიდის გულმოდგინებით შეუდგა ჭამას, რაშიც ვერავინ ვერ ასწრებდა. მერე ის ბიჭები კვლავ ლალოსთან მოვიდენ და წაიყვანეს თავშესაფარის დასათვალიერებლად. შევიდენ მაღალ და სინათლიან ოთახში, სადაც იდგა მრავალი საკლასო მაგიდა, სკამები და დაფა. აუხსნეს, რომ აქ სწავლობენ წერა-კითხვას და ანგარიშს... გავიდენ შემდეგ ოთახში, სადაც კედლები სავსე იყო სურათებით, წითელ-ყვითელი ფერებით აჭრელებული.

ლალომ სიამოვნებით დაათვალიერა სურათები და მერე გავიდენ დიდ დარბაზში, სადაც კლუბი ჰქონდათ მოწყობილი. ბავშებმა აუხსნეს, რომ აქ მართავდენ წარმოდგენებს და ამბობდენ ხოლმე ლექსებს.

ყველა ამან ისე გაახარა ლალო, რომ თუ აქამდე ყოველ წუთს შინ გაპარვას ფიქრობდა, ახლა იმ წუთს ელოდა როცა ისიც მათთან ერთად შეუდგებოდა სწავლას.

მართლაც, მეორე დილას ჯერ წაიყვანეს კლასში და შემდეგ, როდესაც გაკვეთილები გათავდა, გავიდენ ბოსტანში სამუშაოდ. ყველას ჩამოურიგეს პატარა ნიჩბები და პატარა ბავშები შეუდგენ მუშაობას. ლალო სიცოცხლით სავსე იყო და ისე ყოჩაღად მუშაობდა, რომ ყველას აკვირვებდა. სულ მცირე ხანში შეეჩვია იქაურობას, შეეჩვია ახალ მეგობრებს და წერა-კითხვაც ისწავლა. მასწავლებლებმაც შეიყვარეს და დიდ მზრუნველობას უწევდენ...

მაგრამ ერთხელ, როდესაც მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა, სადილობის დროის ზარის რეკვამ კვლავ შეაშფოთა... მოაგონდა ძველი ცხოვრება. თვალწინ წარმოუდგა წითლად შეღებილი რონოდები, ორთქმავლების გუგუნი და მათი საყვირების ხმა, მოაგონდა ძველი ამხანაგები და უზრუნველი თამაში ლიანდაგების გვერდით, მწვანე პატარა გორაკებზე. მოაგონდა ყველა ეს და კვლავ მწუხარებას მიეცა. ლალოს ყველაზე უფრო მოენატრა ძველი ძმა-ბიჭები, რომლებისათვისაც უნდოდა გაეცნო თავისი ახალი ცხოვრება: საკუთარი ხელით დამუშავებული ბოსტნის ნაწილი, სხვადასხვა ნახატები და ის ლექსები, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შეისწავლა.

უეცრად გონებაში გაურბინა რაღაც აზრმა. მოჰკიდა საწერ-კალამს ხელი და ამხანაგებთან წერილი დასწერა...

ამ წერილში ლალო სთხოვდა ამხანაგებს, რომ თავი მიენებებიათ ქუჩური ცხოვრებისთვის და ლალოსთან მოსულიყვნენ.

არ იცის თვითონ ლალომაც, მისი წერილი მიიღეს თუ არა ამხანაგებმა, მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მისი ძმა-ბიჭები მოჰყავდათ ხოლმე თავშესაფარში და სწორედ ისევე სცვლიდენ თავიდან ფეხებამდე, როგორც ლალო გამოსცვალეს.

ძველი მეგობრები მან გარს შემოიხვია და უფრო მეტის გატაცებით მიჰყო ხელი სწავლას და ახალ ცხოვრებას...

რამდენიმე წლის შემდეგ კი, როდესაც ლალო წამოიზარდა, ის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში შეიყვანეს. თავშესაფარის გამგემ თან შემდეგი დახასიათება გააყოლა:

> „ლალო ცოცხალი და მკვირცხლი ბიჭია. შრომისმოყვარულია და დიდის ხალისით მიისწრაფება ცოდნისაკენ. უყვარს ადრე ადგომა და არასოდეს უბრალოდ დროს არა ჰკარგავს. არასოდეს არავის არ დასჩაგრავს, რადგან ებრალება სუსტები და ავადმყოფოფები. ძლიერ სიმართლისმოყვარულია და ამხანაგების გაცემა არ უყვარს: „მე ეს არ შემიძლია ვთქვა“,— უპასუხებს ხოლმე თავჩაღუნული, როდესაც ეკითხებიან ვისმეს შესახებ. დაიმსახურა მასწავლებლების სიყვარული და პატივისცემა. ბავშები მის განშორებას საშინლად სწუხან“.

**ე. პოლუმორდვინოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი საქმე

**მოქმედებენ:**

**გერდ** } ორივენი ცამეტ-ცამეტი წლის
**მართა** } ყმაწვილები, კომუჯრ. წევრები

**გერდის მამა**
**გერდის დედა**
**პირველი მუშა**
**მეორე მუშა**
**პირველი მთვრალი**
**მეორე მთვრალი**
**ბატონი**
**ქალბატონი**
**პოლიციელი ბულვარში**
**პოლიციელი ქუჩაზე**
**პირველი პოლიციელი** } დატუსაღების დროს
**მეორე პოლიციელი** }
**პირველი ჯაშუში** } დატუსაღების დროს
**მეორე ჯაშუში** }
**ნაცრისფერ პალტ. კაცი**
**მეგაზეთე**
**გამომძიებელი**
**პირველი ჯალათი**
**მეორე ჯალათი**
**პიონერი ფარდის წინ**

## სურათი პირველი

ბულვარი ერთ-ერთ ევროპულ ქალაქში. ორი გრძელი სკამი; ერთი უფრო ღრმად და პირდაპირ სდგას, მეორე ავანსცენასთან ახლოს, უფრო გვერდად მაყურებლებისაკენ. ფარდის ახდისას სცენაზე რამოდენიმე ხანს პოლიციელის გარდა არავინ არ არის. პოლიციელი ზარმაცად დადის სკამეიკების სიახლოვეს. შუა სკამთან მოდიან ერთი ბატონი და ქალბატონი და სხდებიან ზედ.

**ბატ.** ყველაფერი კარგად არის.

**ქალბატ.** ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას.

**ბატ.** საქმე ნათელია. ახალი პრეზიდენტი ძველი გამოცდილი გენერალია. ის ყოველთვის განსაკუთრებით ერთგული იყო მათი იმპერატორობითი უდიდებულესობისა.

**ქალბატ.** ეს მართალია, მაგრამ ახლა რომ თვითონ გახდა პრეზიდენტი.

**ბატ.** დროებით, დროებით, ჩემო ძვირფასო!

**ქალბატ.** როგორ?

**ბატ.** როგორ და მისთვის ყველაზე უფრო ბედნიერება ის იქნება, მოამზადოს ნიადაგი, რომ დაუბრუნდეს ტახტი!!!

**ქალბატ.** ჩვენს ძვირფას იმპერატორს?..

**ბატ** ჩვენს სალმერთებელ იმპერატორს.

**ქალბატ.** მერე, გვიხსნის კი იმპერატორი?

**ბატ.** ეჭვი გაქვს?

**ქალბატ.** მეშინია ახალი აჯანყების, ახალი რევოლუციის.

**ბატ.** რომელსაც ჩვენ ჩავახშობთ ისევე, როგორც პირველს.

**ქალბატ.** ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას.

(შემოდის ორი მუშა და სხდებიან გვერდის სკამზე).

**პირვ. მუშ.** ყველაფერი ეს დროებითია. ვერავითარი მონარქისტობა ველარ იხსნის ძველს.

**მეორ. მუშ.** მაშ აჯანყება იხსნის?

**პირვ. მუშ.** რასაკვირველია. აუცილებლად, მხოლოდ ახლა კი არა. ასე ერთბაშად.

**მეორ. მუშ.** მერე არ გაგვსრესენ?

**პირვ. მუშ.** ძალ-ღონეს შემოვიკრებთ. მოვემზადებით და მაშინ...

(შემოდის გერდი, მხარზე გაზეთების ჩანთა ჰკიდია).

**გერდ.** დღევანდელი გაზეთები, ახალი გაზეთები, ახალი პრეზიდენტის არჩევა! გენერალ... მონარქისტების დემონსტრაცია... დღევანდელი... (შეხედავს ბატონს და ქალბატონს, სწრაფად მოშორდება იმ ადგილს, მიდის მუშებთან) გაზეთები, ამხანაგებო.

**პირვ. მუშ.** რა გაზეთები გაქვს?

**გერდ.** ისეთები, როგორც თქვენ გინდათ!

**მეორ მუშ.** შენ საიდან იცი, როგორი გაზეთი გვინდა?

**გერდ.** განა პატიოსანი მუშები, თავის გაზეთს გარდა, სხვას წაიკითხავენ?

**პირვ. მუშ.** მერე შენ საიდან იცი, რომ ჩვენ პატიოსანი მუშები ვართ?

**გერდ.** ერთი სარკეში ჩაიხედეთ, რამდენი ხანია არ გამძღარხართ?

**მეორ. მუშ.** ყოჩაღო ბიჭო, მერე შენ როგორ გგონია, გაზეთის ფული გვაქვს?

**გერდ.** ფული, ამხანაგო, მოიცდის. უფულოდ შეიძლება.

**პირვ. მუშ.** (ართმევს გერდს გაზეთს, ჩუმად) პროკლამაცია!

**გერდ.** დიაღ!

**მეორ. მუშ.** მოიტა კიდევ, სხვებსაც გადავცე.

**გერდ.** მერე მე რა ვიცი, ვინ ხართ თქვენ?

**პირვ. მუშ.** (ამოიღებს ჯიბიდან წიგნაკს და აჩვენებს გერდს).

**გერდ.** წაიღეთ ათი, მეტი არ შეიძლება.

(აძლევს ფურცელს და მიდის. ბატონს გაუვლის ახლო. ბატონი ეძახის).

**ბატ.** ჰეი, ბიჭო!

(გერდი არ ჩერდება, მიდის).

**ბატ.** (წამოიწევა, წარსდგამს რამოდენიმე ნაბიჯს, დაიჰერს გერდს სახელოში. მუშები გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ).

**ბატ.** გაჩერდი, როდესაც გეძახიან. მოიტა გაზეთი!

**გერდ.** (დამშვიდებით), რომელს მიბრძანებთ?

**ბატ.** მონარქისტული ფურცელი გაქვს?

(გერდს ერთბაშად უვარდება ძირს გაზეთების მთელი გროვა, რომელიც ხელში ეჭირა. ბატონი დაიხრება ასაღებად და ხელს უშვებს გერდს; გერდი ამ დროს მოასწრებს დაცვინული ქაღალდების ატაცებას, გადახტება სკამზე და მ[illegible]ის. ბატონი წამოვარდება ყვირილით „დაიჭით, დაიჭით". მისდევს გერდს).

(ქალბატონი, განცვიფრებული და შეშინებული, იფარებს სახეზე ხელებს, ზის და ცახცახებს).

(პირვ. მუშა იმ დროს, როდესაც ბატონმა უნდა თავი დაუსწროს გერდს, ფეხს გამოსდებს და ბატონი წაიქცევა. ორი მუშა ყვირილით—„დაიჭით, დაიჭით, გარბიან სხვადასხვა მხარეს. გერდი მირბის მაყურებლების დარბაზში. ბატონი წამოხტება და მისდევს· მაყურებლები ელობებიან გზაზე და უშლიან გერდის დანახვას. ბატონი ისევ ბრუნდება სცენაზე და უსტვენს. შემოდის პოლიციელი).

**ბატ.** მე საიდუმლო პოლიციის აგენტი ვარ. აი, ჩემი ნომერი!

(გადასწევს გადაკეცილ საყელოს და აჩვენებს ნიშანს). თქვენ ცუდად გცოდნიათ თქვენი საქმე!

**პოლიც.** მე, მგონია...

**ბატ.** ძალიან ცუდია, თუ გგონიათ. აქ თქვენი თვალის წინ ბიჭები დარბიან და კომუნისტურ ფურცლებს არიგებენ და თქვენ კი...

**პოლიც.** და... და... მნაშავე ვა-აარ...

**ბატ.** თქვენი ნომერი?

**პოლიც.** 2.537.

**ბატ.** (ჩაიწერს ნომერს უბის წიგნაკში). შეგიძლიათ წახვიდეთ. უფრო ფრთხილად იყავით.

**პოლიც.** მესმის (მხედრულ სალამს აძლევს, მხედრულად მოტრიალდება და მიდის).

**ბატ.** (ქალბატონს) ამ ბიჭბუჭებზე უარესი აღარაფერია.

**ქალბატ.** რა სწრაფი და შეუპოვრები არიან.

**ბატ.** დიდრონებზე უფრო ესენი გვიჭირებენ საქმეს, წითელი ეშმაკუნები. წავიდეთ, ჩემო კარგო.

(ხელი-ხელ გაყრილნი მიდიან, რამოდენიმე ხანს სცენა ცარიელია. შემოდის მართა, ხელში ყვავილებიანი კალათი უჭირავს. ჯდება გვერდის სკამზე და იცქირება ირგვლივ. მაყურებლების დარბაზიდან სცენაზე ამოდის გერდ).

**მართა.** საქმე მაქვს.

**გერდ.** აქ საშიში არ არის?

**მართა.** არავინ არ სჩანს მახლობლად. პოლიციელი იქით ხეივანში ვიღაც ქალს ელაპარაკება.

**გერდ.** (დგება ორივე სკამის შუა კუთხეში, მართასკენ ზურგმიქცეული და მთელი ლაპარაკის განმავლობაში ადგილს არ იცვლის). აბა, თქვი!

**მართა.** (დამჯდარი პირდაპირ ლაპარაკობს) ფურცლები დაარიგე?

**გერდ.** ხუთი-ღა დამრჩა მხოლოდ.

**მართა.** ძალიან კარგი. აი სამი წერილი.

**გერდ.** მოუბრუნებლად მიიწევს მისკენ ზურგით და ართმევს წერილებს).

**მართა.** კონვერტებზე ნომრებია დასმული. ძველი შიფრია. დღესვე უნდა დაარიგო.

**გერდ.** ძალიან კარგი, (ინახავს წერილებს უბეში და სწრაფად მიტრიალდება) მართა!

**მართა.** რა იყო?

**გერდ.** ნამდვილი საქმე როდისღა იქნება?

**მართა.** განა შენ საქმეს არ აკეთებ?

**გერდ.** ეჰ, მართა, ფურცლები, წერილები. რასაკვირველია, ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ...

**მართა.** მაგრამ რაღა გინდა?

**გერდ.** დიდი, ნამდვილი საქმე.

**მართა.** რომელია ნამდვილი და დიდი საქმე?

**გერდ.** რომელია და, რომლისათვისაც საჭიროა სიცოცხლე გასწირო, თავი გაიმეტო, რომ დაამტკიცო...

**მართა.** მეტი რაღა უნდა დაამტკიცო. განა ჩვენ არ ვამტკიცებთ. რომ შეგვიძლია მუშაობა, განა...

**გერდ** ეჰ, მართა, მე ვიცი, რომ ჩვენ გვენდობიან. სხვადასხვა საქმეზე გვაგზავნიან, მაგრამ ჩვენ ხომ ბავშები ვართ. მხოლოდ და მხოლოდ ბავშები.

**მართა.** და ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია.

**გერდ.** მე კი იმაზე მეტის გაკეთება მინდა, რაც შემიძლია. მინდა, დიდებივით, სროლაში მივიღო მონაწილეობა.

**მართა.** შენთვის ყველაფერი ცოტაა, გერდ.

**გერდ.** განა ცუდია ამნაირი სურვილი? განა ეს უშლის რამეს ჩემ საქმიანობას, განა არ ვაკეთებ ყველაფერს, რასაც მავალებენ?

**მართა.** აკეთებ და კარგადაც აკეთებ.

**გერდ.** და მე მინდა კიდევ მეტი გავაკეთო და კიდევ უკეთესად...

(სცენის გარეთ ისმის საშინელი გრუხუნი).

**მართა.** რა მოხდა, გერდ?

(გრუხუნი მეორდება. მერე ყველაფერი წყნარდება. სიჩუმეს ჰკვეთს სტვენა და ყვირილი).

**მართა.** რა მოხდა, გერდ?

(სტვენა და ყვირილი უფრო ახლოს).

**გერდ.** არ ვიცი. რაღამაც იფეთქა...

**მართა.** შეხედე, ხალხი როგორ გარბის!

**გერდ.** რაც არ უნდა მომხდარიყოს, უმჯობესია აქაურობას გავეცალოთ. გავიქცეთ.

**მართა.** გავიქცეთ, მხოლოდ სხვადასხვა მხარეს.

**გერდ** რასაკვირველია.

(ორივენი მირბიან. რამოდენიმე ხანს სცენა ცარიელია. სცენის გარეთ სტვენა, სროლა, ყვირილი. შემორბის პოლიციელი, ბატონი და ქალბატონი).

**ქალბატ.** აჰ, რა საშინელებაა,ოჰ, ოჰ!.. (ისტერიულად ტირის).

**ბატ.** დამშვიდდი ერთი. უისტერიკოდაც საკმაო აყალმაყალია. პოლიციელო!

**პოლიციელი.** რას გვიბრძანებთ?

**ბატ.** დადექ იქ, იმ ხეივნის თავში. იმ სკამის იქით არავინ გაუშვათ: არც იქიდან, არც აქედან. სად არის თქვენი ტელეფონის აპარატი?

**პოლიც.** (აჩვენებს სკამეიკებს შუა მდგარ დაბალ ბოძზე).

**ბატ.** გასაღები!

**პოლიც.** (აწვდის გასაღებს).

**ბატ.** კარგი. წადით თქვენს ადგილას.

(პოლიციელი მიდის).

**ქალბ.** აჰ, ჩქარა! მოგვკლავენ ჩვენ აქ. ახ-ახ-ახ-ახ-ახ ..

**ბატ.** ხმა გაიკმიდე. შენ გეუბნებიან, შენ, ქაჯო! რამდენჯერ ვთხოვე უფროსს, არ გააგზავნო ამისთანა სამუშაოზე დედაკაცები მეთქი!

(მიდის ბოძთან, აღებს. ბოძის თავი გადიხსნება და გამოჩნდება ტელეფონის აპარატი. ბატონი იღებს მილს და ლაპარაკობს).

**ბატ.** (ტელეფონში) ალლო... ცენტრალური... საიდუმლო პოლიციის მთავარმართველობა. დიაღ, ალლო... ტელეფონთან აგენტია № 3.313... დიაღ... შესრულებულია... დიაღ... ვისროლე ორი ყუმბარა...ა... დიაღ... რასაკვირველია, დავიცადე, სანამ პრეზიდენტი შევიდოდა კარებ-

ში... დიაღ... მაინცდამაინც არა... მოკლულია მეეტლე და ცხენები... და ხალხში რამოდენიმე კაცი... ნამდვილად... ჯერ არ ვიცი... დიაღ... კარგი... დიაღ... დიაღ... აგენტები მუშაობენ... დიაღ... ხმა გავავრცელეთ, რომ ყუმბარები კომუნისტებმა ისროლეს... დიაღ... დიაღ... მესმის...

**ფარდა.**

(ფარდის წინ გამოდის მეგაზეთე).

**მეგაზეთე.** საღამოს გაზეთი „ყვითელი ფურცელი“, საღამოს გაზეთი. პრეზიდენტს, თავის სასახლეში დაბრუნების დროს, ესროლეს ორი ყუმბარა. ყუმბარების მსროლელი მიიმალა. პრეზიდენტი უვნებლად გადარჩა. მოკლულია მეეტლე. დახოცილია სამი კაცი. ხალხში ორიც დაჭრილია. დამნაშავენი, უეჭველია, კომუნისტებია!

(შემოდის გერდ, ხელში გაზეთები უჭირავს).

**გერდ.** ტყუილია. კომუნისტები აქ არაფერ შუაშია. ყუმბარა საიდუმლო პოლიციის აგენტებმა ისროლეს პროვოკაციული მიზნით. წაიკითხეთ, გაზეთი „წითელი დროშა“!

**მეგაზ.** პოლიცია!

**გერდი.** (ჩამორბის მაყურებელთა დარბაზში) წაიკითხეთ გაზეთი „წითელი დროშა“.

**მეგაზ.** პოლიცია! დაიჭით, დაიჭით!

**გერდ.** (დარბაზში) წაიკითხეთ „წითელი დროშა“, წაიკითხეთ „წითელი დროშა!“.

**მეგაზ.** (მისდევს მას) დაიჭით. დაიჭით!

**გერდი.** (გარბის დარბაზის გარეთ. კარებთან) წაიკითხეთ „წითელი დროშა“. წაიკითხეთ „წითელი დროშა“.

## სურათი მეორე

ოთახი გერდის ოჯახში. დედა მაგიდასთან ფუსფუსობს. გერდ ზის და რაღაცას სწერს.

**დედა.** (ნელის ხმით მღერის, გერდ ბანს აძლევს*).

**გერდ.** აი დალახვროს!.. კიდევ აურევიათ შიფრი. 17... 48... ეს ასე. მაგრამ ეს 50 რატომ არის აქ დასმული, ეს კი გაუგებარია.

**დედა.** იქნება გამოსცვალეს ძველი ნიშნები?

**გერდ.** არა, თორემ შეგვატყობინებდნენ... 50... უეჭველია შეცთომაა... ქვევით 67... თუ 50 მაგიერ 52 დავსვამთ, მაშინ გამოვა...

(კარებს არახუნებენ. გერდ სწრაფად მალავს ქაღალდებს).

**დედა.** მობრძანდით.

(შემოდის მართა).

**მართა.** გამარჯობათ.

**გერდ.** აჰ, ეს შენ ხარ? (ისევ ამოიღებს ქაღალდებს და განაგრძობს მუშაობას).

**მართა.** (გერდს) მამაშენი სადაა?

**გერდ.** არ ვიცი. დედა, მამა ჩქარა მოვა?

**დედა.** უნდა მოვიდეს ჩქარა. ნახევარი საათით მივდივარო, სთქვა, ახლა კი ერთ საათზე მეტიც არის გასული.

**გერდ.** მაშ ახლავე მოვა. რა იყო?

**მართა.** კიდევ მოვიდა წერილი რუსეთიდან.

**გერდ.** პიონერებისაგან?

**მართა.** უთუოდ იმათგან არის. მე ხომ რუსული არ ვიცი.

**გერდ.** მაშ სხვა ვისგან იქნება?

**მართა.** ხშირად გვიგზავნიან წერილებს.

**გერდ.** მართალია და ყოველთვის სასიამოვნოა მათგან წერილის მიღება.

**მართა.** ყოველთვის გახსოვს, რომ მტკიცე, ერთგული მეგობრები გყავს.

**გერდ.** რა მოუვიდა მამას, რომ ამდენხანს არ მოდის?

**დედა.** ხომ იცი, რა ძნელია მისთვის თავის დროზე მოსვლა. (მართას) ხანდახან შინ რომ მოდის, ექვსი-შვიდი ვერსი უნდა მიუხვ-მოუხვიოს, რომ გზა აუბნიოს ჯაშუშებს და ამიტომ აგვიანდება.

**მართა.** (ატრიალებს ხელში ბარათს). კარგია, რომ რუსული ენა იცის. ჩვენი კაცია.

**გერდ.** მერე რა საინტერესოა, როცა რუსეთის ამბებს მოგვიყვება!

**მართა.** რევოლუციის დროს ხომ რუსეთში იყო?

**გერდ,** ტყვედ ჩავარდა თხუთმეტ წელს და დაბრუნდა თვრამეტს. იცით, ლენინი ნახა იქ.

**მართა.** ვიცი. ერთხელ გვიამბო ჩვენ ბავშვების ჯგუფში. რამოდენიმეჯერ მოუსმენია ლენინის ლაპარაკი.

(კარი სწრაფად იღება და შემორბის მამა.)

**მამა.** ყველა ქაღალდები დაწვით.

| | |
|---|---|
| **დედა.** რა მოხდა!<br>**გერდ.** რა ამბავია, მამა?<br>**მართა.** რა იყო? | ერთად. |

**მამა.** ქაღალდები ღუმელში შეყარეთ, ჩქარა!

(იღებს მაგიდის უჯრიდან ქაღალდებს, მაგიდიდან ფურცლებს, სტაცებს გერდს ხელიდან ქაღალდებს, მართას წერილებს. სცენის გარეთ ისმის ხმაურობა და რახუნი.

**გერდ.** გაიქეცი მამა.

**მამა.** გვიანღაა, დაწვით ჩქარა ყველაფერი.

(დედა, მართა და გერდი სწრაფად სწვავენ ქაღალდებს ღუმელში. კარს არახუნებენ).

**მამა.** დაწვით, დაწვით ყველაფერი, ყველაფერი და დამშვიდებით იყავით, სრულიად დამშვიდებით.

(კარს უფრო მედგრად არახუნებენ).

**მამა.** ახლავე გავაღებ.

(შემოდის ორი პოლიციელი და ორი ჯაშუში).

**პოლიც.** (ამოიღებს რევოლვერს) ადგილიდან არ დაიძრა!

(ჯაშუშები დაიწყებენ სახლის ჩხრეკას, ყველაფერს გადაატრიალებენ ოთახში და ააფორიაქებენ.)

**პირვ. ჯაშუში.** (მკაცრად) თქვენ ხართ ვილჰელმ გეტლერი?

**მამა.** მე ვარ.

**პირ. ჯაშ.** გიცხადებთ, რომ თქვენ დატუსაღებული ხართ.

**გერდ.** მამა.

**მამა.** დაიცადე. (ჯაშუშს) შეიძლება გკითხოთ, რისთვის?

**პირ. ჯაშ.** ხედავთ, არამზადა კიდევაც რომ კითხულობს?

**მეორე ჯაშ.** უთხარი.

**პირ. ჯაშ.** იმიტომ, რომ ამ ხუთი დღის წინ პრეზიდენტს ყუმბარა ესროლეთ.

**გერდ.** ეს არ არის მართალი.

---

*) მღერიან რამე შესაფერ სიმღერას.

**მამა.** გერდ, ნუ ღელავ. ამათ შენზე უკეთ იციან, რომ ეს არ არის მართალი.

**პირ. ჯაშ.** მაშ იქნება თქვენ იცოდეთ, ვინ ისროლა ყუმბარა?

**მამა.** რასაკვირველია, ვიცი.

**მეორე ჯაშ.** იქნება დაასახელოთ კიდევაც?

**მამა.** დავასახელებ.

**პირ. ჯაშ.** მაშ ინებეთ და დაასახელეთ!

**მამა.** ეს არც ისე ძნელია. ყუმბარა ესროლა პოლიციის საიდუმლო აგენტმა. იქნება თქვენ, ან თქვენ?

**მეორე ჯაშ.** მაგრამ...

**მამა.** დაიცათ. დამაცადეთ, პირში გითხრათ სიმართლე. პრეზიდენტზე თავდასხმა თქვენი საქმეა. თქვენ იმიტომ დაგჭირდათ ყუმბარის სროლა, რომ ჩვენ დაგვხერიტოთ... თუმცა... ვის ველაპარაკები... გააკეთეთ თქვენი საქმე...

**დედა.** (მივარდება მამას) მშვიდობით, ვილჰელმ!

**მამა.** მშვიდობით. მშვიდობით გერდ. მარჯვედ იყავი და გააკეთე შენი საქმე.

**მართა.** მშვიდობით, ამხანაგო ვილჰელმ.

**მამა.** მშვიდობით. სალამი ყმაწვილებს. (ჯაშუშებს). მე მზად ვარ. (ჯაშუშები, პოლიციელები და მამა მიდიან. დედა ვარდება სკამზე და ტირის. მართა სდგას მის გვერდით. გერდ რამოდენიმე წუთს უძრავად სდგას. მისჩერებია კარებს, საიდანაც მამა გაიყვანეს. შემდეგ მუშტებმოღერებული წაიწევს წინ მუქარით.)

**გერდ.** წყეულები! წყეულები! არამზადები!

ფარდა.

### სურათი მესამე.

ყრუ შესახვევი. სადღაც შორს ანთებული ფარანი ჰკიდია. საღამოა. საყარაულოზე სდგას პოლიციელი საწვიმარი მოსასხამით. მარჯვენა კულისებიდან გამოდის პირველი მთვრალი, მიდის ბარბაცით. სცენაზე მეორე მხრიდან მოდის მეორე მთვრალი, შუა სცენაზე ერთმანეთს შეეხეჩებიან და ერთმანეთს ვეღარ აუვლიან გვერდს.

**პირ. მთვრ.** უკაცრავად.

**მეორე მთვრ.** არა, მე ვარ უკაცრავად.

**პირ. მთვრ.** არა, მე.

**მეორე მთვრ.** მე გითხარით, რომ მე ვარ უკაცრავად მეთქი.

(პოლიციელი ყურს უგდებს იმათ ლაპარაკს).

**პირ. მთვრ.** თქვენ არ გესმით, თქვე ბრიყვო, რომ გეუბნებით, მე ვარ უკაცრავად მეთქი.

**მეორე მთვრ.** თქვენ ამას ამტკიცებთ?

**პირ. მთვრ.** უსათუოდ.

**მეორე მთვრ.** ხომ არ გინდათ, რომ ჩაგცხო ერთი მაგ გოგრაში?

**პირვ. მთვრ.** აჰაა, აი შენ ერთი. (სცემს).

(სცემენ ერთმანეთს. ორივენი ვარდებიან მიწაზე. პოლიციელი მივარდება და აშველებს).

**პოლიც.** კარგით, თავი დაანებეთ.

**მთვრალები.** — თვალებსაც დაგთხრი.

— კბილებს ჩაგამტვრევ!

— ცხვირპირს ჩაგამტვრევ!

— ესეც შენ.

— ესეც შენ.

— ესეც შენ.

**პოლიც.** დაჩუმდით. თქვენ გეუბნებიან, თქვე ქაჯებო! ვინ გააშველებს ამათ! გაუშვით.

**პირ მთვრ.** ვერ გავუშვებ, ბატონო პოლიციელო!

**მეორე მთვრ.** მაგან მე შეურაცყოფა მომაყენა.

(ისევ მიიწევენ ერთმანეთისაკენ საცემად)

**პოლიც.** (ძლივს აკავებს) გაუშვით, თქვენ გელაპარაკებიან. წამომყევით ახლავე. მიიტანს სასტვენელს პირთან. ერთი მთვრალი წაიბორძიკებს, სტაცებს ხელს პოლიციელს ზონარში და აგლეჯს. სასტვენელი ვარდება ძირს.)

**მთვრალები:** — ჩვენ ჩუმად ვართ.

— აქა ვართ.

— ხმას აღარ ამოვიღებთ.

(ეხვევიან ერთმანეთს. კულისებში ისმის ყვირილი).

— დაიჭით! დაიჭით!

(სცენაზე სირბილით გამოვარდება ერთი კაცი, მას მისდევს მეორე ყვირილით):

— დაიჭით ქურდი, ქურდი!

(პოლიციელი სასწრაფოდ ეძებს სასტვენელს, ცოტა ხანს ყოყმანით შეჰყურებს მთვრალებს და გამოუდგება ორ გაქცეულ კაცს).

**პოლიც.** ქურდი, ქურდი დაიჭით!

(როგორც კი პოლიციელი თვალს მიეფარება, მთვრალები მაშინვე ნორმალურ სახეს ღებულობენ და ნელა უსტვენენ. სტვენის ხმაზე სცენაზე გამოვა ორი ბავში.)

**პირ. მთვრ.** ვინა ხართ?

**გერდ** გერდ.

**მართა.** მართა.

**პირ. მთვრ.** როგორც იყო მოვახერხეთ პოლიციელის თავიდან მოშორება. ქურდიც საუცხოვო იყო. ერთ - ორ კვარტალს კი გამოუდგება მაინც. თქვენ იცით რა საქმეა?

**გერდ.** ვიცით.

**მართა.** ჩვენები უკვე მოვიდენ ეტლით სატუსაღოს კედელთან. პოლიციელს არ შეუმჩნევია ისინი.

**პირვ. მთვრ.** პოლიციელი ჩვენ გვყარაულობდა.

**მეორე მთვრ.** ახლა გავსწიოთ ციხისაკენ. იქნება დახმარება იყოს საჭირო. თქვენ ორივენი აქ დარჩით. პოლიციელი თუ დაბრუნდა, შეიქციეთ როგორმე.

**გერდ.** კარგი.

(მთვრალები მიდიან).

**მართა.** აი ახლა დიდ საქმეს ვაკეთებთ.

**გერდ.** ჰო, პირდაპირ ერუანტელი მივლის ტანში.

**მართა.** გეშინია?

**გერდ.** მე? არა. მე ვღელავ. თუ ვერ მოვახერხეთ და მამა ვერ გაიქცა?

**მართა.** ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

**გერდ.** ჩვენზე რომ იყოს მარტო...

**მართა.** (ყურს უგდებს). პოლიციელი.

**გერდ.** ჩქარა.

**მართა.** (სწრაფად გაიწეწს თმას და ტანისამოსს. ყვირის): მიშველეთ, მიშველეთ!

**გერდ.** (წააქცევს და სცემს) მე შენ გაჩვენებ, მე შენ გაჩვენებ სეირს. როგორ ბედავ ყვირილს?

(შემოდის პოლიციელი).

(გერდ გაქცევას დააპირებს. მართა დაიჭერს და არ უშვებს.

**მართა.** დაიჭირეთ, დაიჭირეთ!

(პოლიციელი იჭერს გერდს).

**მართა.** მაგრად დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

**პოლიც.** რა ამბავია. უჰ, რა ღამეა. ჯერ მთვრალები, მერე ქურდები, ახლა ეს ლაწირაკები. რა მოხდა, რა მოგივიდათ?

**მართა.** თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონო პოლიციელო, მე მოვდიოდი.. ეს კი (ტირის). ეს კი...

**გერდ.** სუყველაფერს იგონებს, ბატონო პოლიციელო, არ დაუჯეროთ. ეს...

**მართა.** სტყუის... ბატონო პოლიციელო, ბატონო პოლიციელო... ღმერთმანი, ბატონო პოლიციელო!

**პოლიც.** არაფერი არ მესმის!

**გერდ.** მაშ რა უნდა მექნა, ბატონო პოლიციელო, როდესაც მითხრა, რომ...

**მართა.** სტყუი, სტყუი... ეს შენ თქვი .. მე კი...

**პოლიც.** ეშმაკმა ნუ იცის თქვენი თავი. ერთმა რომელიმემ ილაპარაკეთ. თუ გინდა ჯერ შენ, ბიჭო...

**გერდ.** აკი გეუბნებით, რომ ეს გოგო ამბობს, რომ...

**მართა.** არა, არა, მე კი არა. მე მერეც...

(სცენის გარეთ ისმის რამოდენიმე თოფის სროლა, ყვირილი. ეტლის ხმაურობა, სტვენა.)

**პოლიც.** ეშმაკსაც წაუღიხართ. მე თქვენთვის არა მცალია.

(გაქცევას აპირებს. გერდ და მართა აკავებენ).

**ორივე ერთად**— ბატონო პორიციელო!
— არა, ბატონო პოლიციელო!
— ყური დამიგდეთ!
— მე ყველაფერს გიამბობთ.

**პოლიც.** დამეხსენით.

(შემოდის ნაცრისფერპალტოიანი, თვალებზე კეპზამოფხატული კაცი. ხელში ელექტრონის ფანარი უჭირავს და გაანათებს მართას და გერდს).

**ნაცრისფერ. პალტ.** დაიჭირეთ ესენი, პოლიციელო. ესენი...

(გერდი სწრაფად გამოსდებს ფეხს და წააქცევს მას. მართა ისარგებლებს ამ არეულობით და გაიქცევა. პოლიციელი კი მაგრად იჭერს გერდს, რომელიც ცდილობს გაექცეს).

**ნაცრისფერ. პალტ.** (დგება) გოგო გაიქცა. სამწუხაროა. ბიჭი არ გაგექცეს. მაგათ უნდოდათ ტუსაღის გაქცევა მოეწყოთ, მაგრამ ჩაუფლავდათ. ტუსაღი დაჭრილია და...

**გერდ.** მამა, მამა, მამა დასჭრეს.

(ფარდა).

## სურათი მეოთხე

მაგიდა. მაგიდასთან სავარძელში ზის გამომძიებელი. წინ ღრაფინით ღვინო, ორი ჭიქა და სიგარებით სავსე ყუთი უდგას. გამომძიებელი დროდადრო ღვინოს მიირთმევს, თან სიგარას აბოლებს და მოუსვენრად იყურება კულისებისაკენ. კულისებიდან გამოდის პირველი ჯალათი.

**პირ. ჯალათი.** (იწმენდს შუბლზე ოფლს). ნება მიბოძეთ, ბატონო გამომძიებელო, ერთი ჭიქა ღვინო დავლიო.

**გამომძ.** დაისხით.

**პირ. ჯალათი.** (დაისხამს და ერთბაშად გადაჰკრავს). უჰ, დავიღალე!

**გამომძ.** გამოვიდა რამე?

**პირ. ჯალათი.** არაფერი, ბატონო გამომძიებელო. თითქოს წყალი ჩაიყენაო ბიჭმა პირში...

**გამომძ.** იცით რა, არ შეგებრალოთ, მკაცრად მოეპყარით.

**პირ. ჯალათი.** რას ამბობთ, ბატონო გამომძიებელო! ჩვენი პროფესია ისეთი კი არ არის, რომ კაცი შეგვებრალოს.

**გამომძ.** მართალია, მაგრამ მაინც იქნება, ბავში რომ არის, ამან იმოქმედოს!

**პირ. ჯალ.** როგორ შეიძლება, ბატონო გამომძიებელო! ისე მაგრად ვუჭერთ, რომ ძვლებს ტკაცატკუცი გააქვს.

**გამომძ.** მერე?

**პირ. ჯალ.** მე უკვე მოგახსენეთ, რომ ბიჭი არაფერს არ ამბობს.

**გამომძ.** ყვირის ხომ მაინც.

**პირ. ჯალათი.** როდესაც ძალიან მწარე ტკივილებს გრძნობს, ძალიან, ბატონო გამომძიებელო.

**გამომძ.** იცით, რას გეტყვით: წადით, ერთი ისე ჩასცხეთ, რომ ყვირილსაც თავი დაანებოს! შეუბრალებლად. ერთი სიტყვით, არავითარი ლმობიერება, გესმისთ!

**პირ. ჯალათ.** რას ბრძანებთ, ბატონო გამომცემელო, ჩვენ ისეთი თანამდებობა გვაქვს...

(პირველი ჯალათი მიდის. პაუზა. გამომძიებელი ღვინოს სვამს და პაპიროსს სწევს).

**მეორ. ჯალათ.** (შემოდის). ნება მოგვეცით, ცოტა ხნით შევწყვიტოთ, ბატონო გამომძიებელო.

**გამომძ.** რა ამბავია, განა ბიჭი ცუდად გახდა?

**მეორ. ჯალათ.** არა, ბატონო გამომძიებელო, ბიჭი ჯერ კიდევ ყოჩაღად ყვირის. მაგარი ბიჭია.

**გამომძ.** მაშ რა ამბავია, რატომ უნდა შესწყვიტოთ?

**მეორ. ჯალათ.** ძალიან დავიღალეთ ორივენი, ბატონო გამომძიებელო! დილას აქეთია ვაწამებთ შეუწყვეტლად.

**გამომძ.** დასწყევლოს ეშმაკმა, რა ყოფილა? ორი საუკეთესო ჯალათი ერთ ბავშს ვერ მოერიეთ. არაფრად არ ვარგიხართ არცერთი.

**მეორ. ჯალათ.** ეს ბავში ჩვენ ორივეს საიქიოს გაგვისტუმრებს! ისეთი ბავშია, რომ...

**გამომძ.** ისეთი, როგორი ისეთი?

**მეორ. ჯალათ.** ისეთი, რო მოკვდება და არაფერს არ გამოამჟღავნებს.

**გამომძ.** უნდა ისე აწამოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოკვდეს, თორემ პასუხს აგებთ.

**მეორ. ჯალ.** მე რომ მკითხოთ კი, ბატონო გამომძიებელო, ერთი ისეთი უნდა ჩაჰკრა, რომ გაათავო...

**გამომძ.** არავითარ შემთხვევაში. ბიჭი ჩვენთვის საჭიროა. ის მთავარი და ერთადერთი მოწმეა. ის...

**მეორ. ჯალ.** ის გაგვისტუმრებს ჩვენ საიქიოს თავის მოთმინებით. ის...

**პირ. ჯალათ.** (შემოდის). ბატონო გამომძიებელო!...

**გამომძ.** რატომ მიატოვეთ თქვენი საქმე?

**პირ. ჯალათ.** ბიჭმა გვთხოვა, ჩამომხსენით ჭახრაკიდანო.

**გამომძ.** რაო?

**პირ. ჯალათ.** დაგვპირდა, ყველაფერს ვიტყვიო.

**გამომძიებ.** უჰ, როგორც იქნა. მოიყვანეთ აქ.

(პირველი ჯალათი მიდის და ერთი წუთის შემდეგ შემოჰყავს შეკრული გერდი. გერდ ძლივს ადგამს ფეხებს*).

*) შემდეგი ეპიზოდი ლოპე-დე-ვეგას პიესის „ფუენტე ოვეხუნას“ მიბაძვას წარმოადგენს (აეტის).

**მეორ. ჯალათ.** აჰა, ყოჩაღ, ბიჭო. დიდი ხანია ასე უნდა მოქცეულიყავი, თორემ როგორ დაგვტანჯე. ჩვენ ხომ ქვები არ ვართ, ადამიანები ვართ. ჩვენც ვიღლებით. სრულიადაც არ იყო საჭირო, იმდენი რომ გვამუშავე.

**გამომძ.** მაშ ასე, გადასწყვიტე გვიამბო ყველაფერი?

**გერდ.** ყველაფერი, ყველაფერი, მხოლოდ შემახსენით ბაწრები.

**გამომძ.** შეიძლება. შეხსენით.

(ჯალათები ხსნიან გერდს. ყოველ ხელის შეხებაზე ტკივილისაგან კვნესის).

**გამომძ.** აბა?

**გერდ.** (გაიზმორება, გამართავს ხელებს) ოჰ, რა კარგია! რა კარგია! შეიძლება ხელების ამოძრ... ვაი!.. მგონია ერთი ხელი მოტეხილი მაქვს... ვააი!..

**გამომძ.** არა უშავს, ახლავე ყველაფერს გვიამბობ და შემდეგ საავადმყოფოში დაგაწვენთ, სანამ გასამართლება დაიწყებოდეს.

**გერდ.** მართლა?.. ძალიან კარგი... ძალიან კარგი... მხოლოდ ნებას არ მომცემთ ცოტა ხანს დავჯდე?

**გამომძ.** მიეცით სკამი!

(ერთ ჯალათს მოაქვს კულისებიდან სკამი. გერდ დიდი სიამოვნებით ჯდება და მიესვენება ზურგს).

**გამომძ.** მაშ ასე, შენ მიამბე და მე კი ჩავწერ შენს ჩვენებას.

**გერდ.** ჯერ, თუ შეიძლებოდეს, ნება მიბოძეთ წყალი დავლიო. ცივი წყალი.

**გამომძ.** იქნება ღვინოს დალევ? ა?

**გერდ.** არა, წყალს. უბრალო, ცივ წყალს.

**გამომძ.** მიეცით წყალი.

ერთ-ერთი ჯალათი მიდის საჩქაროდ და შემოაქვს წყალი.

**გერდ.** (ხარბად სვამს). აი, ახლა კი კარგად ვარ. ახლა თქვენი ბრძანების მორჩილი ვარ.

**გაგომძ.** მაშ, ახლა პირველად გვითხარი, ვინ იყვნენ შენი ამხანაგები ამ საქმის მოგვარებაში.

**გერდ.** (გაკვირვებით), რომელი ამხანაგები? რა საქმის მოგვარებაში.?

**ზამომძ.** შენ ისევ დაიწყე სისულელეები? ძალიან კარგად იცი, რაზედაც გელაპარაკები. შენი ამხანაგები—მამაშენის ციხიდან გაქცევის საქმის მოწყობაში.

**გერდ.** (თითქოს რაღაც აგონდება). წარმოიდგინეთ, ბატონო გამომძიებელო, რომ ყველაფერი დამავიწყდა.

**გამომძ.** რაო?

**გერდ.** (დაცინვით) ყველაფერი დამავიწყდა, ბატონო გამომძიებელო. თქვენმა ჯალათებმა გამომაცალეს მეხსიერება.

**გამომძ.** შენ გადირიე, ბიჭო! გინდა რომ კიდევ ჩამოგკიდონ?

**გერდ.** თქვენი ნებაა... მე უკვე ცოტათი დავისვენე.

**გამომძ.** (წამოხტება) ახ, შე პატარა არამზადავ! გაიძვერავ! კიდევაც დაგვცინი? (ჯალათებს). წაიყვანეთ ახლავე!

(ჯალათები ეცემიან გერდს).

**გამომძ.** ჩამოჰკიდეთ ისე რომ... არა, უმჯობესია სცემეთ... დაჰკარით... ასი... ორასი... სანამ არ თქვას ყველაფერი, სანამ არ სთქვას!

(ჯალათებს მიჰყავთ გერდი).

**გერდ.** (მობრუნდება) იცით რა გამომძიებელო, მე გადავწყიტე გითხრათ. მობრძანდით აქით, რაღაც უნდა გითხრათ.

**გამომძ.** (მიუახლოვდება და უყურებს პირდაპირ). აბა?

**გერდ.** (დამშვიდებით) თქვენ საზიზღარი, გათახსირებული კაცი ხართ, ბატონო გამომძიებელო!

ფარდა.

## სურათი მეხუთე.

გერდის ბინა. გერდი ლოგინში წევს. მასთან ზის მართა.

**მართა.** ახლა უკეთა ხარ, გერდ?

**გერდ.** არ ვიცი. ცოცხალი ადგილი აღარსად მაქვს.

**მართა.** ძალიან გაწამეს?

**გერდ.** ოჰ, მართა. ახლაც იმიტომ გამომაგდეს, რომ სრულიად კუტი გამხადეს.

**მართა.** აი, გერდ, დიდი საქმე რომ გინდოდა, ხომ გააკეთე!

**გერდ.** მამა კი მაინც ზის ციხეში. მერე კიდევ დაჭრილი. ვინ იცის, ცოცხალია თუ არა?

**მართა.** მე გუშინ მითხრეს უფროსებმა, რომ შენ მამაშენის ღირსეული შვილი ხარ. შენზე ბევრს ლაპარაკობენ, გერდ.

**გერდ.** განა ჩემისთანები ცოტანი არიან. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ.

**მართა.** ყველა და ყოველთვის მზადა ვართ, მაგრამ მაინც საშიშია, გერდ.

**გერდ.** მართალია, მაგრამ კიდევ უფრო საშიში სხვა რამეა.

**მართა.** რა?

**გერდ.** როგორ უნდა ვიცხოვროთ მე და დედამ. ჯერჯერობით მუშაობა მე არ შემიძლია... და უთუოდ სულაც ვეღარ შევძლებ. დედა კი...

**მართა.** სამუშაოს საძებრად წავიდა?

**გერდ.** უთუოდ ვერაფერს ვერ იშოვის.

**მართა.** რატომ ფიქრობ, რომ ვერ იშოვის?

**გერდ.** ვინ მიიღებს სამსახურში მამაჩემის მეუღლეს?

**მართა.** დიაღ... ეს მართალია... მაგრამ ორგანიზაცია დაგეხმარებათ.

**გერდ.** ორგანიზაცია უკვე დაგვეხმარა, მაგრამ იცი, მართა, ჩვენი ორგანიზაცია არც ისე მდიდარია... და მერე კიდევ...

**მართა.** მერე?

**გერდ.** მერე და რა უფლება მაქვს მე, უძრავ ინვალიდს, კუტს, ავილო ის ფული, რომელიც საქმისთვის არის საჭირო.

**მართა,** შენ ისე ავად არა ხარ, რომ საქმისათვის არ გამოდგე, გერდ.

**გერდ.** მართალია, მაგრამ დიდხანს არ გამოვდგები. აი, ხედავ, ხელებს ვერ ვანძრევ. აღარ მინდა მეტი გამოვართვა ორგანიზაციას.

(შემოდის დედა).

**გერდ.** აბა? (დედა ჩუმად მიდის, დაჯდება მაგიდასთან).

**გერდ.** გამოვიდა რამე?

**დედა.** დამპირდენ, მაგრამ...

**გერდ.** ეჰ, დედა. რატომ არ ამბობ მართალს? ჩემი დამშვიდება გინდა, განა, მე მეტს აღარ გამოვართმევ ფულს ორგანიზაციას.

**დედა.** ტყუილად არ გამოართმევ. მაშ რა ვქნათ, რა ვქნათ?

**მართა.** ორგანიზაცია ხომ...

**დედა.** არაფრის გულისათვის არ უნდა. აბა, შენ თვითონ მოელაპარაკე ერთი.

**მართა.** გერდ.

**გერდ.** მე ხომ გითხარი, მართა. შენ თვითონაც ასე მოიქცეოდი, ჩემ ადგილას რომ ყოფილიყავი.

**მართა.** არ ვიცი... შეიძლება.

**გერდ.** შეიძლება კი არა, უსათუოდ ასე მოიქცეოდი. ორგანიზაციას ფული ბრძოლისათვის უნდა. ორგანიზაციას რა უფლება აქვს კუტები არჩინოს.

**დედა.** მაშ რა ვქნათ, გერდ, რა ვქნათ?

**გერდ.** დაიცა, დედა, მე მგონია მივხდი, რა უნდა ვქნათ. დაიცა, მართა.

**მართა.** რა, გერდ?

**გერდ.** შენ გახსოვს, მართა, ის პიონერები, ჩვენ რომ წერილებს გვწერდენ?

**მართა.** როგორ არა, მახსოვს.

**გერდ.** იმათი მისამართი?

**მართა.** მე მაქვს.

**გერდ.** მისწერე, მისწერე ჩემ მაგიერად და სთხოვე...

**მართა.** შენ გგონია, დაგეხმარებიან?

**გერდ.** პიონერები? პიონერები? (წამოიწევს). მისწერე, მართა, ჩემ მაგიერ: „ამხანაგებო, პიონერებო! ძვირფასო ამხანაგებო, პიონერებო. მე, თქვენი ძმა მუშაობაში და მომავლისათვის ბრძოლაში, ვწევარ ჯალათებისაგან ნაწამები და დასახიჩრებული. მე და დედაჩემს შიმშილობა და სილატაკე მოგველის. მე ვიცი, რომ დამეხმარება ჩვენი პარტია, მაგრამ იმდენი შეძლება არა აქვს, რომ მეც შემინახოს და ცოცხალ საქმესაც მოახმაროს. თქვენი დახმარება ჩვენთვის პარტიის დახმარებაც იქნება, რომელსაც ამით ზედმეტი საზრუნავი მოაკლდება. აი რა თხოვნით მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო პიონერებო.“

(ფარდა).

**პიონერი ფარდის წინ.** თქვენ მოგმართავთ ამხანაგო პიონერებო: გახსოვდესთ მრავლის უმრავლესი წამებული ამხანაგები დასავლეთ ქვეყნებში. დე, იმათი დახმარება იყოს თქვენი, პიონერების, საქმე. შეაგროვეთ თანხა და გაუგზავნეთ რემედასს, მისწერეთ, რა სპეციალურ საქმისათვის არის ის შეკრებილი: დასავლეთ ქვეყნის მებრძოლ ბავშების სასარგებლოდაო. ნულარ გადავდებთ ამ საქმეს, შევუდგეთ ახლავე. (გაუწევს მაყურებლებს ყულაბს). ამ ყულაბაში ჩააგდეთ, ვისაც რამდენი შეგიძლიათ. ჩვენი დასავლეთის ძმების სასარგებლოდ იყავით მზად!

# პატარა ჩინ-ჯო

**(ჩინეთის ცხოვრებიდან)**

I.

პატარა ჩინ-ჯო იჯდა ნავსადგურის ნაპირას და თვალუწვდენი ზღვის რწევას გაჰყურებდა...

აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც ჩამოვიდა სოფლიდან, რომელსაც გამოექცა, რა ობლად დარჩა დედმამის და პატარა დის, სინ-ჰიუს, ჭირით გაწყვეტის შემდეგ...

ერთი კვირაა დაწანწალებს ქუჩებში მშიერი, ტიტველი, უბინაო...

ყველა გაურბის უბინაოს...

თუმცა სოფლად ობლობით დევნილმა ქალაქს რომ მოაშურა, ეგონა, აქ მაინც იშოვნიდა ლუკმა პურს, მაგრამ, რა ქალაქმა დედინაცვლობა გაუწია, მისი ფიქრები ისევ სოფელს აეტუზა...



ნავსადგურში მრავალ ხომალდსა და ნავს შორის მოსჩანან საოკეანო გიგანტები მრავალნაირ ბაირაღებით; დამკლავებული მეზღვაურნი ამაყად იყურებიან პალუბიდან...

და...

ჩინ-ჯო ნატრობს:

როცა წამოიზრდება, მეზღვაური შეიქნება, გასცურავს ევროპისკენ, ამერიკისკენ, ავსტრალიისკენ, გადასერავს კუნძულ სინგაპურს, ფილიპინს, იავას, მადაგასკარს...

ის ამ ფიქრებშია, მაგრამ სანაპირო დარაჯი ყურის აწევით იფრენს მას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და...

ჩინ-ჯო გულდაწყვეტით მიიზლაზნება ქუჩაზე...

აგერ, რიგში ჩამდგარი მეეტლენი, მუშტრის ლოდინში...

შესდგა...

მას აზრად გაუელვა პატარა ეტლის შეძენის სურვილმა: როდესაც ეს დიდი მეეტლენი დიდ, გაბერილ მუშტრებს წააქროლებენ, ესეც მათ პატარა შვილებს ჩასვამს და უკან გამოუდგება...

ფულს აჩუქებენ...

ის ამ ფულით ჩაიცვამს კარგად; გაძღება; ისწავლის...

მაგრამ რა გაახსენდა, რომ ყველა ეს აღუსრულებელი ოცნებაა, რადგან ეტლის გასაკეთებლად ფული იყო საჭირო, ისევ სოფლისკენ გადაიტყორცნა...



აჰა, მისი გონების წინ გადაიშალა მისი სოფელი...

ლამაზი კორდები...

წარმტაცი მინდვრები...

ნელა მობუტბუტე მდინარე ხან-ქინ-ზუ...

ბრინჯის მუდამ დაგუბებულ კვლებში არხეული ყანები...

აგერ, ლელიანებში განაბული მწვანე ჩიტი, რომელსაც ფეხაკრებით ეპარება და დუდგულას უმიზნებს სასროლად...

აი მათი დანგრეული ქოხი, დედის ალერსი, მამის დაყვავება, დაიკო სინ-ჰიუსთან თამაში...

და...

სწრაფად მწუხარე სურათი...

საშინელ ტანჯვით მზირალი სამთა საფლავი. ზედ არა ერთხელ მისი ობოლი ცრემლების დენა...

პატარა გული აფორიაქდა...

— შენ, ეი! პატარა თხუნელა! მოდი, ეს წამოიღე.

მოესმა მას ვაჭარ ჩეუი-ხონკუს ხმა, რომელმაც ხორაგეულით სავსე კალათა აჰკიდა...

ჩინ-ჯო იზნიქება სიმძიმის ქვეშ, მაგრამ შიმშილისაგანაც უნდა თავის დაღწევა...

გასამრჯელოს ელის...

იქნება ამ გრძელკაბიანმა, ღიპიანმა ჩეუი-ხონკუმ იმდენი აჩუქოს, რომ ეტლს იყიდის?

ჰმ...

მიდის, იღიმება; მომავალ ცხოვრების გეგმას ქარგავს...

გონება ირევა...

თვალები აჭრელდა...

II.

ზაფხულის პაპანაქება...

ქუჩებში ავარდნილი სიცხის ბუღი.

ფეხშიშველი, სოკომაგვარ ქუდიანი მეეტლეები დაარბენინებენ ფერადქოლგიან უგულო მგზავრებს...

აგერ ერთი მათგანი წაიქცა შიმშილით, ველარა ზიდა ჩასუქებული ბატონი...

და...

ქუსლის ქვეშ გმინავს...

ვინაა გამკითხავი?..

— შემიბრალეთ, ნუ მცემთ მაინც..

გაისმის მუდარა.

— ძაღლო!

ღრიალებს თეთრი მხეცი.

მეეტლე ტუჩებს იკვნეტს სიმწარით.

კოჭლობით, ბორძიკით მიათრევს ეტლს...

მაგრამ...

მგზავრი ითხოვს წიხლის კვრით; სხვა ეტლში ჯდება...

— მისტერ, ფული?

სთხოვს გასამრჯელოს.

— აი!

ეუბნება ის ნიშნის მოგებით და არტყამს წკეპლას.

— გასწი!

უყვირის ახალ მეეტლეს.

ის არ უშვებს; ებღაუჭება...

— ეი! პოლისმენ!

უძახის ის დარაჯს სათვალეთა სწორებით.

— მიბრძანეთ!

აღიმართა პოლისმენის ფიგურა დაჭიმვით.

— აბა!

უთხრა მგზავრმა და ანიშნა მეეტლეზე ზიზღით.

— შესდექ! ნუ აწუხ ბ!..

შეჰყვირა მან მეეტლეს და კინწი ჰკრა...

— როგორ?! მთელი დღეა დავარბენინებ, სახლში ლუკმა პური არ შემიტანია; ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება; მომეცით ჩემი შრომის საფასური...

ემუდარებოდა, მუხლზე დაჩოქილი, მაგრამ...

— ხა! ხა! ხა!..

ესმოდა პასუხად...

ზვავდებოდა ბოლმა..,

III.

— აჰუ!

შეჭყვირა პატარა ჩინ-ჯომ, რა ამ უსამართლობას შეხედა...

ის ხომ ამ რამდენიმე წუთის წინ პატარა მუშტებს უღერებდა ვაჭარ ჩეუ-ხონკუს, რომელმაც წელი მოსწყვიტა სანოვაგის თრევით სახლამდის, და დიდის მუნათით მისცა რაღაც უმნიშვნელო გროში, რომლითაც მეოთხედ გირვანქა პურსაც ვერ იყიდის...

— მოიცადე, შე მსუქანო ვეშაპო, გავიზარდო! ნახავ, რა დღესაც დაგაყენებ...

შესძახა ჩინ-ჯომ ეზოდან გადმოსვლის დროს მაღლიდან გადმომდგარ ვაჭარს, რომლის შვილიც დაედევნა ჯოხით, მაგრამ ისე მაგრა ჰკრა გულში მუშტი, რომ იგი ღრიალით გადავარდა არხში...

— ოი, შე ჯალათის ლეკვო!

მიაძახა მან და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა...

და...

მეეტლეს წააწყდა...

— რადა სტირი, ძია?

რადა და, ხომ ხედავ, ყველა ჩვენ გვიბრიყვებს: შინაურიც და უცხოელიც... ადამიანად ჩვენ არავინ გვაგდებს, მონებად ვყავართ და შველა კი არსაიდანაა. მთელი დღე ვატარე, ფული არ მომცა; აი, შენსავით პატარა შვილები კი შიმშილით მეხოცება...

აქვითინდა მოხუცი მეეტლე...

ჩინ-ჯოს გული ამოუჯდა...

მუშტები მოკუმშა სიბრაზით და უკვე შორს წასულ მგზავრს გაჰხედა ზიზღით, მერე შორიახლოს ატუზულ დარაჯს შეხედა, რომელმაც ამ დილას ყური აუწია, როდესაც მშიერს ნერწყვი მოსდიოდა და პურის დუქნის წინ ხელგაწვდილი იდგა...

— საზიზღარი: ჩინელია და უცხოელ თეთრებს კი იცავს...

მოესმა ჩინ-ჯოს მეეტლეს გოდება დარაჯზე.

მუშტები უფრო მოეკუმშა და ხელში ტკივილი იგრძნო...

გაშალა...

მუჭში ვაჭარ ჩეუ-ხონკუს მიერ მიცემული ფული შეამჩნია. ახედ-დახედა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, დაფიქრდა; უკვე მიმავალ მეეტლეს შეხედა და მიაძახა:

— ძია! აი, შენს შვილებს პური უყიდე...

გაუწოდა.

მეეტლეს გაეცინა. ახედ-დახედა...

— აიღე.

მოესმა იგივე ხმა.

— არა, ჩემო ბიჭიკო; შენ დაგჭირდება; მადლობელი ვარ...

მიუგო მან, ამ ბავშის გულკეთილობით ატოკებულმა. ბავშს შერცხვა; თავი ჩაღუნა...

— მხოლოდ, არ დაგავიწყდეს, როცა გაიზრდები, ამ თეთრებზე შურისძიება...

ჩასჩურჩულა მეეტლემ ყურში და გაშორდა.

ჩინ-ჯომ თვალი გააყოლა მიმავალს და სურდა ამოეკითხა მისთვის აუხსნელი დარიგება, მაგრამ იგივე დარაჯი უქნევდა თითს მუქარით...

— შურისძიება? ჰმ .. რა არის შურისძიება?...

მიდიოდა ჩინ-ჯო და მერამდენჯერმე იმეორებდა ამ სიტყვებს...

აგერ, ისევ ნავსადგურთან ამოჰყო თავი...

შურისძიება?..

ჰმ...



IV.

ვარსკვლავმოჭედილ ცისა კამარამ შანჰაის გადმოჰხურა სანეტარო თალი...

ქუჩები ავარაყდა ფერადი შუქებით...

სიცხისგან თავდახწეულ ქალაქს ზღვის ცელქმა სიომ კოჩორი შეურხია...

ნავსაყუდელის კანდელმა ზღვაზე სიბნელეს თვალები აუტრუსა...

ჩინ-ჯო ნაპირზე უპატრონოდ მიგდებულ ძველ ნავზე აცოცდა ჩუმად და ისკუპა შიგ...

ესაა მისი საფარი...

აჰა, უკვე მეორე კვირაა, რაც აქ დაიდო ბინა...

ნავსადგურზე კარგა მოშორებითაა და ნაკლები ყურადღება ექცევა...

წამოწვა, მაგრამ თვალებზე ძილი არ ეკარება.

ზღვის უბიდან ამოიზნიქა ყბამოღრეცილი მთვარე და ამოგორდა ლურჯ ცაზე მთქნარებით; მისი ანარეკლი აბანავდა აგორებულ გამჭვირვალე ტალღებში...

ქალაქი მაინც ხმაურობდა...

შორიდან ისმოდა დაგვიანებული გემის საყვირი...

ჩინ-ჯოს წარმოუდგა თავისი სოფლის თეთრი ღამეები მთვარეში.

იგი სასოებით შესცქეროს ღამის შუქურას...

მან იცის, რომ ეს მთვარე ანათებს მისი სოფლის არემარესაც და მოკითხვას აბარებს...

— ვინ იცის, კიდე გნახავ?

აეთანაშა მის ტუჩებს ნატვრა სოფელზე.

მაგრამ:

— შურისძიება? რას ნიშნავს?.. ჰმ... ჩემთვის რომ არავის უსწავლებია? მაგრამ ეს თეთრები! ეს ჩვენი ღიპიანი ვაჭრები; უკადრისა მანდარინები...

უელავდა თავში...

მან არ იცოდა, რა იყო შურისძიება, მაგრამ ყველა თეთრების და მდიდრების ჯავრი კი თანდათან ეწვეთებოდა შხამად.

— ჰმ... საზიზღარი!

წარმოსთქვა, რა გაახსენდა ამასწინად ერთ-ერთ ინგლისელ კაპიტნის ქალისაგან ქოლგის ჩარტყმა...

— ვინ არიან? გაიფიქრა მან, რა ფრთხილი ფეხის ხმა გაიგონა.

წამოცუცქდა კურდღელივით და ყურები ცქვიტა.

გაინაბა...

რამოდენიმე ჩინელი ნელა, ჩუმად მიიპარება ზღვისაკენ და, რა მიუახლოვდებიან ნაპირს, ერთ თვალს მოავლებენ გარემოს ფრთხილად და იქვე სადღაცა ჰქრებიან...

შიშმა აიტანა...



— იქნება მკვლელებია? ან ქურდები? ან იქნება კონტრაბანდისტები?

ამბობდა თავისთვის...

თუმცა ეშინოდა, მაგრამ მაინც რატომღაც აედევნა ფეხაკრეფით...

აგერ ჩაუარა ისეთსავე ნავს, როგორშიც თვითონ ათევდა ღამეს...

იქიდან სინათლე ეცა თვალებში...

მენავეები ქაღალდს თამაშობენ; ფულზე ჩხუბობენ; ლანძღავენ ერთმანეთს და დანებზე იწევენ...

ერთი მათგანი ამშვიდებს მოჩხუბრებს...

ჩინ-ჯომ ყურადღება არ მიაქცია ამათ და გაჰყვა ფეხაკრეფით მიმავალ ჩინელებს...

აგერ, ზღვის პირას, რაღაცა ხვრელი, რომელთანაც ერთი მომცრო ტანის კაცი სდგას და მიმავლებს გზას უჩვენებს.

გამოქვაბულში ძვრებიან...

ბოლოს ყარაულად მდგომიც, რა დარწმუნდა, რომ არავინაა მაყურებელი, შევიდა...

ნაპირის ქიმს ამოფარებული ჩინ-ჯოც მიცოცდა ფრთხილად...

შეძვრა...

სიბნელე...

ყური დაუგდო...

V.

— საყვარელო თანამემამულენო! როდემდის უნდა ვითმინოთ მონობა? დროა თავი დააღწიოს სალათას ძილს ხუთასმილიონიანმა ჩინეთის ხალხმა და მოიშოროს უცხოელების უღელი...

ნუთუ ამდენ დამცირებას არ უნდა მოეღოს ბოლო? აბა, გადახედეთ, ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის კალთები ვის უჭირავს: ევროპელებს, ამერიკელებს, იაპონელებს...

მთელი სიმდიდრე მათ გააქვთ ჩვენი ქვეყნიდან! ყველა მდიდარი პლანტაციები და სამრეწველოები მათ ეკუთვნით. ჩვენ გვამუშავებენ რაღაც გროშებზე, გვცემენ, გვაწამებენ და ადამიანებად არა გვთვლიან. ბევრი ჩვენი მანდარინები და ვაჭრებიც მათ ემხრობიან, გვყიდიან; ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი გმინავს მათი მათრახის ქვეშ...

თქვენ, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრს გახსოვსთ ბოქსერების აჯანყება, რომელიც ჩინეთის აჯანყების პირველი თქმა იყო; თქვენ იცით, რომ მამაჩემიც იმ აჯანყებაში დაიღუპა; მეც მზადა ვარ შევეწირო მსხვერპლად ჩინეთის თავისუფლებას; მე გაგიძღვებით წინ...

ლაპარაკობს ერთი ახალგაზრდა ჰრაქის მკრთალ შუქზე შეკრებილ ჩინელებში...

ჩინ-ჯო სუნგანაბული, გატვრენილი უსმენს...

იგი ხედავს და ეყურება, რომ ჩინელები არიან შეკრებილნი, ჩინეთის თავისუფლებაზე ლაპარაკობენ...

ახალგაზრდის ყოველი სიტყვა იფარება მუშტმაღლაანაღერ, ბოლმიანი წამოძახილებით:

— სიკვდილი ყველა მჩაგვრელებს!

— შურისძიება!..

ჩინ-ჯო თანდათან ხვდება შურისძიების მნიშვნელობას, მისი გული ღელვით უერთდება შეთქმულთა სურვილს...

— ჩვენ, ჩინეთის ამ ერთ-ერთ უდიდეს საზღვაო, სამრეწველო ქალაქის მუშები, უნდა შევიქნეთ ამ მოძრაობის მეთაურები და ყველა გამოგვყვება, მხარს დაგვიჭერს: ჩვენთანაა კანტონი, პეკინი, ხანკოუ, ჰონკონგი და მთელი გლეხობის თანაგრძნობა...

განაგრძობს ახალგაზრდა...

— აა!

შეჰყვირა იმ დაბალტანიანმა, რომელიც წეღან გამოქვაბულის წინ იდგა და მაგარი ხელები ჩაჰკიდა ჩინ-ჯოს, როდესაც მან შეთქმულთა წამოძახილებზე ყრუდ წარმოსთქვა;

— შურისძიება.

ფრთხილ ყარაულს, რომელიც შიგნითა კარებში იდგა, არ გამოეპარა. შეთქმულნი აიშალენ და იარაღს წამოავლეს ხელი.

— რა ამბავია?

იკითხა წინამძღოლმა.

— აგერ ვიღაცა პატარა ბიჭია და ყურს გვიგდებდა, მიუგო პატარატანიანმა და ჩინ-ჯო შეათრია.

— ჯაშუში იქნება.

— ზღვაში გადავუძახოთ.

— მოვკლათ.

— დავახრჩოთ.

გაისმა აქეთ-იქიდან.

ჩინ-ჯო შიშით აიწურა; ტირილი დაიწყო.

რომელიღაცის ხელში დანამ იელვა.

— შესდექით!

შეაჩერა ახალგაზრდამ და ბავშს მიუალერსა, გამოჰკითხა ვინ იყო და ან რამ აიძულა ყური დაეგდო...

ჩინ-ჯო დამშვიდდა, სლოკინს უკლო; დაწვრილებით უამბო ყველაფერი, თუ ვინ იყო, როგორ მოხვდა შანჰაიში, რამ აიძულა ასდევნებოდა მათ, და:

— როცა გავიზრდები, შური უნდა ვიძიო.

წამოიძახა მან.

— ვიზე?

შეეკითხა ახალგაზრდა სიცილით.

— თეთრებზე, ვაჭრებზე, მანდარინებზე...;

ზედიზედ მიაყარა ჩინ-ჯომ.

შეთქმულებში გულიანი სიცილი ასტყდა; იარაღებს ბუდე აჩვენეს, ხელში აიყვანეს და სათითაოდ გადაჰკოცნეს...

— აბა, ჩინ-ჯო, პატარა რევოლიუციონერო, არ დაივიწყო შურისძიება.

მხარზე ხელის დაკვრით დაარიგა წინამძღოლმა, რა კრება მორჩა და თან წაიყვანა...

დრო გადიოდა...

ჩინ-ჯოსთვის ერთხელ კიდევ მოეკრათ დარაჯებს თვალი, როდესაც მან ერთ ევროპელს სათვალეები ჩაუმტვრია ქვით და მოჰკურცხლა საითღაც...

ამბობდენ, თითქოს იაპონელების საფეიქროში არის შეგირდად ერთ-ერთ შეთქმულ მუშის ხელმძღვანელობის ქვეშო...

VI

წლებმა მხრები აიბერტყეს.

მსოფლიო შეტორტმანდა ისტორიაში გაუგონარ ომით და ახალი რუკები დაიხატა სისხლის ასოებით...

შორეული ჩინეთი აჩუჩუნდა მეზობელ იმპერიის გადატრიალებით წითელ ფერებში, საიდანაც ჩინეთის დაობებულ კედელზე გადაიწოდა მშველელი ხელი...

წითელმა დროშებმა თვალები აუსერა ღმერთების ბანაკს სამოქალაქო ომით...

შანჰაიმ დაჰკრა დაფდაფს...

სისხლის რუებმა შეღებეს ქუჩები...

აჯანყებულ დროშებზე ბრიტანული ტყვიამფრქვევი აკაკანდა...

— შურისძიება!

— ძირს დამპყრობელები!

— გაუმარჯოს ჩინეთის თავისუფლებას!

აზანზარებს არემარეს...

გაბედულთა რაზმი იცელება ტყვიებით...

მედროშე მაინც ჰყივის; წინ მიიწევს...

— ძმებო! ან გამარჯვება, ან სიკვდილი!..



დაჭრილი ეცემა ძირს და დროშას უკოცნის კალთებს...

— ატარეთ გამარჯვებამდე!

ეუბნება ის შემცვლელს და აძლევს საყვარელ დროშას, მაგრამ ისიც ზედ ეცემა განგმირული, თითქო დროშას ჰზარებოდეს საყვარელ მეთაურის დაშორება, და ზედ ეფარება სისხლის მორევში მცურავს, რომელიც გულიდან ნაკადივით გადმომდენ სისხლში აწებს თითს და სწერს ბულავარდნილ ქუჩაზე:

— შუ...რ...ი...ს...ძი...ე...ბ...ა...

მზე უკოცნის წმიდა ბრძოლაში დახუჭულ თვალებს.

ამხანაგები მოწიწებით იხრიან თავს.

ჩინეთის განთავისუფლების სამსხვერპლოზე ლამაზი ზვარაკი ილიმება სასოებით...

ახალგაზრდა ქალი კი ცრემლებით უნამავს ჭრილობას, ეხვევა, ჰკოცნის, ჰკივის:

— ჩინ-ჯო! საყვარელო ჩინ-ჯ...ო...

**სეზმან ერთაწმინდელი.**




— აბა, დურსუნ ეფენდი, დღეს წაგიყვან. გიხარია?— უთხრა მამამ.

12 წლის დურსუნ „ეფენდი“ („ეფენდის“ ეძახდენ მას ხუმრობით) სიხარულისაგან ხტოდა.



რამდენი ხანია, რაც უნდოდა მამას წაჰყოლოდა კონტრაბანდის დასაჭერად და მისი ნატვრა ასრულდა: მამა ღამე წაიყვანს შავ ზღვაში პაწია გემზე და ამავე ღამეს, ალბათ, მოხდება მრავალი საინტერესო ამბავი.

ტყუილა კი არ არის დურსუნ აჭარელი: მას არ ეშინია არც ზღვის, არც მეზობლის ძაღლის და არც კონტრაბანდისტებისაც შეეშინდება. ამაში დურსუნ ღრმად დარწმუნებულია.

— დურსუნ! არავის უთხრა, ჩუმად იყავი. მიხთი?

— კი, ბაბა, რავა ვეტყვი — უპასუხა დურსუნამ და ავარდა სახურავზე, რომ გადაეხედა ზღვისთვის და უფრო კარგად მოეფიქრა, თუ რა წაელო და რა მოემოქმედნა იმ შემთხვევაში, თუ კი კონტრაბანდისტები გაქცევას დააპირებდენ.

ფიქრებმა ისე გაიტაცა დურსუნი, რომ არც კი მიუქცევია ყურადღება მზის ჩასვლისათვის, რომელიც გავარვარებულ ბურთივით ფრთხილად ჩაეშვა ზღვაში, თითქოს ტანის ბანვა განიზრახაო, შემდეგ უხვად აბნია ზეცაში თავისი წითელი სხივები, მერმე ინანა თავისი უხვობა, თანდათან შემოიკრიბა სხივები და მთლად ჩაიმალა ზღვაში. მთვარემ დაინახა მზის ჩასვლა და მტირალი პირისახით ამოგორდა მეორე მხრიდან.

დურსუნ ეფენდიმ იფიქრა, მთვარე მზეს სჯობიაო. და რადგანაც მამამ უთხრა, მთვარე მზისაგან ანათებსო, დურსუნმა გადასწყვიტა, რომ მთვარე უეჭველად მზეს ჰპარავს სხივებს, მაშასადამე, მთვარე ცუდიაო. კონტრაბანდისტებიც ძალიან ცუდი ხალხია. ისინი ღამით მოიპარებიან, მოაქვსთ „დუხი“, ძვირფასი ფართლები, „პუდრი“ და სხვა ამგვარი ზიზილ-პიპილოები, რომლებიც მარტო განებივრებულ ხალხს სჭირია.

— მამა, რატომ იჭერენ იმგენს? — შეეკითხა დურსუნ ეფენდი მამას.

— ბაჟ'ს არ იხდიან, ეფენდი, — უპასუხა მამამ.

— რაია, ბაჟი, მამა?.

— ბაჟი იგია, შვილო, რომ შენ თუ მოგაქ უცხო სახელმწიფოდან ფართალი ან სხვა რამე, ამაში გადასახადი გხდება.

— „რატომ“?

— რატომ და იმიტომ, შვილო, რომ ამისთანა ფართალი ჩვენშიაც კეთდება, მაგრამ უფრო ძვირი გვიჯდება, და უბაჟოდ რომ შემოიტანონ სულ იაფი ფართალი, აღარ

გეიყიდება და ვინც ამ ფართლების ქარხნებში მუშები არი-ან, შიმშილით დეიხოცებიან. მიხთი?.

დურსუნ ეფენდიმ თავი დააქნია და გაიფიქრა, რომ კონტრაბანდისტები იგივე ქურდები არიან იმიტომ, რომ ქარხნებში მომუშავე მუშებს ჰპარავენ მყიდველებს.

სრულიად დაღამდა. დაბნელდა. მთვარე ღრუბლებმა დაჰფარა. მალე ქარი ამოვარდა, ღრუბლები აირია. ზღვა შეშფოთდა და თავისი ხმაურით ამცნო დურსუნ ეფენ-დის, რომ დროა ივახშმოს და მამას ელოდოს.

ჩამოხტა და შევიდა სახლში.

— სად იყავი?—შეეკითხა დედა.

— სახურავზე, ნენა. ერთი მაჭამე რამე.

დედამ გადმოუღო კეციდან ქადი, მისცა „ჰყინტი“ ყველი და ისევ სარეცხს მიჰყო ხელი.

— ნენა, დღეს მივყავარ ბაბას.

— აჰ, ბაბა, რა უჰირს!

მთელი გზა ჩუმად მიდიოდენ. მამას მოეღუშა წარბე-ბი. ალბათ, მძიმე ფიქრებში გართულიყო. შვილი ცდი-ლობდა სიბნელეებში საგნების გარჩევას. მას აფიქრებდა აგერთვე ისიც, თუ კიდევ რამდენი გასავლელი გზა დარ-ჩათ და რატომ აცახცახებდა, როდესაც სიცივეს არა გრძნობდა.

დურსუნი ისეთმა მოუთმენლობამ აიტაცა, რომ თით-ქმის ასწრებდა მამას, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

აი, გამოჩნდა სინათლე. ეს საბაჟო გემის ფარანი ანათებდა.

— მოხვედი?—შეეკითხა ნავში ჩამჯდარი მეზღვაური დურსუნის მამას.—აი ვინაა?

— ჩემი შვილია.

— მერე ნება მოგცა კაპიტანმა მაგი რომ წამეიყვანე?

— კი.



— აჰ, არ იქნება, არ გაგიშობ, დარჩი აქანე. არ გა-გიშობ, არა. ვერ ხედავ, გარეთ რა ქარია! შენ როგ...

— ჰეი, დურსუნ ეფენდი!—გაისმა ღობეს იქით მამის ხმა.

— მოვალ... მოვალ... უპასუხა დურსუნმა.

— არ შეიძ...

მაგრამ რაღა არ შეიძლებოდა, როცა დურსუნმა დაავ-ლო ხელი ყაბალახს და ბებუთს, გავარდა გარეთ და სიბ-ნელეში გაქრა.

— სა ხარ, ბაბა?

— აგერ,—უპასუხა მამამ და ხელი ჩაჰკიდა თავის შვილს.

— ჰმ, ძალიან ქარია, ტყუილა წამოგიყვანე, დურსუნ ეფენდი.

აგერ მიუახლოვდენ გემს. მიუხედავად ღელვისა, მეზ-ღვაური მშვენივრად სჭრიდა ნავით ტალღებს. მიცურდენ კიბესთან და ნავი შესდგა.

— მოხვედით?—იკითხა მაღალმა კაპიტანმა. მის მოხუც სახეს აღშფოთება ეტყობოდა.—არ უნდა წამოგეყვანა შვი-ლი. რა გქვია, ბიჭუნია?

— დურსუნ ეფენდი.

— კაი სახელია. აბა, ყველა აქ ვართ. წავიდეთ.

გაისმა მისი ჩუმი ბრძანება და ორთქლით მავალი გემი „მინინო“ დაიძრა. ფარანი ჩააქრეს. ყველა რაღაცას აკე-თებდა. მეზღვაურთა მკვეთრ მოღუშულ სახეებზე გულ-მოდგინეობა და დაუღალელობა გამოიხატებოდა. სრული სიჩუმე სუფევდა ბაქანზე. ზღვამ უმატა ღელვას და დურ-

სუნ ეფენდისაც მოემატა აღელვება. წამოვიდა წვიმა მსხვილი მარცვლებით. უცებ შორიდან გამოჩნდა სინათლის დიდი ზოლები. ეს ქალაქიდან პროჟექტორებით ანათებდენ ზღვას.

კაპიტანი ჭოგრიტით გაყურებდა ამ ზოლის მიმართულებას და ცდილობდა რაღაცის შემჩნევას, მაგრამ ზღვაზე არაფერი ჩანდა.

დაელვა, დაჭქუხა, გაანათა იქაურობა. კაპიტანმა გადააფურთხა:

— ეშმაკმა წაიღოს. არაფერი სჩანს, ნამდვილი საკონტრაბანდო ღამეა.

ობდენ გემში. მემანქანე აღგზნებული ფეხლებით ჩასჩურებოდა სისწრაფის მაჩვენებელს. დურსუნის მამას ხელები სტკიოდა საჭეს ტრიალისაგან. მაგრამ ყველა დაუღალავი და მედგარი იყო, მიუხედავად მძიმე მუშაობისა, ქარისა, წვიმისა და ზღვის ღელვისა, რომელიც თითქო ათამაშებდა, ახტუნავებდა კაპიტანის შავ „კიდობანს“—გემს.

— გააჩერე. დაუშვი იალქნები. ყველა თავის ადგილზე. ნახევარი საათით—გაისმა ხმაშეკავებული ბრძანება.

გემი აჰყვა ზღვის ტალღებს.

უცებ სიჩუმეში თოფის ხმები გაისმა. დურსუნის მამა ფეხში დაჭრილი დაეცა. კიდევ... კიდევ .



დურსუნის მამა საჭესთან იდგა და გემს მიმართულებას აძლევდა.

— ეჰ, დურსუნ, გლახა ფეხით ამოდი ამ „კიდობანზე“, თორემ.. არა, ასეთი ღამე ნამდვილი საკონტრა... ფუი, ეშმაკმა წაიღოს—ჯავრობდა კაპიტანი.

დურსუნ ეფენდის ეწყინა, რომ მას ცუდი ფეხობა დააბრალეს, მაგრამ რას იზამდა.

— ბატონო კაპიტანო, ალბათ, შეგვამჩნიეს, თორემ.

— ალბათ, ალბათ!.. შეგვამჩნევდენ, აბა რა: ისე ელავს და ანათებს, როგორც ჩემს ოთახში ელექტრონის ლამფა.

ზღვა კი ღელავდა და ბრაზობდა უამინდობისაგან. მეზღვაურები თავგამეტებით ებრძოდენ ტალღებს, ოფლში იწურებოდენ და დარბოდენ კაპიტანის ბრძანებების ასასრულებლად. გემი ხან მარცხნივ უხვევდა, ხან მარჯვნივ, ხან უკან-უკან მიდიოდა, ხან რაც შეიძლება დიდი სისწრაფით მიცურავდა წინ. მანქანები გადამეტებით მუშა-

— გაანათეთ.

გემის პროჟექტორებმა გაანათეს. ირგვლივ გემს ოთხი ნავი შემორტყმოდა. ყაბალახში გახვეულ ოცდაოთხ კაცს ეჭირა რევოლვერები. მათი სახეები თავგანწირვას გამოხატავდა. ზოგიერთებს ბომბები ჰქონდათ და გემზე გადაგდებას აპირებდენ.

— დაგვნებდით! სულერთია, გაგანადგურებთ. დაიძახა მათმა ბელადმა. ორი ნავი კინალამ მიეხალა გემს.

კაპიტანმა სწრაფად აწონ-დაწონა მდგომარეობა და დანებდა.

— ჩამოუშვით კიბე — დაიძახა ბელადმა.

კიბე ჩამოუშვეს. დიდის ვაი-ვაგლახით აცოცდენ კონტრაბანდისტები კიბეებზე, აიტანეს დიდი ტომრები, ბევრი, ძალიან ბევრი ტომარა, შეჰკრეს ყველა მეზღვაურები, კაპიტანიც, და ტომრებივით დაჰყარეს ბაქანზე ცოცხალი ადამიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი ხართ—ჰკითხა კაპიტანს ბელადმა.

—სულ ოცნი,—უპასუხა კაპიტანმა.

— სტყუი, — დასჭყივლა და ფეხი მუცელში ჩასცა. მაგის კაიუტაში სია იქნება, მოიტანეთ.

ზღვა თანდათან დაწყნარდა.

ვიღაცამ მოიტანა სია.

— ეს ძაღლი მართალს ამბობს,— წაილუღლუღა ბელადმა და ჩავიდა თავის ამხანაგებთან ერთად საკუჭნაოში, სადაც საჭმლის პოვნას იძედოვნებდენ.

კაპიტანს სრულიად დაავიწყდა, რომ გემზე კიდევ „დურსუნ ეფენდი“ იყო. მარტო დურსუნის მამას არ დაავიწყდა. იგი სწუხდა შვილის დაღუპვას: მას ეგონა, რომ დურსუნ ტალღამ გადაიტაცა, ან ტყვია მოხვდა და ზღვაში ჩავარდა.



ორი კონტრაბანდისტი სდარაჯობდა 20 შეკრულ მეზღვაურს.

დურსუნი მიცოცავდა მეზღვაურებისაკენ.

პირში ბებუთი ეჭირა.

მის აცახცახებულ სახეზე შიშის იერი კრთოდა.

იმისი კი არ ეშინოდა, მომკლავენო—მისთვის სიკვდილი უცნობი რამ იყო—მას უნდოდა აეშორებია იგი ოც დაბმულ მეზღვაურისათვის.



ნელა მიფოფხავდა დურსუნ და ნელნელა სცვიოდა ოფლი პირისახიდან ბაქანზე ჩამოშვებულ იალქნის ჩრდილში.

კიდევ რამდენიმე ადლი.

მიუახლოვდა გავსებულ ტომრებს.

დაჭიმა კუნთები. მიაწვა ტომარას. ერთი... ორი... სამი... ტომარა დაგორდა ბაქანზე. დურსუნ გაინაბა. დარაჯები გამოეკიდენ ტომარას.

დურსუნმა ისკუპა და დაახტა შეკრულ მეზღვაურს.

მეზღვაურმა დაიყვირა.

წამიც... და დურსუნი მოექცა მათ ქვეშ. იგი დამალეს.

მოვარდა დარაჯი.

— რა გაყვირებს? სთქვი, რა გაყვირებს?

მეზღვაური დაიბნა. მისმა ამხანაგმა უპასუხა:

— არაფერი. უცაბედად ფეხი მივარტყი.

— ხმა ჩაიწყვიტეთ, თქვე ძაღლებო, თქვენ...

დურსუნმა, როგორც იყო, გაუჭრა თოკი ერთ მეზღვაურს და ბებუთი გადასცა.

მეზღვაურმა გაუჭრა თოკი სხვას.

ასე დაიარა დურსუნის ბებუთმა მეზღვაურები.

უცებ კაპიტანმა დასტვინა.

ყველა მეზღვაურები წამოხტნენ.

დარაჯებმა ვერც კი მოასწრეს ამხანაგების დაძახება.

ჩუმად შეუკრეს მათ ხელ-ფეხი და ელვის სისწრაფით დაეშვენ საკუჭნაოში.

ასტეხეს ხმაური.

დააბნიეს და შეიპყრეს კონტრაბანდისტები.

ვერცერთმა ვერ მოასწრო გასროლა, ვერც ერთმა ვერ მოასწრო გაქცევა.

ისე უცებ მოხდა ყოველივე, რომ მეზღვაურებსაც კი უკვირდათ, მერე კი იცინოდენ და დურსუნს „ვაშას“ შესძახოდენ.

— ვაშა, დურსუნ, ვაშა, დურსუნ!!

მამას სახე უბრწყინავდა.

მას ფეხის ტკივილმა დაუამა; კაპიტანი მიუბრუნდა პატარა ბიჭს და უთხრა:

— კარგი ფეხი გქონია, დურსუნ. შენ კიდევ წამოგვყვები, ჩემო დურსუნ, კიდევ.

— ვაშა, დურსუნ, ისმოდა შავ ზღვაში ოცი ძლიერი ხმა. მთვარე გაკვირვებით იყურებოდა.

**დიომიდე ანთაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, თურმე რა დამავიწყდა...

ვანო ობოლი იყო.

ომიანობის დროს მამა მოუკვდა.

დედამისი თავისი ათი წლის ვანოთი შ... მოზრდილ სოფელში გადასახლდა, სადაც სახადით გახდა ავად და მოკვდა.

ვანო მთლად უპატრონოდ დარჩა.

რა ექნა, საით წასულიყო.

ბავში უპატრონოდ დახეტიალობდა სოფელში.

ერთ დღეს ამ სოფლის მღვდელმა მუშტრის თვალით შეხედა ვანოს და წაიბურტყუნა, არა უშავს რა, მოზრდილიაო.

— ობოლი ხარ, ვანო, უპატრონოდ რა უნდა ჰქნა, შვილო, წამო, შეგინახავ, შენც ცოტა რაიმეს წაიფუსფუსებ ჩვენსა, —მიმართა მან ბავშს.

რას ეტყოდა ვანო.

— კარგი,--წაილუღლუღა მან და გაჰყვა მამა გიორგის.

ამ დღიდან ვანო გახდა მისი მოჯამაგირე ან, როგორც ჩვენში ამბობენ, ბიჭი.

აქამდეც ბედნიერი არ იყო ის, მაგრამ ამ დღიდან მას დაუდგა ახალი ხანა, უკეთ რომ ვთქვათ, ტანჯვა-წამების ახალი ჟამი.

პირველ დღეებში მამა გიორგი ჩამოისვამდა ხოლმე წვერებზე ხელს და ტკბილის ენით, ღიმილით უალერსებდა ვანოს. ბევრ რამეს ჰპირდებოდა ობოლს, ბევრსაც არიგებდა, რომ თვალღიად და ყოჩაღად მოქცეულიყო, რომ კარგი კაცი გამოსულიყო.

— წლის თავზე ერთ ხელ ტანისამოსს შეგიკერავ, ერთ წყვილ ახალ ჩუსტებს და ქუდს გიყიდი, ათ სამიან*) პურსაც მოგცემ; ახლა კი, ვიდრე ახალ საქალამნეს გიყიდდე, შვილო, აი, ამ ძველი ქალამნებით იოლად წადი, ეუბნებოდა ის ვანოს.

ამ ტკბილი ენით იყო, რომ მამა გიორგი ნელნელა საქმეში აბამდა დღე-დღეზე და სამუშაოს უმატებდა ვანოს დღეს ერთ რამეს დაასაქმებდა, ხვალ საქმეს გაუორკეცებდა და ჯერ ერთ თვესაც არ გაევლო, რომ ჩვენი ვანო უკვე საქმეს ველარ ასდიოდა, საქმეში თავს იკლავდა.

რას არ აკეთებდა საცოდავი ვანო!

თავლას, გომურს ხვეტავდა, საქონელს, ცხენს აძოვებდა, ტყიდან შეშა მოჰქონდა, სამკალში პური გაჰქონდა, წყაროდან წყალს ეზიდებოდა!.. ვანოს მთელი დღე მოსვენება არა ჰქონდა, მამა გიორგის კი ერთთავად „ვანო ეს გააკეთე, ვანო ის მოიტანე“ ეკერა პირზე.

მთელი დღე ძველ, დაფხრეწილ ძონძებში გამოხვეული დარბოდა ვანო. თავზე ძველი, ვეებერთელა, თაგვებისაგან შეჭმული და ყურებზე ჩამოფხატული ფაფახი*) ეხურა, ფეხებზე დაფლეთილი და ისიც დიდი ადამიანის ქალამნები ეცვა, საიდანაც თითებს ურცხვად გამოეყოთ თავი. ისე მოიქანცებოდა ხოლმე ვანო, რომ საღამოობით როგორც მძიმე, უგრძნობი ავადმყოფი მიწვებოდა ხმელ ფიცარზე და მიიძინებდა, რომ განთიადზე ხელახლა შესდგომოდა თავის ტანჯვას, თავის მძიმე მუშაობას.

*) სამიანი—ერთი მესამედი კოდი.

*) ტყავის ქუდი.

ნათქვამია, მღვდლის მუცელი გაუმაძღარიაო, და, მართლაც, მამა გიორგი გაუმაძღარი იყო.

ამ აუტანელი მუშაობის შემდეგ, საღამოობით მამა გიორგი მიიხმობდა ხოლმე ვანოს, ერთ ლუკმა პურს მიუგდებდა და იმასაც არ აცლიდა, რომ საცოდავს ეს ხმელი ლუკმა მაინც ელოღნა, ეხრა მოსვენებით: დაადგებოდა თავზე მოქანცულ ბავშს, ხელს ჩამოისვამდა გრძელ წვერებზე, გადასჭიმავდა წარბებს და გაჯავრებული, გულმოსული ანგარიშს მოსთხოვდა, თუ რა გააკეთა ვანომ იმდღეს.

— ხარები აძოვე?.. წისქვილში იყავი?.. თივა დააბულულე?.. ფუჰ, აი, თურმე რა დამავიწყდა... არ მომაგონდა მეთქვა, რომ ბაღიდან ფიჩხი და წალამი ამოგერბენინებია.

ყოველთვის თითქო ეცოტავებოდა მღვდელს ვანო ნამუშევარი.— აი, თურმე რა დამავიწყდა... ფუჰ, როგორ დამავიწყდა ის ოხერი... რა ეშველება... ეჰ, რა ვუყოთ. ხვალ არ დაივიწყო, გააკეთე,—ეტყოდა ხოლმე ბიჭს.

ვანო დამნაშავესავით უგდებდა ყურს თავჩაქინდრული და არ იცოდა, რითი გაეძლო მამა გიორგის თვალი...

* * *

ეს მაშინ იყო, დასაწყისში, პირველ ხანებში, რომ მამა გიორგი ტკბილი ენით ელაქუცუნებოდა ვანოს და თავს უქონავდა მას.

მაგრამ გაირბინა იმ დრომ. ვანომ უკვე დაივიწყა, აღარც კი ახსოვდა ეს დღეები.

ახლა კი მამა გიორგი მას შეტევის კილოთი ელაპარაკებოდა, მრისხანე თვალით და წარბშეკრული უყურებდა მას.

— მღვდელმა ლანძღვა გინებას მიჰყო ხელი, ცემასაც კი არ აკლებდა ვანოს...

ყოველთვის, როცა საყდრიდან შინისკენ მომავალ მამა გიორგის უზარმაზარი ტანი გამოჩნდებოდა ხოლმე ქუჩაში, ვანოს ელდა ეცემოდა.—მოდის ჩემი სულთამხუთავი, დადგა ჩემი ტანჯვის ჟამი,—წაიბუტბუტებდა ხოლმე ვანო გულის კანკალით.

ბევრჯერ დააპირა ვანომ გაპარვა, რომ გადარჩენილიყო ამ უბედურებას, მაგრამ არ იცოდა, სად წასულიყო, ვის მისდგომოდა კარს. ვინ არჩენდა, ვინ შეინახავდა, ვინ მიითვისებდა მთლად უპატრონოს? ვისთვის შეეჩივლა, ვინ უსმენდა მის გაჭირვებას...

ბევრი წანწალით და ფეხშიშველა სიარულით ვანოს ფეხები გაუსივდა. ბევრჯერ ისე აწუხებდა და უბრუნდებოდა ფეხები, რომ ღამე ტკივილით ძილსაც ვერ ახერხებდა.

მოღლილი, ტკივილის ალში გახვეული ვანო გულაღმა დაეგდებოდა და ბოღმამორეული, ცრემლიანი ფიქრობდა, თუ რათ არის ის ამნაირ ტანჯვა-წვალებაში, რათ არის, რომ სხვები მოსვენებით და ბედნიერად ცხოვრობენ, ის კი ამდენს მუშაობს, მაგრამ მაინც ძალღზე უარესად ეპყრობიან მას...

მოაგონდებოდა ხოლმე, დედამისი რომ ჩასჩიჩინებდა მას: შუბლზე ეს გვიწერია, შვილო, უნდა მოვითმინოთო, და თვითონაც ამასვე იმეორებდა:

— ჩვენი ბედი ასეთია, შუბლზე ეს გვიწერია, უნდა მოვითმინოთ, შუბლის წერაა...

ამნაირად ერთმა წელიწადმა გაიარა.

ვანომ გულის კანკალით მოაგონა მამა გიორგის, რომ ის ერთ ხელ ტანისამოსს და ათ სამიან პურს შეჰპირდა მას, მაგრამ მღვდელმა ტკბილი ენით უპასუხა: — რა გეჩქარება, შვილო ჩემო საყვარელო, მოითმინე, აი, საქმეს მოვაწყობ, მოვარიგებ და მოგცემ. შენ ხომ უცხო არა ხარ, შენ ხომ ჩვენი ოჯახი! შვილი ხარ, დღეს თუ არა, ხვალ მოგცემ, შენთვის სულერთი არ არის?..

ასე გაიარა სამმა წელმა.

საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მაგრამ ვანომ ვერაფერი ვერ მიიღო.

იმედგადაწყვეტილი ვანო განაგრძობდა ძველებურად მუშაობას და შეურიგდა იმ აზრს, რომ ასე უნდა იმუშაოს, ეწვალოს, ვიდრე სული ამოძვრება.

— მღვდელი მატყუარაა, ფიქრობდა ის, რასაც გინდა დამპირდეს, მაინც არ შეასრულებს, ვერაფერს ვერ გამოიმეტებს ჩემთვის. ტყუილია, მე ვერაფერს ველირსები...

— მაშ, თუ მღვდელი მატყუარაა, რათ უნდა დავუჯერო მას სხვა რამეებშიც? ეკითხებოდა თავის თავს ვანო.

მოიგონა ვანომ, როგორ შეუტია მას მამა გიორგიმ, როცა ვანომ უთხრა, ბოლშევიკები საწყლებს და გაჭირვებულებს შველიანო...

— ტყუილია, ისინი ურჯულონი და მხეცები არიან, ყველას სცარცვავენ და ხოცავენ, მამაშენიც ურჯულოებმა მოჰკლეს ომში, ნუთუ ჯერ კიდევ ჭკუაზე არ მოსულხარ? ცხარობდა მღვდელი.

— მაშ, გაჰყვა თავის ფიქრებს ვანო, თუ მღვდელი მატყუარაა და ამას ამბობს, — მისი ეს სიტყვებიც ტყუილია და არ უნდა დავუჯერო... იქნება ბოლშევიკები მართლა შველიან ჩემისთანა გაჭირვებულ ხალხს; ეს უნდა გავიგო, გამოვარკვიო.

მაგრამ რა ჰქნას ვანომ, რომ დროს ვერ პოულობს წავიდეს, გამოიკითხოს, შეიტყოს, თუ რა ხდება ამ ქვეყანაზე.

* * *

მღვდელს ოცამდე ცხვარი ჰყავდა სხვაზე გაბარებული.

ერთ დღეს წავიდა და ჩამორეკა ეს ცხვრები, რომ თვითონ შეენახა, უფრო მეტი მოგება მიეღო.

ვანოს ახლა მწყემსობაც მოემატა.

მთელი დღე მინდორში იყო.

ცხვრების ჩამომრეკელმა მას სალამური აჩუქა.

ვანო ჩამოჯდებოდა ხოლმე მინდორში და სალამურს უკრავდა. თუ რას უკრავდა, ე მან არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ დაკვრით დარდებს იქარვებდა.

ერთხელ ვანო ჩვეულებისამებრ უკრავდა სალამურს. ერთგული ძაღლი გვერდზე წამოსწოლოდა და გეგონებოდათ, ყურს უგდებდა; ცხვრები კი ნელ-ნელა სძოვდენ. ვანომ უცებ შესწყვიტა სალამურის დაკვრა, თავი ჩაჰკიდა და ფიქრებს გაჰყვა.

რაზე ფიქრობდა, ამას თვითონაც ვერ გეტყოდათ, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მისი მდგომარეობა მძიმე და არასანატრელი იყო.

უცებ ძაღლმა შეჰყეფა. ვანომ მიიხედა და იცნო მ...აის მოჯამაგირე სანდრო.

— გამარჯობა, ვანო, რას ატირებ, ბიჭო, სალამურს?

— რა ვქნა, სანდრო, გული დამწვარი მაქვს... წყეული მღვდელი სამი წელიწადია მპირდება წელიწადში თითო ხელ ტანისამოსს და ათ-ათ სამიან პურს, მაგრამ ვერაფერს გავხდი, არაფერს იძლევა. აბა, შემხედე რა დღეში მაქვს ფეხები! ნუთუ ეს სიცოცხლეა? მთლად გადამეტყავა და დამისივდა; ღამე ტკივილები არ მაძინებს. არ ვიცი რა ვქნა, მთლად უპატრონოდ ვარ, არავინ მშველელი არა მყავს, რომ ამ უბედურებას გადამარჩინოს.

— როგორ თუ პატრონი არა გყავს, ბიჭო? საბჭოთა ხელისუფლება დედაზედაც და მამაზედაც უფრო კარგა გიპატრონებს. რა შორ-შორ დადიხარ, ბიჭო, რატომ ბოგანოების წრეში, ორგანიზაციაში არ ჩაეწერები?.

— ბოლშევიკებზე ამბობ, სანდრო? რა ვიცი, მღვდელი მეუბნება, ბოლშევიკები ყაჩაღები, ურჯულოები არიან, ხალხს ცარცვავენ და ჰკლავენ, ხოცავენო...

— ყაჩაღი და ურჯულო თვითონ არის, რომ შენ მაგ დღეში ჩაგაგდო. გამუშავებს ეგ უსვინდისო და ჯამაგირსაც არ გაძლევს. გადმო, გადმო ჩვენკენ, ვანო. ისეთ დღეში ჩავაგდოთ ეგ მხეცი, რომ გაიგოს, რა არის კანონი, სად არის სიმართლე! შენი მიკვირს, ვანო, რომ აქამდე ჩვენსკენ არ გამოიარე. რას აკეთებდი აქამდე, შე კაი კაცო? წამო, წამო, ამ საღამოს კრება გვაქვს, რაიონიდან კაცია ჩამოსული პროპაგანდაზე. წამო, ბიჭო, და იქ ყველაფერს გაიგებ, შეიტყობ, წევრადაც ჩაეწერები. ნუ გეშინია, შენს ოფლს მამა გიორგის არ შევაჭმევთ. წამო, წერა-კითხვასაც გასწავლით. . . უეჭველად მოდი ამ საღამოს სკოლაში: კრება იქა გვაქვს დანიშნული.

* * *

ვანო ჩაეწერა სოფლის ბოგანო მუშების წრეში-ორგანიზაციაში.

კრებიდან ვანო მთვრალივით გამოვიდა.

გეგონებოდათ, ის ობოლი და უპატრონო ვანო აღარ იყო. გრძნობდა რაღაც ახალ იმედს, გრძნობდა, რომ მარტო აღარ იქნება, რომ მას ეყოლება ამხანაგი, დიდი პატრონი.

მეორე დღეს მან ცხვრები მინდორში გარეკა.

გაზაფხულის გრილი და წყნარი ამინდი იდგა. ის ჩაჯდა მწვანე ბალახში, ყვავილებში. წითელი ყაჩაჩოები მხიარულად შესცქეროდენ მას, ტყიდან ფრინველების სტვენა, ჭიკჭიკი ისმოდა.

ობოლმა, დაჩაგრულმა ვანომ პირველად იგრძნო გაზაფხულის ძალა, სილამაზე...

— რა კარგად ლაპარაკობდა! ნეტავ მალმალე, იყოს კრება... რა კარგია, რა ბედნიერი ვარ... მეც „ამხანაგი“ ვარ, მეც ბოგანოთა წრეს ვეკუთვნი...

ვანოს სიხარულით გული ევსებოდა, სწყუროდა, ვინმე მის ახლო ყოფილიყო ამ წუთში, რომ თავისი სიხარული გამოეთქვა, გაეზიარებია. ის გრძნობდა, რომ მასაც პატრონი ჰყავს, რომ „ზურგი მაგარი“ აქვს, რადგანაც ამხანაგები ჰყავს. აღარ ეშინია არავისი: არც მღვდლისა, არც სხვისა....

ვანომ აიღო სალამური და მხიარულად ჩაჰბერა. ძაღლი წამოწოლილა გვერდში. ისიც მხიარულად უგდებს ყურს.

ნიავი ნაზად მოჰქრის, მზეც მხიარულად იღიმება.

ვანომ სალამური ტუჩებს მოაშორა და სმენად გარდაიქცა: რაღაცას ყურს უგდებს, რაღაც სურს მოიგონოს...

მას ჰკონია, რომ ყველანი, ყველანი, მზეც, ფრინველნიც, ყაყაჩოებიც ერთ რამეს ეუბნებიან მას:

— ნუ გავიწყდება, ვანო, რომ შენ უკვე ამხანაგები გყავს, რომ ბოგანოებში ხარ, რომ პატრონი გყავს!...

* * *

ერთმა კვირამ გაიარა. ვანო უკვე ორჯერ დაესწრო კრებას, რამდენიმეჯერ ინახულა სანდრო. მან უკვე იცოდა, თუ რა უფლება აქვს, როგორ უნდა მოსთხოვოს მღვდელს ჯამაგირი. ის მზად იყო ყველასთვის ეხარებია, რომ თვითონ ბოგანოების წრეს ეკუთვნის, მაგრამ მამა გიორგის რომ შეხვდებოდა, ერიდებოდა და ამის შესახებ კრინტსაც არ სძრავდა.

ერთ საღამოს ვანომ ცხვრები მორეკა, შემდეგ დანარჩენ საქმეს შეუდგა და ესეც რო გაათავა, სახლში შევიდა.

მღვდლის ცოლმა ერთი ლუკმა ხმელი პური მიაწოდა ვანოს. ცოტა ხნის შემდეგ მღვდელიც მოვიდა, მხამიანი თვალით გადახედა ვანოს და დაუწყო ჩვეულებრივად გამოკითხვა:

— ცხვრები დააბინავე?

— დავაბინავე, უპასუხა ვანომ ხმელი ლუკმის ღოღნით და დაბალი ხმით.

— წყალი მოიტანე?... ეზო დაგავე?,.. ხბო დააბინავე?... ჩამოსთვალა მღვდელმა ჩვეულებრივად კითხვები, ვანო კი ყველა კითხვებზე „დიახს“ უპასუხებდა, დი[illegible]თან ხმელ პურის ლუკმას ღრღნიდა. როცა მღვდელმა თავისი გაზეპირებული „ფუჰ, აი, თურმე რა დამავიწყდა“ დაუმატა, ვანომ ველარ მოითმინა, მღვდილს სიტყვა შეაწყვეტინა და მიაძახა:

— მამაო, შენ შენი დაგვიწყებია, მე კი — ჩემი..

— რა?

— ის, რომ მე უკვე ბოგანოების წრეში ვარ ჩაწერილი.

— რაო?

— ის, რომ ჩემი ნაშრომი ჯამაგირიც უნდა გადიხადო.

მღვდელი შესდგა, დაიწყო კბილის კრაჭუნი და ტუჩების კვნეტით წვერზე ხელის ჩამოსმა.

— ვანო ჩაწერილა... მაშ, მოუძებნია ბოლშევიკები! ახლა კი ხორბალს წაიღებენ! ფიქრობოდა ის და უფრო და უფრო მეტი სიმწრით ისვამდა წვერებზე ხელს.

მღვდელს ჭირი ერთი კვირის შემდეგ დაეწყო, როცა ის მისდევდა ერთს სოფლელს, რომელსაც ვანოს ხვედრი პური ალმასკომისკენ მიჰქონდა.

ამათთან იყო ვანოც ახალ ტანისამოსსა და ჩუსტებში გამოწყობილი.

მღვდელს გული ეწოდა, თითქო ეს პური და ვანოს ტანისამოსი მისი ხორციდან იყო ამოჭრილი. ის კბილებს აღრჭიალებდა, წვერზე ისევ ხელს ისვამდა და იმეორებდა:

— აი, თურმე რა დამავიწყდა! აი, თურმე რა დამავიწყდა!...

ა. რ. შაკ.

# ოქტომბერი

ვინ სთქვა, რომ ჩვენ,
ბრძოლის შვილებს,
გული ცეცხლის
დაგვილონეს?
ვინ გაბედავს!
არ შეშინდეთ,
დროშად მზე გვაქვს,
მიწა—ღონედ.
მილიონის მაჯისცემა,
მზე დროშები
ალისფერი,
მიწის პირი
გადიცელა—
მეექვსედზე ოქტომბერი.
ოქტომბერი,
ცეცხლის დარი—
ეჯიბრება მზეს თვალებით,
არ სურს ჰქონდეს
სხვა საზღვარი,—
მიწის რკალის
შემოვლებით.
დღეს ყველგან და
ყველა მღერის,
ვისი გულიც
იყო ნაღვლად.
ძლიერი ხმა
ოქტომბერის
დამზრალ ქვეყნებს
ურტყამს ნაღმად.
შენ იყავი,
მზევ, მოწამე,
დაინახავ
ჩვენში ძალას,
მილიონის გულს
ვინ დახევს?
შავ ფარდებში



გერმანელ ნორჩ პიონერთა დემონსტრაცია.

ველარ მალავს
ძველი მიწა
დამპალ სახეს.
ვინ სთქვა, რომ ჩვენ,
ბრძოლის შვილებს,
გული ცეცხლის დაგვილონეს?
ვინ გაბედავს!
არ შეშინდეთ,
დროშად მზე გვაქვს,
მიწა—ღონედ.

ჟ. მდივანი



ლენინის კუთხე

# „მზად ვართ!“

საოქტომბრო სურათი მუსიკით. სიტყვები და მუსიკა ალე ფარცხალაძის *).

სცენა წარმოადგენს ქალაქს. ახლოს მოსჩანს ფაბრიკა-ქარხნები. მომღერლები (პიონერები—ჩაქუჩით და ნამგლით ხელში) აკეთებენ ნახევარწრეს. იმათ წინ სდგას ბავში—ქაოდაკება (სიმბოლო თავისუფლებისა), წითლად მორთული. გულზე ირიბად აქვს გადაკრული წითელი ზოლი თეთრი ასოებით, წარწერით: თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.

ქანდაკება მარცხენა ფეხით დაყრდნობილია ძველი ქვეყნის ნაშთებზე და ნანგრევებზე (გვირგვინი, მეფის და მისი ამალის ტანსაცმელი და იარაღები, ტახტი და სხვ.). აქვე ახლოს ჰყრია ბორკილების და ჯაჭვების ნაწყვეტები. ქანდაკებას მარჯვენა ხელში წითელი დროშა უპყრია, რომელსაც იშვერს სცენის მარჯვენა კუთხისკენ, სადაც გამოსახულია ბურჟუაზიული ქვეყნების ციხე, პოლიტ-ტუსაღებით.

მომღერლები უცქერიან ქანდაკებას. ფარდის ასვლისას ქანდაკების წინ დადგება ერთი პიონერი—ქალი.




*) ლექსი: „შენ მოევლინე...... შენი სახელი“ ეკუთვნის ხ. ვარდოშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1 ბავში.** (დიდი სიყვარულით უცქერის ქანდაკებას და შემდეგ მიმართავს თავის ამხანაგებს):

რა ლამაზია! რა კეკლუცია!
ნეტავ ვიცოდე, საიდან არი,
ან ვინ გვაჩუქა ეს სილამაზე,
ტურფა ქმნილება, ნაზი, ნარნარი!

(უკანასკნელ სიტყვებზე ხოროდან გამოდის მეორე პიონერი ქალი, დადგება ქანდაკების წინ, 1 ბავშის გვერდით, და უპასუხებს მას).

**2 ბავში.** (მტკიცედ, ხელს ქანდაკებისკენ იშვერს)

ეს გვიანდერძა მუშის მარჯვენამ,
მან შექმნა ჩვენი ხელისუფლება,
იგი მშრომელის არის იმედი,—
სახელად ჰქვიან თავისუფლება.

**ხორო.** (მედგრად)

იგი მშრომელის არის იმედი,
სახელად ჰქვიან თავისუფლება (bis)

**1 ბავში.** (აღტაცებით)

უი! გეთაყვა, რა მალხაზია,
რარიგ უხდება კოხტა ღიმილი!

**2 ბავში.** წითლად მორთული

**1 და 2 ბავში.** რა ლამაზია!

**1 ბავში.** უთუოდ, არის ბროლისგან თლილი.

**1 და 2 ბავში.** უთუოდ, არის ბროლისგან თლილი!..

**1 ბავში** (აღფრთოვანებით)

თავისუფლება!

**ხორო.** თავისუფლება!

**2 ბავში.** დიადი არის

**ხორო.** დღეს ეს სახელი!

**1 და 2 ბავში.** (ხოროს)

მოდით, ვუმღეროთ, მოდით, ვადიდოთ,
მისკენ მივაპყროთ { 1. ორივემ / 2. სუყველამ ხელი.

**ხორო.** მოდით, ვუმღეროთ, მოდით, ვადიდოთ,
მისკენ მივაპყროთ { 1. სუყველამ ხელი. / 2 მუშური ხელი.

**ყველანი ერთად** (ქანდაკებას)

1. შენ მოევლინე ქვეყანას მხსნელად,
თავისუფლება გქვიან სახელად.
2. გშვენის დროშები ფერად ალისა,
მოხვედი გულის შვება-ხალისად.

—

3. გვხიბლავს შენი მზის აბრწყინვალება,
მოჰკალ ცოდვიან დღის ვალალება.
4. სტიქიონია შენი სახელი,
ძმობა-ერთობა განუყოფელი!

—

5. შენს სრბოლას შური ვერ მოეწია.
გიმღერის ქებით დღეს პოეზია,
6. ბედნიერების გამომსახველი,
იდიდოს მარად შენი სახელი!..

—

(აღტაცებით)

1. ვიშ, რა კოპწია რამ არის
ეს ყმაწვილი, შრომის შვილი,
საიმედოდ, სანეტაროდ
მშრომელთათვის მოვლენილი } bis.
2. დაჰკარ, ჰაბუკო, ჩაქუჩი,
აღმართე ძლევის ალამი,
ძლევამოსილსა ოქტომბერს
ჩვენი მხურვალე სალამი } bis.

(ხორო მიმართავს ქანდაკებას, შემდეგ ციხისაკენ გაიშვერს ხელებს; მთელი სცენა დგება სმენაზე)

ოღონდ კი შენის მძლავრის ხმით
ჩვენ მოგვიწოდო:
(1 ბ. ხმამაღლა მოუწოდებს) **იყავ მზად!**
წითელ დროშის წინ ფიცსა ვდებთ,
რომ ბრძოლისათვის ჩვენ 1. მზად ვართ } bis.

(ერთხმად) 2. **მზად ვართ!**

ფ ა რ დ ა.

**ალე ფარცხალაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის პიონერების შესახებ.

(პირველი წერილი მოსკოვიდან).



ეს იყო ამ წლის (1925) აგვისტოში, როცა საქართველოდან რამდენიმე ათეული მოსწავლე ახალგაზრდა იგზავნება რუსეთის სხვადასხვა ცენტრში, და განსაკუთრებით მოსკოვში, რუსულ ენაზე სწავლის მისაღებად.

ლენინგრადი და მოსკოვი—ესენია ოქტომბრის რევოლიუციის მშობელი დედები, აქ, ამ ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში იზრდებოდენ პირველი პიონერები მუშათა საქმისთვის მებრძოლი კომუნარებისა და ბუნებრივია, რომ აქვე აღმოცენდა პირველად ჩვენი თავისუფალ ნორჩ პიონერთა, პირველი ჯგუფები.

ეს იყო ამ წლის აგვისტოში, როცა ამ წერილის ავტორი, რამდენიმე სხვა ახალგაზრდასთან ერთად, მიექანებოდა წითელი მოსკოვისაკენ, იმ მოსკოვისაკენ, რომლისგანაც ჩვენ ვიღებთ რევოლიუციონურ აღზრდას და სოციალისტური აღმშენებლობის მაგალითებს.

მოსკოვამდე ცხელი, ძლიერ ცხელი ამინდები იდგა. მწველი მზე ავერცხლისფერებდა ჰაერს.

რუსეთის გადაშლილ დიდრონ მინდვრებზე ვხედავდით, თუ როგორ ახმობდენ მზეზე მოსველებულ პურის თაველებს იქაური გლეხები.

ველები, ველები, სულ დაულეველი მინდვრები, სათიველები და ყანები, მზესუმზირას და ბამბის ყანები.

მატარებელი ჩქარა სტოვებდა სადგურებს და, როგორც გაცოფებული ცხოველი, სჭრიდა ჰაერს. ხშირად შეგვხვდებოდა ტყეებიც, ნაძვნარი—ეს არის ოაზისი დაუსრულებელი მინდვრიანი რუსეთის.

ტფილისიდან ბაქომდე დაუსრულებელი, სიცხისაგან დამსკდარი მიწა, ტიალი და უწყლო, საშიშარი უდაბნო.

ამ მინდვრებში რომ ადამიანი მოხვდეს, სიცხით და უწყლობით დაიხრჩობა მეთქი—ვფიქრობდი, მაგრამ არა, აქაც, ამ უდაბნოში, გვხვდებოდა სადგურები, პატარა საწყალი ბაქანები, საიდანაც მოისმოდა ადამიანის ხმა, დაინახავდით ორიოდე გამოყვითლებულ ხეს და მის ჩრდილში დამსხდარ ბავშებს.

არაფერი, არაფერი არ არის აქ საყურადღებო. მატარებელი მიჰქრის, აქ ოდესღაც, მაშინ, როცა გადამწყვეტი ბრძოლა ხდებოდა ძველ და ახალ ქვეყანას შორის, მაშინ, როცა მუშათა კლასი ბრძოლის ველზე გამოდიოდა, ამ პატარა სადგურებზე ხდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, ომიდან მომავალი რევოლიუციონურად განწყობილი ჯარისკაცები, არბევდენ ძველ ქვეყანას, და მასთან ერთად ირბეოდა სადგურები, საცხოვრებლები და დაწესებულებები. კვალი ამ რბევისა ახლაც არის ზოგან; დაინახავ დარბეულ ბაქანს და მიხვდები, რომ ეს მაშინ დაურბევიათ, როცა ახალი ქვეყანა იბადებოდა.

აი, აქ, სადაც არაფერი არ იქცევს ყურადღებას, სადაც ყოველივე თითქოს მკვდარია, ერთადერთმა რამემ მიიქცია ყურადღება: ეს იყვნენ ნორჩი პიონერები.

პატარა რაზმი პიონერებისა თამამად მიაბიჯებდა ამ პაპანაქებაში; დოლის ზომიერ ხმაზე აეწყოთ ფეხი.

ყოველივე მკვდარია ირგვლივ.

სიცხეს, დაუძლეველ მზეს დაუშინებია ყველა.

მხოლოდ სადგურზე თუ დაინახავთ ორიოდე მოსამსახურეს.

პიონერები კი მიაბიჯებენ.

მატარებელი გაჩერდა.

ეს დიდი სადგური იყო.

ათ წუთს ვჩერდებით.

პიონერებმა თამამად გადაირბინეს ლიანდაგი და გზა განაგრძეს.

ერთ ჩამორჩენილ პიონერს ვკითხე, სად მიდიხართ მეთქი.

ვერ მიმიხვდა, შეწუხდა, ძალიან უნდოდა მასაც და მეც გაგვეგო ერთმანეთის ენა, მაგრამ ის ოსმალურად, მე კი ქართულად ვლაპარაკობდი.

იქვე მდგომმა სადგურის მოსამსახურემ მითხრა: „პიონერები, აი იქ მიდიან, იმ მთას იქით, სადაც პიონერთა საზაფხულო ბანაკია და სადაც თავს იყრიან ამ მაზრის ყველა პიონერები; იქ ცენტრია პიონერთა, იქ ტყეებია და წყალი, იქ მათ გახსნეს საზაფხულო სკოლა და სწავლობენ.

თითქოს თანხმობის ნიშნად, ოსმალო პიონერმა თავი დააქნია, აქნევს თავს და მიყურებს. რათ მიყურებს ასე დაჟინებით?

ჩემ მკერდზე „კიმის“ (კომკავშირის) ნიშანი იყო, ლამაზი ქალაქის ნახელავი და იმას „ეარშიყებოდა“ პიონერი. მან შორცხვად მიიტანა თითი პირთან და, თითქოს მუდარის ნიშნად, თვალებში ცქერა დამიწყო: მივხვდი, ბავშს ნიშანი მოეწონა. მოვიძრე და ვაჩუქე.

ბავშის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რაღაცას ეძებს ჯიბეში.

ნახა და მომაწოდა: ბზის პატარა ოთხკუთხედ, ლამაზ ნაჭერზე ლენინის სურათი იყო ამომწვარი.

მშვენიერი ნახელავი იყო.

გამიკვირდა, როგორ აკეთებენ ასე ლამაზად.

მოსამსახურემ ამიხსნა: პიონერებს ჰყოლიათ თავისი პიონერი მოხელეები, რომლებიც ასეთ ნიშნებს აკეთებენ. აქაური პიონერები მას ატარებენ თურმე.

ჩამოჰკრა მატარებლის უკანასკნელმა ზარმა.

ჩვენ გავექანეთ, პიონერი კი კიდევ შემომყურებდა, უხაროდა, უხაროდა და თითქოს მეხვეწებოდა: დარჩი, ქალაქელო კომკავშირელოო.

ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი, ასე უცხო ადამიანებს.

ისიც და მეც ვნანობდით, რომ ვშორდებოდით ერთმანეთს. შორეული ვიყავით, მაგრამ გავცილდით ერთმანეთს, როგორც ახლობლები.

ხუთი დღე უნდა გვემგზავრა მოსკოვამდე.

გავიარეთ კასპიის ზღვის ნაპირები და, როცა ვცილდებოდით ზღვის ნაპირებს, იქ, სადაც ქალაქი პეტროვსკია, გემზე, რომელიც ჩვენგან შორს არ იყო, პიონერთა რაზმი დავინახეთ.

ეს, ალბათ, გემის მეზღვაურებთან დამეგობრებულ პიონერთა რაზმი იყო; მეზღვაურები მათი „შეფები“ - მფარველები იქნებოდნენ და პიონერებს ზღვაში დასასვენებლად ასეირნებდნენ.

დაუსრულებელი იყო გალურჯებული კასპიის ზღვა, შორს ქარის მიერ გატაცებული იალქნიანი ნავი მიჰქროდა.

ვარსკვლავებად მოჩანდნენ უამრავი ნავები, მეთევზეების „იახტები“.

მოლიკლიკე წყალზე მეფობდა დინჯი ნეტარება, ისე, როგორც გადაწმენდილ ცაზე ღრუბელთა განუწყვეტელი ფენა.

შემდეგ იწყება რუსეთი—მინდორი, რუსეთი — ველი, რუსეთი თავისი მუდამ სავალი გზებით, და როგორც ძარღვები ადამიანის სხეულში, ისე გაბმულა სოფლებს შორის გრძელი შარა გზები, დიდხანს სავალი და დაულეველი. ეს გზები—ის ძარღვებია, რომლითაც ცხოვრობენ სოფლები, რომლებიც ამყარებენ მათ შორის კავშირს, ძმობას.

ერთ სადგურზე გავჩერდით.

ველები მოფენილია საზამთროებით.

რონოდები („ვაგონები“) იტვირთებიან უამრავი საზამთროებით და მოაქვთ ქალაქებში.

სადგურზე ბევრი ხალხია. სეირნობენ, ვაჭრობენ, მიდიან, მოდიან.

მათი ჟრიამული აცოცხლებს ტიალ მინდვრებს.

ერთ ახალგაზრდას „კამფეტების“ და ტკბილეულობის უჯრა ეჭირა ხელში და გაიძახდა: „ირის-მარმალად“.

მას კომკავშირელის ნიშანი ჰქონდა გულზე.

გამოიარა პიონერების პატარა ჯგუფმა.

ღიმილითა და ცოცხალი საუბრით იპყრობდენ ყურადღებას.

ერთი უფროსთაგანი გამოეყო, მივიდა მოვაჭრე კომკავშირელთან და ნახევრად გასაგონად უთხრა:

— „Комсомолец не торгует“. (კომკავშირელი არ ვაჭრობს).

მოვაჭრე კომკავშირელმა, თითქოს ბოდიშის ნიშნად, სახე დამანჭა საცოდავად:

— ფულია, ძმაო, საჭირო, ფული... წაილუღლუღა მან დარცხვენით.

* * *

ხუთი დღის შემდეგ მოსკოვში ვიყავით. მოძრაობა, ხმაური, ჩოჩქოლი.

როგორც დინამო-მანქანა, ისე ქშინავს და რახუნობს ქუჩები, გაიელვებს ავტომობილი, ტრამვაი ჩქარი და მოუსვენარი, ავტობუსები (დიდი ავტომობილი) დაჰქრიან გამალებით.

სადგური დიდია და ადამიანი იკარგება ამ ზღვა ხალხში.

როგორც ტალღა, ისე გაგიტანს მიმავალი ხალხის წყება ქუჩაში.

ძლიერია, ძლიერია მოსკოვი.

აქ უკვე ველარ გრძნობ საკუთარ თავს, გგონია, რომ შედუღებული ხარ მთელ სამყაროსთან, მთელ ქვეყანასთან და, როგორც მისი უძლური ნაწილი, მოძრაობ და გარბიხარ. რამოდენიმე ათეულ ვერსის მანძილზე გადაშლილი წითელი მოსკოვი, გული საბჭოთა რესპუბლიკებისა.

ვინ, რომელი ქვეყნიდან არ მოდის აქ? ჩინელი გამორბის თავისი ქვეყნიდან, რომ თავისუფლად ამოისუნთქოს მოსკოვში, რომ მოსცილდეს დამონავებულ ჩინეთს, ინდოელები აქ აგზავნიან თავის საუკეთესო შვილებს, რომ მოემზადონ, ისწავლონ მოსკოვიდან, თუ როგორ უნდა ახალი ცხოვრების შენება, გერმანიის, საფრანგეთის, იტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანელი პიონერებისაგან დროშა ს. ს. რ. კ-ის პიონერებს.

ლიის, ინგლისის და ყველა ქვეყნის მუშათა კლასის წარმომადგენლები აქ მოდიან, რომ ითათბირონ კაცობრიობის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი და ოსეთი აქ გზავნის თავის ახალგაზრდებს, რომ ისწავლონ და ყოველთვის მზად იყონ მუშათა საქმისთვის; აქ, მოსკოვში მოუყრიათ თავი რევოლიუციის ყველა დიდ ბელადებს, ლენინის ამხანაგებს და თანამებრძოლთ, აქ წყდება საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების მომავალი ცხოვრების ბედი.

პიონერები ყველა ქალაქებზე უფრო კარგად აქ არიან დარაზმულნი. ამ ზაფხულში ისინი სოფლებში წავიდენ, მოაწყვეს საზაფხულო ბანაკები, სოფლად დარაზმეს ნორჩ პიონერთა რიგებში, სოფლის ჩამორჩენილი ახალგაზრდობა, წავიდენ წითელი ჯარის სადგომებში, ძმურად და ამხანაგური კავშირით შეუკავშირდენ სოფლის ღარიბ გლეხობას, ეხმარებოდენ სოფლის გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს ყანის დამუშავებაში, სწავლობდენ და იწვრთნებოდენ, ჯანსაღდებოდენ და მაგრდებოდენ.

ახლა ისინი ბრუნდებიან ბანაკებიდან ქალაქში; უკვე აცივდა და სიცივემა იძულა პიონერები, დაბრუნდენ მოსკოვში.

აქ ისევ დაიწყებენ მუშაობას ქალაქად, ფაბრიკა-ქარხნებთან, განაახლებენ თავის კუთხეებს, გამოსცემენ კედლის გაზეთებს, იმეცადინებენ წრეებში...

პიონერების საზამთრო მუშაობა უკვე დაიწყო თითქმის, სამზადისი გათავებულია.

მკითხველს პიონერების საზამთრო მუშაობას, მოსკოვის პიონერების ცხოვრებას ჩვენ მეორე წერილში გავაცნობთ, მოვუყვებით, თუ როგორ მუშაობენ და სწავლობენ აქაური პიონერები, რით და როგორ ერთობიან, მოვუყვებით აქაური დიდი საბავშო თეატრის შესახებ...

**ბიჭიკო.**

25 აგვისტო. 1925 წ. მოსკოვი.

# ჩვენც მივდივართ!

მწკრივზე მწკრივი,
რიგთან რიგი,
ნაბიჯებმა იკრიალოს...
ეს დღეები ხომ წინ მიდის,
დღეს მათ გულზე
რომ ვფრიალობთ.

გავა დრო და გამაგრდება,
ეს ნაბიჯი—
ახლა ნორჩი;
ის არ კვდება,
ის არ კვდება,
ვის შუბლზედაც ცეცხლი მოჩანს.

და ჩვენს შუბლზე
ხომ ცეცხლია,
ჩვენ ხომ ცეცხლმა
გვშობა მაშინ,
როცა ქუჩებს სისხლი რეცხდა
და გვიმღერდა ნანას ქარში.

**თამარ ჩქარეული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ უნდა გახდე ლენინელი.

ყველას უნახავს ქუჩაში მწყობრად მოსიარულე წითელყელსახვევიანი ბავშები. ყველამ იცის, რომ ისინი პიონერები არიან. მათ დანახვაზე ბურჟუა, ვაჭრები და ყველა კონტრ-რევოლიუციონერი შავრაზმელები თრთიან და ცახცახებენ. ისინი ზიზღით უყურებენ ქუჩებში მძლავრი ნაბიჯებით მოსიარულე პიონერებს, მაგრამ მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს, სიყვარულით შესცქერის მათ. აი, აგერ, ქუჩაზე მოდიან მუშათა ჯგუფები. პიონერების ალლუმია. გაისმის წინამძღოლის ხმა: „იყავით მზად",—ისმის საპასუხო გუგუნი: „მზადა ვართ!" მუშები ხარობენ, მათი გული იმედით ივსება, როდესაც ხედავენ მჩქეფარე სისხლით ალგზნებულ პიონერებს.

* * *

ყმაწვილებო! გარდა საბჭოთა რესპუბლიკებისა, ყველა დანარჩენ ქვეყნებში არის ბურჟუაზიული წყობილება. ბურჟუას, რომელიც მუშების ნაოფლარით ცხოვრობს, მათ სისხლს სწოვს, უნდა, რომ ეს თავისი ბატონობა შეინარჩუნოს, მას ვერ მოუთმენია, რომ მუშები მას ებრძვიან. განა რა დაუშავებიათ მუშებს? მუშა ხომ ქმნის ყველაფერს. მუშა ოფლს ღვრის მის გაკეთებულს კი სხვა ითვისებს. მიუხედავად იმისა, რომ მუშები ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღე-და-ღამ მუშაობენ, ისინი შიმშილით იხოცებიან.

რათ ხდება ასე?

მთელი ეს ბოროტება ჩამარხულია ბურჟუაზიულ წყობილებაში. ბურჟუაზია, რომელიც ასი წლობით სტანჯავდა მშრომელ ხალხს, დღეს კიდევ ფარფაშებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში და უკანასკნელ სისხლის წვეთებსაც კი აცლის მშრომელ ხალხს. დღეს მისი სიმხეცე უმაღლეს წერტილამდის მიდის. გადახედეთ მათ ციხეებს. თქვენ დაინახავთ, რომ ციხეები ავსებულია მუშათა კლასის საუკეთესო მებრძოლი რევოლიუციონერებით. გამხეცებული ბურჟუაზია ასობით ახრჩობს და ათასობით ხვრეტს მუშების საუკეთესო შვილებს.

ბურჟუაზიის ვერაგობამ ბევრი დედა აატირა, ბევრი ბავში დასტოვა უპატრონოდ, რომელნიც ქუჩებში შიმშილობის მსხვერპლი ხდებიან.

რა უნდა ჰქნას მუშათა კლასმა? განა მან გულზე ხელდაკრეფილმა უნდა უყუროს ბურჟუაზიის ამ ვერაგობას?

მუშათა კლასმა თავის სისხლის მსმელებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, მან მიწის პირისაგან უნდა აღგავოს ყველა მუქთახორა ვაჭბატონები, უნდა დაამსხვრიოს ძალადობასა და მონობაზე აგებული ბურჟუაზიული წყობილება, სასტიკად უნდა გაუსწორდეს ყველა თავის მტრებს, უნდა დაამყაროს მუშათა რევოლიუციონური დიქტატურა და შეუდგეს ახალი, კომუნისტური საზოგადოების შენებას, სადაც არ იქნება არც მდიდარი, არც ღარიბი, არც მონა, არც ბატონი, არც მტანჯველი და არც დატანჯული.

* * *

მუშათა კლასმა განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო თავისი გაჩენის დღიდან. ბევრი სისხლი დაიღვარა. ბევრი საუკეთესო, ენერგიით და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა შეეწირა ამ ბრძოლას. მაგრამ განა ამის ეშინია მუშათა კლასს?—არა, ბრძოლის ველზე დაცემულ რევოლიუციონერებს ცვლიან ახალ-ახალი მედგარი რევოლიუციონერები, მუშათა კლასი ძალებს იკრებს, ის ერთიანდება და საერთო ძალით ეკვეთება მტერს. სწარმოებს სასტიკი და ულმობელი ბრძოლა. ამ ბრძოლაში აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს მუშათა კლასმა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიის დამარცხება ადვილი არ არის: ბურჟუაზიის განკარგულებაში არის პოლიცია, ჟანდარმერია, მას ეხმარებიან მენშევიკები და ყველა წვრილბურჟუაზიული ელემენტები. ყველა მუშათა კლასის მტრები ქმნიან მთლიან ფრონტს მუშების წინააალმდეგ. მაგრამ არც მუშებს სძინავსთ, ისინიც კავშირდებიან,ირაზმებიან და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებიან. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს მე 3-ე კომუნისტური ინტერნაციონალი, კომუნისტური პარტია, რომლის ბელადი და დამაარსებელი იყო **ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი-ლენინი.** გადამწყვეტი ბრძოლისთვის მუშათა კლასი ახდენს თავისი ძალების მობილიზაციას. ახალგაზრდობა, როგორც განუყრელი ნაწილი მუშათა კლასისა, ამ ბრძოლაში მასთან უნდა იყოს. ახალგაზრდობამ უნდა შესძლოს რევოლიუციის უძლეველი არმიის შედგენა, ის უნდა დაუკავშირდეს მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლას.

ახალგაზრდობამ ეს უკვე დიდი ხანია შეიგნო. მან დაინახა, რომ სათავე ყოველგვარი უბედურების არის ბურჟუაზიული წყობილება და მიზნად დაისახა მუშათა კლასთან ერთად ამ წყობილების წინაალმდეგ ბრძოლა. მუშათა კლასმაც ხელი გაუწოდა თავის შვილებს. მოზარდი თაობა, შეიგნო რა თავისი კლასიური ინტერესები, გაერთიანდა რევოლიუციონურ კომუნისტურ ორგანიზაციაში. ჩვენი პიონერები არიან წევრები ამ რევოლიუციონური კომუნისტური ორგანიზაციისა, რომელსაც ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია ეწოდება. მათ მიზანს შეადგენს მუშათა კლასთან ერთად ბრძოლა, მათთან სიკვდილი და მათთან სიცოცხლე. უძლეველი, უთვალავი რაზმები პიონერების,—ეს არის რისხვა მომავალი ბრძოლების დროს მუშათა კლასის მტრებისთვის, თვით მუშებისთვის კი გამარჯვების იმედი. აი, რისთვის ცახცახებს და ეზიზღება ბურჟუას პიონერის დანახვა და რისთვის ხარობს და ამაყობს მუშა წითელყელსახვევიანი ბავშების დანახვაზე.

* * *

მუშათა კლასის მომავალ დიდ ბრძოლას პიონერები და მთელი მოზარდი თაობა მომზადებულად უნდა შეხვდეს. ჩვენი პიონერები ატარებენ ლენინელთა სახელწოდებას. ლენინიზმი მუშებს ასწავლის, თუ როგორ უნდა იბრძოლონ ბურჟუაზიის წინაალმდეგ, როგორ უნდა აშენონ ახალი კომუნისტური საზოგადოება.

ლენინიზმი არის მუშათა კლასის თეორია და პრაქტიკა.

მომავალი თაობა, რომელსაც წილად ხვდება გადამწყვეტი ბრძოლა და კომუნისტური საზოგადოების შენება, ლენინიზმის პრინციპზე უნდა აღიზარდოს, მან უნდა

ისწავლოს ნამდვილი, ლენინური, ბოლშევიკური ბრძოლა.

პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაც აქეთკენაა მიმართული.

მაგრამ ლენინელად გახდომა ადვილი საქმე არ არის, ამისთვის საჭიროა თავდადებული ბრძოლა. ლენინელად შეუძლია გახდეს მას, ვინც მთელი თავის ძალ-ღონეს შესწირავს მუშათა კლასის ინტერესებს, ვინც აქტიურად ჩაებმება და იბრძოლებს მუშების განსათავისუფლებლად, ვინც ყოველ თავის ნაბიჯებს შეუკავშირებს მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლას.

არ შეიძლება ლენინელად გახდე მაშინ, როდესაც პირად ინტერესებს საერთო ინტერესებზე მაღლა აყენებ და ამით არევ-დარევა შეგაქვს საერთო ცხოვრებაში.

ყოველ პიონერს, ლენინელს უნდა ახსოვდეს, რომ მის პირად ინტერესებზე მაღლა დგას მუშათა კლასის ინტერესები, რევოლიუციის ინტერესები.

მან უნდა იცოდეს, რომ გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შეკავშირებით, საერთო ძალით და თავდადებული ბრძოლით.

ლენინელად არ შეუძლია გახდეს მას, რომელიც ლაპარაკობს, რომ მან ყველაფერი იცის და მეცადინეობას აბუჩად იგდებს.

ლენინელად გახდომა შეიძლება მაშინ, როდესაც შეითვისებ და დაამუშავებ ყველა იმ ცოდნას, რაც შეუქმნია კაცობრიობას დღემდე.

პიონერმა უნდა შეისწავლოს, თუ როგორ იბრძოდა მუშათა კლასი წარსულში, მან უნდა იცოდეს ბუნების მოვლენების ახსნა, უნდა სწავლობდეს ტეხნიკის განვითარებას და სხვ.

ყველას უნდა ახსოვდეს **ილიჩის** ანდერძი: **ცოდნის გარეშე არ არის კომუნიზმი.** მაშასადამე, პიონერმა უნდა დაისახოს მიზნად: პირველად—სწავლა, მეორედ—სწავლა და მესამედ—სწავლა, მაგრამ ეს სწავლა მარტო სწავლად არ უნდა დარჩეს: ის უნდა გამოვიყენოთ ცხოვრებაში, უნდა დავუკავშიროთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას. პიონერი არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის გარეშე; მას უნდა ახსოვდეს, რომ ლენინი უდიდეს როლს ანიჭებდა ორგანიზაციულ მჭიდრო შეკავშირებას. პიონერების მოვალეობაა, მჭიდროდ შეკავშირდენ ორგანიზაციაში. ლენინი იყო ყველაზე საუკეთესო წევრი კომუნისტური პარტიისა, ყველაზე უფრო კარგად ესმოდა მას პარტიის ამოცანები და ყველაზე უფრო სცდილობდა მისი მთლიანობის დაცვას.

ილიჩის ეს თვისებები სავსებით უნდა შეითვისონ პიონერებმა ისინი უნდა ცდილობდენ, გახდენ საუკეთესო წევრები ორგანიზაციისა, შემდეგ—კომკავშირის, მერმე კი პარტიისა.

ყოველ პიონერს უნდა ახსოვდეს, რომ ის არის წევრი დიდი კომუნისტური ორგანიზაციისა, ის არის პატარა ჯარისკაცი ილიჩის დიდი არმიისა. ყოველი პიონერი უნდა ცდილობდეს, რომ გაავრცელოს პიონერთა გავლენა მოზარდ თაობაში, ის უნდა იყოს მაგალითის მაჩვენებელი შეუკავშირებელი ბავშვებისთვის.

პიონერებს არ უნდა ახასიათებდეს მშრალი, მკვირალა სიტყვა: ლენინს ყველაზე უფრო ეზარებოდა ეს. მათ უნდა იცოდენ სერიოზული, ნაყოფიერი მუშაობა. პიონერი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებში, აქტიურად მუშაობს ახალი სკოლის შენებაში, ცდილობს, სკოლის ცხოვრება დაუახლოვოს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ არამცთუ მარტო სკოლაში მუშაობს ის, მუშაობს ქალაქში და განსაკუთრებით კი სოფელში.

მას კარგად უნდა ახსოვდეს ილიჩის ანდერძი, რომ მუშათა კლასის ბრძოლის დროს ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშების და გლეხების კავშირს. ის უნდა ცდილობდეს ამ კავშირის განმტკიცებას. როდესაც ყველა ამას შეასრულებენ პიონერები, მაშინ გახდებიან ისინი ნამდვილი ლენინელები.

* * *

ყველა ახალგაზრდა ყმაწვილების მოვალეობას შეადგენს — გახდენ პიონერთა ორგანიზაციის წევრები, შემოკრბენ პროლეტარული რევოლიუციის დროშის ქვეშ, ისწავლონ და შეიგნონ, რომ ბურჟუაზია სისხლიანი ხელებით მხეცურად ჟლეტს მებრძოლ მუშებს, და ემზადონ სამაგიეროს გადასახდელად.

მძლავრი ნაბიჯით წინ, მოზარდო თაობავ, ლენინიზმით ხელში.

როდესაც კვლავ დაინთება ბრძოლის ცეცხლი, რევოლიუციის პირველ გუგუნზე პიონერები მზად უნდა იქნენ ბურჟუაზიული წყობილების საბოლოო დამსხვრევისათვის. მათ მაღლა უნდა ასწიონ ძლევამოსილი საერთაშორისო პროლეტარიატის თავისუფლების და შრომის დროშა...

**შ. ტ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არიან პიკორები.



ამერიკელი პიონერები.

ყველა პიონერულ ჟურნალ-გაზეთებს ჰყავს თავისი პიონერ-კორესპონდენტი (პიკორი).

კორესპონდეენტი ეწოდება იმას, ვინც სწერს გაზეთში ან ჟურნალში სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის და ცხოვრების შესახებ. კორესპონდენტი მუდმივად მონაწილეობს გაზეთში და ჟურნალში და აღწერს ყოველდღიურ საქმიანობას.

ბურჟუაზიულ ჟურნალ-გაზეთებს ჰყავს ფასიანი კორესპონდენტები სხვადასხვა ქვეყნებში. ეს კორესპონდენტები სწერენ მხოლოდ იმის შესახებ, რაც ბურჟუებს აინტერესებსთ, სწერენ თავიანთი ბატონის კარნახით, რადგანაც ისინი ფულისათვის მუშაობენ.

ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკებში, ჟურნალ-გაზეთებს, გარდა ფასიანი კორესპონდენტებისისა, ჰყავთ უფასო კორესპონდენტებიც—მუშები (მუშკორები). მუშკორები ფულის გულისათვის არა სწერენ, ისინი თავის ნებით აღწერენ ქარხნების ცხოვრებას, აღნიშნავენ ამა თუ იმ ნაკლს და მიღწევებს. მუშკორების შეოხებით ჩვენში კარგად და ვრცლად იწერება მუშათა ცხოვრების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მუშკორების შენიშვნებს, იკვლევს მითითებულ უწესოებას და სხვა. სოფლებში არსებობს სოფლის კორესპონდენტები—გლეხკორები, კომკავშირის გაზეთებს ჰყავსთ ახკორები.

პიონერ-კორესპონდენტები თავის ჟურნალებში აღწერენ პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას, სკოლების ცხოვრებას ქალაქად და სოფლად. ყოველი პიკორი სცდილობს, კარგად სწეროს და მომავალში გახდეს ახკორი და შემდეგ კი მუშკორი. როდესაც პიკორი მუშაობას შეუდგება, მან უნდა იფიქროს იმის შესახებ, თუ რა დასწეროს.

## აღწერე მუშაობა

ყოველი პიკორი, უპირველეს ყოვლისა, არის პიონერი. იგი მუშაობს ამა თუ იმ რგოლში. მან უნდა აგვიწეროს რაზმის, რგოლის მუშაობა მთელ თავის პიონერულ ორგანიზაციაში. ამისათვის პიკორი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელ მუშაობაში: ის ხომ ვერ შესძლებს იმის შესახებ წერას, რასაც თვითონ არ იცნობს.

პიკორმა უნდა შენიშნოს ყველაფერი ახალი და საინტერესო მუშაობის პროცესში, აღწეროს მიღწევები, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს სუსტი მხარეებიც.

ზოგიერთ პიკორს ჰგონია: ყველაფერი, რაც ჩვენთან ხდება, კარგიაო და ცდილობს იგი აქოს და ადიდოს.

ბუზისაგან სპილოს შექმნა არ ვარგა.

პიკორი ასე არ უნდა მოიქცეს, არ უნდა დამალოს უარყოფითი მხარე მუშაობაში. ჩვენ ვიძენთ ცოდნას შეცთომებზე, ამიტომ: გამოამჟღავნე შეცთომები, სწერე ამის შესახებ. შენივე ამხანაგები წაიკითხავენ შენიშვნას და შეეცდებიან, გამოასწორონ ნაკლი.

აი, მაგილითიც: პიონერის ფურცელში გაჩნდა შენიშვნა იმის შესახებ, რომ ერთმა კოლექტივმა მუშაობა დაიწყო და გაზეთი კი ჯერაც არ გამოუწერიაო.

როცა ამხელ ამა თუ იმ ნაკლს, აჩვენე გამასწორებელი გზებიც. მაგრამ ცუდია ის პიკორიც, რომელიც სწერს მხოლოდ შეცთომების შესახებ, მიღწევებს კი არ ამჩნევს. ყოველგვარი მიღწევები, წარმატებანი აღნიშნე.

## სწერე გარემოცულ ცხოვრებაზე

პიონერები ჰაერში არ ცხოვრობენ, მათ გარშემო უამრავი სხვადასხვაგვარი საკითხია. სკოლაში ბევრი არა-პიონერიც არის; ქუჩაში ბევრი უსახლკარო ბავშია და სხ.

აი, ყველა ამათი ცხოვრებაც უნდა აღწეროს პიკორმა. ავიღოთ მაგალითისათვის სკოლა.

სკოლაში ბევრი საქმეა საინტერესო პიონერულ გაზეთისა და ჟურნალისათვის: როგორ მიმდინარეობს მაცადინეობა, როგორ სწავლობენ პიონერები, რა მუშაობას აწარმოებენ მოწაფეები, როგორ უყურებენ პიონერებს მოწაფეები და სხვ. ყველაფერი ეს საგულისხმოა და საინტერესოა. პიონერები ყველაფერში არიან მაგალითები ბავშებისათვის და ცდილობენ იმათ შეკავშირებას. როგორ ტარდება ეს სკოლაში? ამის შესახებაც უნდა დაიწეროს.

ავიღოთ ქუჩა.

უსახლკარონი ჩვენ ყველას გვინახავს. ვიცნობთ კი ჩვენ მათ ცხოვრებას? პიკორმა უნდა აღწეროს, სად და როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ, რა აინტერესებსთ ან როგორ უყურებენ პიონერებს ეს უსახლკარო ბავშები.

პიკორს შეუძლია სახლშიაც იპოვოს დასაწერი თემა: როგორ უყურებენ მშობლები პიონერებს (მუშის, მოსამსახურის ან მდიდრების ოჯახში). გამოიცვალა თუ არა ყოფაქცევა პიონერმა მას შემდეგ, რაც დაიწყო მუშაობა ორგანიზაციაში? ეხმარება თუ არა მშობლებს? რა სამუშაოს ასრულებს იგი შინ? ასრულებს თუ არა თავის ჩვეულებებს (დგება ადრე, იბანს ხელ-პირს, ვარიჯშობს, იცავს სისუფთავეს და სხვ.?

ყველა ეს საინტერესო საკითხებია, რომლებზებაც პიკორებმა პასუხი უნდა გასცენ.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ შენიშვნებისათვის მასალებს პიკორი ყოველგან იპოვის, საჭიროა ოღონდ, რომ შერჩევის და მოძებნის უნარი ჰქონდეს მას.

## სწერე იმის შესახებ, რაც თვითონ იცი.

არასოდეს არ დაემყარო იმას, რაც გაგიგონია. სწერე მხოლოდ იმის შესახებ, რაც შენ თვითონ კარგად იცი. სანამ დასწერდე, კარგად გაეცანი საქმის ვითარებას.

აი, კარგი მაგალითი:

ერთ ქალაქში პიკორების წრემ დაადგინა უსახლკარო ბავშების ცხოვრების აღწერა. გამოიყო ამ მიზნით რამოდენიმე ამხანაგი.

ეს ამხანაგები სადგურზე წავიდენ. იქ დაინახეს უსახლკარო ბავშები, დაუგდეს ყური მათ ლაპარაკს, გაიგეს, სად ათენებდენ ღამეს. მეორეჯერაც წავიდენ დილა-adრიან და მთენი დღე ადევნებდენ თვალყურს ამ ბავშებს. შემდეგ გამოელაპარაკენ მათ და გაიგეს დაწვრილებით იმათი წარსული ცხოვრება, იმათი სურვილები და ოცნებები.

ასეთი გაცნობის შემდეგ პიკორებმა კარგი შენიშვნა დასწერეს. აი, ასე უნდა ხდებოდეს ყოველთვის.

ჯერ გაიგე, იკითხე რაშია საქმე, შეისწავლე და შემდეგ დასწერე.

უკვე საკმაოდ გავარკვიეთ, თუ რას სწერს პიკორი. ახლა კი ვთქვათ, რა უნდა გააკეთოს პიკორმა, რომ კარგი შენიშვნა დასწეროს.

## პიკორის იარაღი

უპირველეს ყოვლისა, შეიძინე შენთვის ჩასაწერი წიგნაკი და ფანქარი. ყოველივე ეს თან უნდა იქონიო ყოველთვის; ეს არის შენი იარაღი. თუკი შენ ყოველთვის თან იქონიებ ქაღალდსა და ფანქარს, ყოველ წამს შეგიძლია ჩასწერო ყველაფერი, რასაც საჭიროდ დაინახავ. ეს კი მნიშვნელოვანია, როგორც შემდგომ დავინახავთ.

წიგნაკში აღნიშნე გეგმა ორი კვირის ან ერთი თვისა. ჩაწერა აწარმოე ამ გეგმის მიხედვით.

ასეთი ჩაწერები ძალიან სასარგებლოა: ყოველთვის გეცოდინება, რა უნდა გააკეთო, ან რა გააკეთე უკვე, როგორია შენი მასალის ხვედრი და სხვ.

## უკეთესია, ცოტა, მაგრამ კარგი რამ გააკეთო

პიკორობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩასწერო მრავალრიცხოვანი შენიშვნები. გახსოვდეს ილიჩის წესი „უკეთესია ცოტა და კარგი“; დასწერე თვეში ერთი ან ორი შენიშვნა და კარგად დაამუშავე იგი. ასეთი მუშაობა სარგებლობას მოგიტანს შენც და სხვებსაც, ნუ დაიბნევი. თუკი ერთს რაიმეს სწერ, ნუ მოჰკიდებ ხელს მეორე, მესამე საქმეს.

## იყავ ბეჯითი

რედაქციაში არის ასეთი შემთხვევებიც: მაგალითად, ივნისში აგზავნი შენიშვნას, თუ როგორ ჩატარდა პარიზის კომუნის დღე (18 მარტი.) შენიშვნამ დაიგვიანა რამოდენიმე თვე. რასაკვირველია, გაზეთისთვის დაგვიანებულ შენიშვნას აღარ აქვს მნიშვნელობა, აღარ არის საინტერესო. პიკორი თავის დროზე და მოხდენილად უნდა სწერდეს შენიშვნებს, არ უნდა გადასდოს ის: როგორც კი დაინახავს რაიმე საინტერესოს, პიკორი უნდა გაეცნოს მას კარგად, უნდა ჩასწეროს იგი მაშინვე, შემდეგისათვის არ გადასდოს. როგორც დასწერს, მაშინვე უნდა გაგზავნოს რედაქციაში. თუ დააგვიანა, სჯობს აღარ გაგზავნოს, ვინაიდან ასეთ შენიშვნას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს.

## შეისწავლე ჩაწერა

ყოველ პიონერს შეუძლია გახდეს პიკორი. საჭიროა, რომ შეისწავლოს ჩაწერა. ამ მიზნით ეწყობა პიკორთა წრეები, მაგრამ წრეებს გარდა საჭიროა ჩაწერის სწავლა. თვალყური ადევნე იმ შესწორებებს, რომლებსაც რედაქცია უკეთებს შენს შენიშვნებს, აღნიშნე, რა გაასწორეს, რა ამოშალეს. მაშინ შენიშვნას უკეთესად დასწერ, ეცდები, შემდგომ შეცთომები აღარ დაუშვა.

ბეჯითად მოექეცი დანარჩენ შენიშვნებსაც. შეისწავლე, გაარჩიე, რომელია კარგად დაწერილი და რომელი ცუდად. გადაათვალიერე ჟურნალ-გაზეთებში „ჩვენი ფოსტა“, იქ მიაქციე ყურადღება ზოგიერთ მითითებას, რომელიც შენთვის საგულისხმოა. მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნები შენს წიგნაკში ჩაიწერე. ყველა შენიშვნები არ თავსდება გაზეთში ან ჟურნალში. ჩვეულებრივად, ათი გამოგზავნილი შენიშვნიდან მხოლოდ ერთი ან ორი იბეჭდება, დანარჩენი კი არა—ან იმიტომ, რომ ცუდი დაწერილია, ან საკმაო ადგილის უქონლობის გამო. ზოგიერთი ყმაწვილები ასეთ შემთხვევაში ამბობენ: „არ მოათავსეს ჩემი შენიშვნა და აღარ დავწერ მეტს“.

კარგი პიკორი ასე არ იტყვის.

არ დაეცე სულით, როდესაც ვერ შეასრულებ დასახულ მიზანს. არ გაუშვეს შენი შენიშვნა,—ეცადე შემდგომ დაწერო უფრო საინტერესო და იმას მოათავსებენ.

## დაიჭირე კავშირი რედაქციასთან

პიკორის ვალდებულებას შეადგენს, დაიჭიროს მჭიდრო კავშირი „წითელი სხივის“ რედაქციასთან.

დაწერე იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ამხანაგები, როგორ მუშაობს თქვენი პიკორთა წრე, შეეკითხე რედაქციას, რაც შენთვის გაუგებარია და პასუხს მიიღებ. უსათუოდ აცნობე რედაქციას, შენი ამხანაგები როგორ ეპყრობიან ჟურნალ „წითელ სხივს“, როგორ კითხულობენ, რა მოსწონსთ, რა არ მოსწონსთ, როგორ მიდის ხელის მოწერა. ასეთი წერილებით პიკორი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც თავის თავს, ისე რედაქციას. ჟურნალი გაუმჯობესდება, მკითხველებთან კავშირი გაძლიერდება.

## აქტიურად იმუშავე წრეში

პიკორთა წრის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღე. იქ ადვილად შეისწავლი წერას, იქ გაარჩევ გაუგებარ საკითხებს. თუ წრე არ არის, სცადე მოაწყო, დააინტერესე სხვა პიონერები. გახსოვდეს, რომ ამ მუშაობაში რედაქცია შენ ყოველთვის დაგეხმარება.

## არ დაივიწყო რაზმი

ცუდი პიკორია ის, რომელიც ჩამორჩება მუშაობას თავის რაზმში, რგოლში. ჩვენ უკვე ვთქვით, რა უნდა დავწეროთ მათ მუშაობაზე, მაგრამ არ შეგიძლია დაწერო, როცა შენ თვითონ არ მიიღებ მონაწილეობას. არ დაივიწყო მუშაობა. ეცადე, ხელი შეუწყო კედლის გაზეთს: სწერე მასში, დაეხმარე შედგენაში, ეცადე, რაც შეიძლება საინტერესო იყოს იგი.

ასეთი უნდა იყოს პიკორის მუშაობა.

შ. რ—ი.

# სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის ზეიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სამეც. აკადემიის შენობა მე-18-ე საუკუნეში (ზევით), სამეც. აკადემიის წიგნთსაცავ-სამკით. დარბაზი ახლა.**

სექტემბრის დასაწყისში დასრულდა ლენინდგრადში ზეიმი, ზეიმი რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა, მისი არსებობის ორასი წლის თავზე.

ამ ზეიმს დაესწრენ ყველა ქვეყნის მეცნიერები: შორეულ ინდოეთიდან, იაპონიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და მრავალი სხვა ქვეყნიდან. ორასი წლის თავს ულოცავდენ აკადემიას ყველა ქვეყნის—აღმოსავლეთისა და დასავლეთის—უნივერსიტეტები და სამეცნიერო საზოგადოებანი. ულოცავდენ ამას არა მარტო სწავლულები და მეცნიერები, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი, კულტურული და ხელოვანთა ორგანიზაციებიც.

რატომ გამოეხმაურენ ამ ზეიმს ასეთი დიდებით? რა გააკეთა აკადემიამ ისეთი საყურადღებო? რატომ ასე აფასებს მის შრომას მთელი ქვეყანა?

სამეცნიერო აკადემია არსებობს თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში, არსებობენ აგრეთვე უნივერსიტეტები, ყოველგვარი მეცნიერული ინსტიტუტები, სამეცნიერო საზოგადოებანი. მაგრამ უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები მიზნად მხოლოდ სწავლებას ისახავენ და იქიდან გამოდიან ნასწავლი, განვითარებული მუშაკები სხვადასხვა დარგის: მასწავლებლები, აგრონომები, ინჟენრები და სხვ. სხვადასხვა ინსტიტუტებში და სამეცნიერო საზოგადოებებში კი იკრიბებიან მეცნიერები, რომ გადაამუშაონ მეცნიერების რომელიმე ერთი ნაწილი: მაგალითად, პასტერის განთქმული ინსტიტუტის მიზანია ბიოლოგიის შესწავლა. ჩვენში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება იკვლევს საქართველოს ისტორიას დათანამედროვე საქართველოს ხალხთა ყოფა-ცხოვრებას და სხვ.

აკადემიის მიზანი არ არის სწავლება, ის კი არ ავრცელებს, რაც უკვე გამოკვლეულია, არამედ თვით იკვლევს და ამ გამოკვლევებს არა მარტო ერთ დარგში აწარმოებს, არამედ ყოველ დარგში.

აკადემია თვალყურს ადევნებს ყოველგვარ ახალ გამოკვლევებს, აღმოჩენებს, მეთოდებს, ე. ი. ყოველგვარ საშვალებებს, რომელიც წინ სწევს და ანვითარებს მეცნიერებას, მსჯელობს იმათ შესახებ და დასკვნა გამოაქვს, ერთი სიტყვით, აკადემია ცენტრია მეცნიერული აზროვნებისა. იგი არის დაწესებულება, სადაც დაუღალავი მეცნიერული მუშაობა სწარმოებს.

ყველა სამეცნიერო საზოგადოებანი და მეცნიერებიც თავის მხრით თვალყურს ადევნებენ აკადემიის მიერ გამოთქმულ აზრს მათ შესახებ, გადასცემენ თავიანთ ნაშრომს და ხელმძღვანელობენ მისი დასკვნებით.

აკადემია ღერძია სახელმწიფოს მეცნიერული აზროვნებისა და რადგანაც ყველა ქვეყნის აკადემიათა შორის არსებობს მუდმივი ურთიერთობა და იციან ერთმანეთის მეცნიერული მუშაობის მიღწევანი, ყოველი აკადემია წარმოადგენს რგოლს, რომელიც აკავშირებს ერთი ქვეყნის მეცნიერებას მთელი ქვეყნის მეცნიერებასთან.

ამიტომ არის, რომ ერთი აკადემიის ზეიმი არის ზეიმი მთელი ქვეყნის მეცნიერებისა და მეცნიერთა.

მძიმე პირობებში ვითარდებოდა და იზრდებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემია.

დაარსდა იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთი ის-ის იყო ეცნობოდა განათლებულ დასავლეთის მეცნიერულ აზროვნებას.

ორასი წლის წინად პეტრე დიდმა და მისმა მოხელეებმა იგრძნეს, რომ საჭიროა გაცნობა დასავლეთის მეცნიერული აზროვნებისა, მიხვდენ, რომ რუსეთის გაუნათლებელ გაბატონებულ კლასსაც კი არ შეუძლია შეინარჩუნოს ხელისუფლება, რომ უფრო განათლებულ მეზობელ სახელმწიფოებისათვის ადვილი იქნება, თავიანთ მოხარკედ გახადონ რუსეთი.

თუ მეცნიერული აზროვნებით არ ხელმძღვანელობს სახელმწიფო, შეუძლებელია გზების გაყვანა, გადასახადების წესიერად აკრეფა, ძნელია გამორკვევა, თუ როგორი მოვლა-პატრონობა სჭირდება სახელმწიფოს, შეუძლებელია ჯარის შექმნა და სხვ. როდესაც ეს ყველაფერი გაიგეს, ნათელი გახდა მეცნიერების შექმნის საჭიროება რუსეთისათვის და დააარსეს, დასავლეთის მსგავსად, სამეცნიერო აკადემია.

მაგრამ რა მდგომარეობა იყო მაშინ რუსეთში? წერა-კითხვის უცოდინარი, გალატაკებული ხალხი, მკაცრი მონობით დაჩაგრული, უვიცი, ტლანქი, კულტურას ჩამორჩენილი გაბატონებული კლასი, ორპირი და გამყიდველი მოხელეები,—ყველაფერი ეს ჰქმნიდა მძიმე გარემოებას მეცნიერების განვითარებისათვის, მით უმეტეს, რომ რუსეთს იმ დროს არ ჰყავდა საამისოდ მომზადებული არც ერთი მეცნიერი და მთავრობა იძულებული იყო. მეცნიერები უცხოეთიდან მოეწვიათ.

პირველად გაუჭირდათ რუსეთში ჩამოსულ უცხოელ მეცნიერებს აკადემიაში მუშაობა.

მათ არც კი ეძლეოდათ უბრალო მეცნიერული კაბინეთის და ლაბორატორიების მოწყობის საშუალება, უამისოდ კი ძნელი იყო მეცნიერული მუშაობის წარმოება. მაგრამ მაინც მოახერხეს დიადი საქმის შექმნა და საფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ჩაუყარეს სამეცნიერო ტაძარს.

სამეცნიერო აკადემიის მეოხებით გაეცნენ რუსეთი და რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი სხვა ხალხები თავიანთ ქვეყნებს.

აკადემიამ ჩაუყარა საფუძველი რუსეთის მდგომარეობის ყოველმხრივ გამორკვევას, გამოიკვლია იქამდის სრულიად უცნობი მხარეების საზღვრები, კლიმატიური პირობები, ნიადაგი, ხალხთა ყოფაცხოვრება და სხ. აკადემიამ ჩაუყარა საფუძველი რუსული ენისა და ისტორიის შესწავლას.

აკადემიის მუშაობა თანდათან ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. გაჩნდენ რუსეთის დიდებული მეცნიერები.

პირველი რუსი მეცნიერი იყო არხანგელის გლეხი, გენიოსი ლომონოსოვი, რუსეთის პირველი პოეტი, ქიმიკოსი და ფიზიკოსი, რომლის სახელი საზღვარგარეთაც კი გაითქვა.

დაბოლოს, როდესაც მეცნიერებამ დიდი გამარჯვება მოიხვეჭა, აკადემიამ მოგვცა მეცნიერების ყველა დარგში მრავალი სახელგანთქმული მეცნიერი.



**პირველი რუსი მეცნიერი მ. ვ. ლომონოსოვი.**

მძიმე დრო გადაიტანა აკადემიამ რევოლიუციის პირველ წლებში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება რაც შეიძლება დიდ დახმარებას უწევდა, ის რღვევა, რასაც განიცდიდა მაშინ მთელი სახელმწიფო, აკადემიასაც შეეხო. ნახევრადმშიერ მეცნიერებს უხდებოდათ ცივ ლაბორატორიებში მუშაობა. არ ჰქონდათ შეშა, არც სანთელი, რომ გაეთბოთ და გაეშუქებიათ თავიანთი კაბინეთები.



**ნ. მარი.**

და, მაინც, მეცნიერებმა არ დაანებეს თავი მუშაობას. მათ მუშებთან, მშრომელ ხალხთან ერთად მოიკრიბეს ძალ-ღონე და გაიტანეს დროშა, დროშა მეცნიერებისა, რევოლიუციის მძიმე წლებში. და ახლა, როცა ცხოვრება კალაპოტში დგება,—აკადემია დაუღალავად მუშაობს.

რუსეთის დიდ მეცნიერთა შორის სახელი მოიხვეჭა ჩვენმა თანამემამულემ, ტომით ქართველმა ნიკო მარმა, რომელმაც შექმნა მთელი რიგი გამოკვლევებისა ენათმეცნიერების დარგში.

მძიმე პირობებში ვითარდებოდა მეცნიერება რუსეთში, მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ახლა კი უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ მომავალშიც, მშრომელთა ხელისუფლების მეოხებით, უფრო მტკიცედ და გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ და ს. ს. რ. კ-ის აკადემია იქნება შემაკავშირებელი ცენტრი, როგორც იყო აქამდის. როდესაც საბჭოთა რუსეთის კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში გაჩნდება თავიანთი სამეცნიერო აკადემიები (უკრაინაში უკვე არის ასეთი აკადემია), მაშინ ს. ს. რ. კავშირის აკადემიები ძმურად იმუშავებენ ერთად და ერთსულოვნად მეცნიერული აზროვნების გამარჯვებისა და ზეიმისათვის.

ლ. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეცნიერება და ტექნიკა

## 5.000.000 მსმენელი და 80 წუთში მიწის გარშემო.

1924 წელში, ინგლისის საიმპერიო გამოფენის გახსნის დღეს, უშველებელ სტადიონში, რომელიც 125.000 სულს იტევდა, ზეიმი გაიმართა; აქ წარმოითქვა მრავალი სიტყვა და რადიო-ტელეფონებით ეს სიტყვები და აგრეთვე მუსიკა, გეროლდების ძახილი და ხალხის ხმაური ევროპაშიც ისმოდა: საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეციაში და დანიაში.

სპეციალურად მოწყობილი აპარატები გამოფენის ყოველს ხმიანობას ნიუ-იორკშიაც კი (ამერიკაშია) გადასცემდენ.

თვით ლონდონში და ინგლისის მრავალი ქალაქის დარბაზებში და მოედნებზე გამართული იყო ხმამაღლა მოლაპარაკე ხელსაწყოები, რომელნიც გამოფენის ხმიანობას ზუსტად გადმოსცემდენ.

ინგლისის ერთ-ერთი გაზეთის გამოანგარიშებით გამოფენის სიტყვებს ყურს უგდებდა არა ნაკლებ 5.000.000 მსმენელებისა ატლანტიის ოკეანეს ორივე ნაპირზე.

ამასთან, საერთო მოწმობით, სიტყვები ისე ზუსტად და კარგად ისმოდა თურმე, რომ ხმის ტემბრიც ირჩეოდა, შეიძლებოდა გაგება, როდის ვინ ლაპარაკობდა.

პირველად ისტორიაში ადამიანის წარმოთქმულ სიტყვას ყურს უგდებდა ასეთი ფართე და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო აუდიტორია.

თუ ამგვარი მიღწევა რადიოს ზეიმი იყო, სამაგიეროდ, ამ ახალ მეტოქეს არ ჩამორჩა ძველი, მავთულიანი ტელეგრაფიც, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის ყველა ქალაქებს აერთებს.

ინგლისის მეფემ, გამოფენა რომ გახსნა, გამოფენის პავილიონში დეპეშა მისცა: ამ წუთს მე ბრიტანეთის გამოფენას ვხსნიო.

დეპეშა აღმოსავლეთისკენ გადაეცა სწორედ 11 საათსა, 49 წამსა და 35 წუთზე და გაიარა აღმოსავლეთისკენ: ფაიალი, გალიფაქსი, ბონრეალი (კანადაშია) ვანკუვერი, ფიჯის კუნძულები, აუკლენდის კუნძულები, სიდნეი, ადელაიდა, პირსი, ქოქოსის კუნძულები, კუნძული როდრიგეცი, დურბანი, კაპტოუნი (აფრიკაშია), ელენეს კუნძული, მადერა და ლონდონში 11 ს. 50 წამსა და 55 წუთში დაბრუნდა, ე. ი., გაიარა მიწის გარშემო დაახლოვებით 50.000 მილი (დაახლოვებით 80.000 კილომეტრი) 80 წუთში.

ეს ამბავი, ცხადია, თანამედროვე ტეხნიკის უდიდესი მიღწევაა!

თუ რადიომ პირველ შემთხვევაში სივრცე დასჯაბნა, მეორე შემთხვევაში ელექტრომ დრო დასძლია!

## ავტომობილის სახის შეცვლა.

ავტომობილი დაჰქრის მიწის ზედაპირზე, ის მოძრაობს ჰაერის ღრმა ოკეანეს ფსკერზე, წყალქვეშა ნავი კი ზღვის სიღრმეში დასრიალობს.

წყალქვეშა ნავის ამგებნი თავდაპირველადვე ცდილობდენ, თევზის ფორმა მიეცათ წყალქვეშა ნავისათვის,





ვინაიდან მისი გადანაცვლება წყალში ამით გაადვილდებოდა.

ავტომობილის ამგებნი მხოლოდ ახლა მიხვდენ ამ ჭეშმარიტებას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმეში ავიაციის გაკვეთილებს, ვინაიდან ავიომშენებლობის პირველ ცდებიდან, რომ საჰაერო აპარატისთვის ფრინველის ფორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორჩალოს მაზრის სოფლის პიონერ-მუშაკთა პირველი მოსამზადებელი კურსი

მიეცათ, უცბად მიხვდენ, თევზის ფორმა მიეცათ წყალქვეშა ნავებისათვისაც.

ამან იქონია გავლენა ავტომობილების მშენებლობაზეც და გადატრიალება მოახდინა ამ დარგში.

ცდილობენ, ავტომობილების ახალს ტიპს ისეთი ფორმა მისცენ, რომ ჰაერის შხეფებს ავტომობილის მოძრაობისას ნაკლები წინააღმდეგობა ხვდებოდესთ. ასეთი ფორმა კი კვერცხისმაგვარი ფორმაა, რაც აქვე ნაჩვენებ სურათებში ნათლადა სჩანს.

---

ა—ჰაერის შხეფები ბრტყელ დისკოს გარშემოა განაწილებული,

ბ—ჰაერის შხეფები სიმეტრიულია,

გ—ავტომობილის ჩვეულებრივი ფორმა, რომელიც ჰაერის ქარიშხალს (ტრიალს) იწვევს,

დ—ავტომობილის ახალი ფორმა, რომელიც ჰაერს ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს, ვიდრე ზემოთნაჩვენები.

## თებერვალში რატაა 28 დღე და აგვისტოში კი 31?

იულიოს კეისრის დროს (რომში I ს. ქრ. წინ; დღევანდელ იტალიაში) თვეებში რიგ-რიგით 30 და 31 დღე იყო, თებერვლის გარდა, რომელსაც ნაკიან წელიწადში 30 დღე ჰქონდა, დანარჩენში კი 29. ასეთი თანამიმდევრობა თვეებისა მათ დახსომებას ძალიან აადვილებდა.

თვეების დღეები მაშინ ასე იყო განაწილებული:

| | |
|---|---|
| იანვარი . . . | 31 დღე, |
| თებერვალი . . | 29—30 |
| მარტი . . . . | 31 |
| აპრილი . . . | 30 |
| მაისი . . . . | 31 |
| ივნისი . . . . | 30 |
| ივლისი . . . . | 31 |
| აგვისტო . . . | 30 |
| სექტემბერი . . | 31 |
| ოქტომბერი . . | 30 |
| ნოემბერი . . . | 31 |
| და დეკემბერი . | 30 |

თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ ახლა დღეების რიცხვი თვეებში ამგვარად არაა და კალენდრის შეცვლა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია:

იმპერატორს ავგუსტუსს შურდა თვისი წინამდგომის იულიოს კეისრის დიდება და სახელი, რომელმაც მეშვიდე თვეს, ივლისს, თვისი სახელი უწოდა (ივლისი—იულიოს). ამიტომ იმანაც მოისურვა რომელიმე თვისათვის თავისი სახელი დაერქმია და ივლისის შემდეგი თვე აირჩია, რომელსაც აგვისტო უწოდა.

მაგრამ, რადგანაც აგვისტო ივლისზე მოკლე თვე იყო (აგვისტოში 30 დღე იყო, ივლისში კი—31), ამიტომ ერთი დღე თებერვალს მოაკლო და აგვისტოს დაუმატა.

ამის შემდეგ კალენდარმა თანამედროვე სახე მიიღო.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბერს, ოქტომბერს და ნოემბერს ისეთი სახელწოდება აქვთ (სექტემბერი ლათინური სიტყვიდანაა, სეპტე—ნიშნავს შვიდს, ოქტომბერი რვას, ნოემბერი—ცხრას), რომელიც მათ რიგს არ შეესაბამება: ნამდვილად სექტემბერი მეშვიდე კი არა, მეცხრე თვეა, ოქტომბერი—მეათე და ნოემბერი—მეთერთმეტე.

ამის მიზეზი ისაა, რომ წინად წელი გაზაფხულის პირველი თვიდან, მარტიდან, იწყებოდა და თვეების სახელები მათ რიგს შეესაბამებოდა.

ახლა კი წელი იანერიდან იწყება და ეს შესაბამეობა დარღვეულია.



# გასართობი.

**თვალი გვატყუებს.**

აიღე ცარიელი ჯამი, შიგ ფული ჩადე (მაგალითად, შაურიანი, ან აბაზიანი) და ჯამი შენგნით ცოტა მოშირებით დადგი ისე, რომ ჯამის ნაპირი ფულის დანახვა გიშლიდეს. ფულს ვერ ხედავ.

მაგრამ, ჩაასხი ჯამში წყალი და ფულს დაინახავ.

რატომ ხდება ეს?

ყური დამიგდე: ვიდრე ფული ჯამის მშრალს ფსკერზე იდო, ფულიდან წამოსული სხივები თვალს არ ეცემოდა, რადგანაც სხივი სწორე ხაზით მოდის და ჯამის ნაპირები უშლის.

როდესაც წყალი ჩავასხით, სურათი შეიცვალა: ფულიდან წამოსული სხივები, „წყალს“ რომ ამოსცილდება და ჰაერში გადმოვა, იმტვრევა, ჯამის ნაპირის ზევით მოდის და თვალს ეცემა.

ჩვენი თვალი შეჩვეულია, საგანი მხოლოდ სწორე სხივის დაძვრის ადგილში დაინახოს და ამიტომ, უნებურად, ფულს იქ კი არ ვათავსებთ, სადაც ის ნამდვილად ძევს, არამედ ცოტა ზევით,—გადამტვრეულ სხივის გაგრძელებაზე.

ამიტომ გვეჩვენება, ასე გვგონია, ჯამის ფსკერმა ფულთან ერთად აიწია.

ეს ცდა კარგად დაიხსომე, წყალში ბანაობის დროს გამოგადგება.

# თამაშობანი.

**შეადგინე მოთხრობა.**

თამაშობს რაზმი.

ეს თამაშობა კარგია გაიმართოს საღამოს კლუბში, მოთამაშენი სხდებიან საუბრისათვის. მეთაური დაიწყებს რამე მოთხრობას. ყოველ მოთამაშეს ეძლევა 3—5 წუთი მოსაფიქრებლად, რომ განაგრძოს წინა მოამბის დაწყებული მოთხრობა, ისე კი, რომ მოთხრობის მთლიანობა არ დაირღვეს. ეს თამაშობა მეთაურის მიერ გამოყენებული უნდა იქნას როგორც სწრაფი მოსაზრების განვითარება.

თამაშობა შეიძლება კლუბშიც და ოჯახშიც.

**კომუნა**

თამაშობს რაზმი.

მოთამაშეების ნაწილი იფანტება მთელ ოთახში; მოთამაშენი გამოსახავენ კომუნარებს, რომლებიც გაფანტული არიან მთელი დედამიწის ზურგზე და ფარულ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებენ. ყოველი მონაწილის ადგილი წინდაწინ ცარცით არის აღნიშნული და ყველანი დგანან თავიანთ ადგილას. ერთი მოთამაშე—ბელადი, რომელსაც წინდაწინ ირჩევენ—გადასწყვეტს ყველა კომუნარების შეერთებას. დადის დარბაზში, შეახებს სათითაოდ ყველას ხელს და ეუბნება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. ვისაც შეეხება, მიჰყვება ბელადს. როდესაც ყველა კომუნარები შეერთდებიან, ე. ი. გაჰყვებიან მას და ერთად დადიან, რამე კოლექტიურ ლოზუნგს იძახიან ერთად, მაგ., გაუმარჯოს ოქტომბერს“, გაუმარჯოს კომუნისტურ ახალგაზრდობას“ და სხ. და შემდეგ განაგრძობენ სვლას. სვლის დროს მეთაური სხვადასხვანაირი ვარჯიშობით გამოსახავს კომუნიზმისათვის ბრძოლას. ამ ბრძოლა-ვარჯიშობის დროს მეთაური ამბობს: „კომუნა იზრდება“. ამ სიტყვების შემდეგ ყველანი გარბიან და ცდილობენ დაიჭირონ რომელიმე აღნიშნული ადგილი იატაკზე და ზედ დადგენ. უადგილოდ დარჩენილი აგროვებს ახალ კომუნას.

თამაშობა შეიძლება დიდ ოთახში.

საჭიროა, მოთამაშეებმა იქონიონ ცარცი.



პიონერო, ჰერი, ჰერი,  
ჩვენ ყურს გვიგდებს მთა და სერი,  
წყლის ჭურჭელი აქ გვჭირია,  
მაგრამ არ გვინდა ის მთელი:  
თავს და ბოლოს ასოს ვაკლებ,  
ამას ვსჩადი და თან ვმღერი.

-

ხლხი წინად იყოფოდა  
ნაწილებად, ნაირ-ფერი,  
ასო ვპაროთ და პირველსა  
შევუერთოთ, მოვკლათ მტერი;  
ახლა გვინდა ჩვენ მოხუცი,  
რომ შარადა შევკრათ მთელი,  
გეფიცები, ასე უნდა,  
აქ ავსხა ოქტომბერი.

**დ. კარბელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფოსტა

**პიონერ პალიკოს.** ჯერ თქვენი გამოგზავნილი მასალა არ მიგვიღია და, აბა, როგორ გითხრათ, ივარგებს თუ არა. რასაკვირველია, პიონერმა უნდა სწეროს პიონერთა ცხოვრებაზე. სწორედ ჩვენი ჟურნალისთვის საჭიროა, როცა სიმართლეს სწერენ. რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს პიონერთა ცხოვრების როგორც ღირსება, ისე ნაკლიც. თქვენ მართალს სწერთ, თუ კრიტიკა არ იქნება, არც წინსვლა იქნებაო. ჩვენთვის სწორედ საჭიროა ამნაირი „ნამდვილი ამბები", სადაც „ნამდვილ პიონერთა ცხოვრება" იქნება გაშუქებული, მაგრამ უნდა გახსოვდესთ, რომ ნამდვილად ნამდვილი უნდა იყოს.

— —

**მოწაფე თინას.** „წითელი სხივი" ბავშვებისათვისაა, რასაკვირველია, მაგრამ მარტო ბავშვები კი არ სწერენ შიგ. როდესაც ჩვენ მოგვდის ბავშვების მიერ დაწერილი შესაფერი მასალა, დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ. გამოგზავნეთ რებუსებიც და შარადებიც.

— —

**ქუთაისის მოწაფეებს.** თქვენ, როგორც იწერებით, ბევრი ხართ. მაშ, რა გიშლისთ, გამოიწეროთ ჟურნალი? რასაკვირველია, კარგი იქნება, შეაგროვოთ ერთმანეთში ფული და გამოიწეროთ მთელი ჯგუფისათვის. **„წითელი სხივი" ღირს 5 მან. და „ნაკადული" 3 მ. 50 კ.** წელიწადში. ჟურნალების გამოწერას თქვენ არავინ არ დაგიშლისთ.

**ნიკო-ბიჭს.** ლექსების წერა კარგია და ჩვენც გვიყვარს კარგი ლექსები. თქვენ იწერებით, ჩემი ლექსები მე მომწონსო. მაგრამ, აბა, როგორ უნდა დასწეროთ თქვენ კარგი ლექსი „ამერიკელი მუშების შესახებ"? უმჯობესია, სწეროთ თქვენი სკოლის, თქვენი ჯგუფის—თუ პიონერი ხართ, თქვენი რაზმის, თქვენი სოფლის და მეზობელი ბავშვების ყოფა-ცხოვრების შესახებ. შეიძლება ამგვარი ლექსი მართლა თქვენს მეტს სხვასაც მოეწონოს, თორემ, აბა, რა მოსაწონია:

„ამერიკის კონტრ-რევოლუციის მუშა
შავმა ჭირმა შუშა".

სინჯეთ იმ ცხოვრების გაშუქება, რომელსაც იცნობთ. სინჯეთ მოთხრობის წერა.

— —

**პატარა ცნობისმოყვარეს.** შეიძლება შეგვეკითხოთ ყველა დიდი მოღვაწეების ყოფა-ცხოვრების შესახებ და დიდი სიამოვნებით გიპასუხებთ. სურათებსაც დავბეჭდავთ.

ვეცდებით აგრეთვე, ვწეროთ წერილები იმის შესახებ, თუ „რა ხდება ცის სივრცეში": გამოგზავნეთ მოთხრობა „მთვარეზე მოგზაურობა", აგრეთვე მოიწერეთ. რა მოგეწონათ რომანში „გამარჯვებული", შემდეგ აღვნიშნავთ „ჩვენ ფოსტაში", არის თუ არა რამე დაწერილი ამ თემაზე ქართულად.

**წით. სხ.**

# რებუსი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ.)




ტფილისი
100

ბიბლიოთეკა

# 1926 წ.

## გამოცვა გამოცვა

## ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

**მოზრდილთათვის** — **წითელი სხივი** — 3 წელიწადი 3

**მცირეწლოვანთათვის** — **ნაკადული** — წელიწ. მე-XXII

**ჟურნალის გამოწერა ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.**

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულება გამოიწერონ:

## „წითელი სხივი" და „ნაკადული"

**ხელის მოწერა მიიღება წლიურად:**

**„წითელი სხივი" გადაგზავნით—5 მან.**
**„ნაკადული" „ „ —3 მან. 50 კაპ.**

**ცალკე „წითელი სხივი"—45 კაპ.**
**„ „ნაკადული"—35 „**

**მისამართი:** ტფილისი. რუსთველის გამზირი, № 31. განათლების სახალხო კომისარიატი. **„წითელი სხივი"**-ს და **„ნაკადული"**-ს რედაქცია.

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია**

ტირაჟი 3,000. სტამბა პოლიგრაფტრესტისა, ა. წერეთლის ქ. № 3. შეკვეთილი 1,743.